სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



# უნივერსიტეტთაშორისო სტუდენტური კონფერენცია 2020 წლის აქტუალურ საკითხებზე

# INTERUNIVERSITY STUDENT CONFERENCE ON TOPICAL ISSUES OF 2020

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

# უნივერსიტეტთაშორისო სტუდენტური კონფერენცია 2020 წლის აქტუალურ საკითხებზე

# INTERUNIVERSITY STUDENT CONFERENCE ON TOPICAL ISSUES OF 2020

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული

COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

# სარჩევი


მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხისათვის
(ისტორია და თანამედროვეობა)
ამირან ახალაური _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 6

თანამედროვე გეოპოლიტიკური ეპოქის რაობისათვის
ბექა ელიავა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 11

კიბერუსაფრთხოების ძირითადი საფრთხეები და ტენდენციები
ლაშა კახაბრიშვილი / გიორგი ქურასბედიანი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 15

კრიპტოვალუტა - 21-ე საუკუნის  გამოწვევა
ვერიკო თორდია _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 19

ეფექტური კომუნიკაცია, როგორც წარმატების გარანტი
კონსტანტინე შანავა / ნიკა წულეისკირი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 22

პანდემია და კიბერუსაფრთხოების პრობლემები
თემურ ვაშაძე / მარიამ ელიკაშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 27

კორონომიკა - კაცობრიობის ახალი გამოწვევა
ნუგზარი ქვარიანი / ლუკა ბარძემიშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 31

საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი გამოწვევები
სანდრო ბალიაშვილი / ზურაბ სოფრომაძე _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 35

შემოსავლის განაწილება და კოვიდ 19-ის გავლენა
ცხოვრების დონეზე საქართველოში
მეგი ჯანანაშვილი / ქეთევან ბროლაძე _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 40

STRATEGIC COOPERATION BETWEEN LITHUANIA AND POLAND
IN THE CONTEXT TERRITORIAL DEFENSE 2014-2020.
DEFENSE OF THE SUWALKI CORRIDOR
GRETĖ LUKOŠAITYTĖ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 43

რუსეთის სამხედრო რეფორმები 2008 წლის შემდეგ
ვანო დვალიშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 47

ეთიკური ჰაკინგი
მალხაზ მახარობლიშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 53

სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო
ფინანსების ადმინისტრირებაში
ტარიელ სანიკიძე _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 56

ციფრული მარკეტინგი და მისი მნიშვნელობა პანდემიის პირობებში
ქუჩიკო აბაშიძე _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 61

პანდემიის გავლენა მომხმარებლის  გადაწყვეტილებაზე
ცოტნე ქაცარავა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 65

საქართველოს ინტერესები შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში
ირაკლი ოყრეშიძე _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 67

მოტივაციის პრობლემა ქართულ საჯარო უწყებებში
ბუხუტი ჩადუნელი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 71



ISBN 978-9941-8-3196-6

# CONTENT


ON THE ISSUE OF THE NAGORNO-KARABAKH
CONFLICT (HISTORY AND TODAY)
AMIRAN AKHALAURI _ _ _ _ _ 6

FOR THE ESSENCE OF THE MODERN GEOPOLITICAL ERA
BEKA ELIAVA _ _ _ _ _ 11

MAJOR THREATS AND TRENDS IN CYBERSECURITY
LASHA KAKHABRISHVILI / GIORGI KURASBEDIANI _ _ _ _ _ 15

CRYPTOCURRENCY - THE CHALLENGE OF THE 21ST CENTURY
VERIKO TORDIA _ _ _ _ _ 19

COMMUNICATION
KONSTANTINE SHANAVA / NIKA TSULEISKIRI _ _ _ _ _ 22

PANDEMIC AND CYBER SECURITY PROBLEMS
TEMUR VASHADZE / MARIAM ELIKASHVILI _ _ _ _ _ 27

CORONOMIC – NEW CHALLENGE OF HUMANITY
NUGZARI KVARIANI / LUKA BARDZEMISHVILI _ _ _ _ _ 31

THE MAIN CHALLENGES OF THE GEORGIAN LABOR MARKET
SANDRO BALIASHVILI / ZURAB SOFROMADZE _ _ _ _ _ 35

INCOME DISTRIBUTION AND THE IMPACT OF
COVID 19 ON LIVING STANDARDS IN GEORGIA
MEGI JANANASHVILI / KETEVAN BROLADZE _ _ _ _ _ 40

STRATEGIC COOPERATION BETWEEN LITHUANIA AND POLAND
IN THE CONTEXT TERRITORIAL DEFENSE 2014-2020.
DEFENSE OF THE SUWALKI CORRIDOR
GRETĖ LUKOŠAITYTĖ _ _ _ _ _ 43

RUSSIAN MILITARY REFORMS AFTER 2008
VANO DVALISHVVILI _ _ _ _ _ 47

ETHICAL HACKING
MALKHAZ MAKHAROBLISHVILI _ _ _ _ _ 53

IMPROVING STATE PROCUREMENT IN PUBLIC FINANCE ADMINISTRATION
TARIEL SANIKIDZE _ _ _ _ _ 56

DIGITAL MARKETING AND ITS IMPORTANCE DURING THE PANDEMIC
KUCHIKO ABASHIDZE _ _ _ _ _ 61

THE IMPACT OF THE PANDEMIC ON CONSUMER DECISION
TSOTNE KACARAVA _ _ _ _ _ 65

GEORGIA'S INTERESTS IN THE CONTEXT OF BLACK SEA SECURITY
IRAKLI OKRESHIDZE _ _ _ _ _ 67

THE PROBLEM OF MOTIVATION IN GEORGIAN PUBLIC AGENCIES
BUKHUTI CHADUNELI _ _ _ _ _ 71

# მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხისათვის (ისტორია და თანამედროვეობა)

**ამირან ახალაური**
ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი ნოდარ ხონელიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

**ანოტაცია**

მთიანი ყარაბაღის გაყინული კონფლიქტი, რომელიც 2020 წელს ცხელ ფაზაში შევიდა ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კავკასიის რეგიონში. სომხების და აზერბაიჯანელების თანაცხოვრების ისტორიას გარკვეული წვლილი მიუძღვის XX საუკუნის მიწურულს ომის გაჩაღებაში. წინამდებარე კვლევის მიზანი მათი კოლექტიური მეხსიერების როლის დადგენა და 2020 წელს კონფლიქტის მსვლელობაში შესული ცვლილებების გაანალიზებაა. კავკასიის ისტორიის შესწავლამ XVII საუკუნიდან ცხადყო კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მოტივაციის მიზეზები ჩართულიყვნენ ხანგრძლივ ომში.

**საკვანძო სიტყვები:**
მთიანი ყარაბაღი, ისტორია, კონფლიქტი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი.

# ON THE ISSUE OF THE NAGORNO-KARABAKH CONFLICT (HISTORY AND TODAY)

**AMIRAN AKHALAURI**
Head:Visiting Lecturer Nodar khonelidze
David Aghmashenebeli National Defence academy of Georgia

**ANNOTATION**

The frozen Nagorno-Karabakh conflict, which become active in 2020, has always been an important factor in the Caucasus region. The history of the coexistence of Armenians and Azerbaijanis contributed to the beginning of war in the late twentieth century. The aim of the present research is to determine the role of their collective memory and also analyze the changes that have taken place in the course of the conflict in 2020. A study of the history of the Caucasus from the seventeenth century revealed the reasons for the motivation of the parties of the conflict to be engaged in an endless war.

**KEYWORDS:**
Nagorno-Karabakh, History, conflict, Azerbaijan, Armenia, Russia, Turkey.

ყარაბაღის კონფლიქტის გაანალიზებისას, სხვა კონფლიქტებისაგან განსხვავებით, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენას უახლესი პროცესებით ვერ დავიწყებთ, ვინაიდან საკითხისადმი დამოკიდებულება კონფლიქტში მონაწილე ორივე ერის კოლექტიურ მეხსიერებაში ღრმადაა დალექილი. გვერდს ვერ ავუვლით ვერც 2020 წელს კონფლიქტის მსვლელობაში შესულ გარდამტეხ ცვლილებებს.

წინამდებარე მოხსენების პირველ თავში განვიხილავთ რეგიონში ეთნოკონფესიური ისტორიის ცვლილებას პერიოდების მიხედვით, შემდეგ შევეხებით პირველი კონფლიქტების გაღვივებას, თხრობას გავაგრძელებთ სსრკ-ს დროს მომხდარი ცვლილებებით და დასასრულს კონფლიქტის თანამედროვე ეტაპზე ვისაუბრებთ.

## რეგიონის ეთნოკონფესიური თავისებურებები

XVII საუკუნიდან ახლანდელი აზერბაიჯანის მთლიანი ტერიტორია, სადაც თურქულენოვანი შიიტები ცხოვრობდნენ რეგიონში რუსეთი იმპერიის გამოჩენამდე, ირანის შემადგენლობაში შედიოდა. სპარსელებმა აქ გავლენა მხოლოდ 1828 წელს, თურქმენჩაის ზავით დაკარგეს. თურქმენჩაის ზავითვე აღმოჩნდა ამჟამინდელი სომხეთის ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რის შემდეგაც სამხრეთ კავკასიაში დემოგრაფიული ცვლილებები ცალსახად მათ სასარგებლოდ წარიმართა. მანამდე, ერევანი და მისი შემოგარენი პროვინციები 1513 წლიდან 1737 წლამდე თოთხმეტჯერ გადავიდა ხელიდან ხელში სპარსელ-ოსმალთა შორის. ასეთი სპარსულ-ოსმალური ომის დროს

1604 წელს შაჰ აბას I დამარცხდა და უკან დაიხია. სწორედ ამ დროს ერევანი, რომლის მოსახლეობაც ჯერ კიდევ სომხური იყო, ოსმალთა ხელში გადავიდა. ვინაიდან ისინი სომხებს არ ენდობოდნენ, მათ ქალაქი დაატოვებინეს.[1] მას შემდეგ, სომეხთა წილი მოსახლეობაში 20%-ს აღარ აღემატებოდა.[2] ესაა ერევანში თურქულენოვანი, შიიტი მოსახლეობის, რომელთაც შემდეგ აზერაბიჯანელი ერი ჩამოაყალიბეს დომინირების საფუძველი.

მსგავსად განვითარდა მოვლენები ისტორიული სომხეთის სხვადასხვა ნაწილში. მათი დეპორტაცია-იმიგრაციით დაცლილ ტერიტორიებს ავსებდა შიიტი მოსახლეობა. საინტერესოა, რომ სომხეთის სხვა მხარეებისგან განსხვავებით მთიანი ყარაბაღი რთული დასამორჩილებელი იყო და აქ სომეხთა წინააღმდეგობა ბოლომდე შემორჩა. ამიტომაა წარმოუდგენელი სომხებისთვის დღეს ყარაბაღი შედიოდეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში.[3] სამაგიეროდ, აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში XVI საუკუნის აზერბაიჯანი (ასეა ტექსტში. ა.ა), რომელიც დღევანდელ სომხეთსაც მოიცავდა, სამი ტერიტორიული ერთეულისაგან შედგებოდა: შირვანი, ყარაბაღი და სამხრეთით თავრიზის მიწები და ყარაბაღზე მათაც იგივე მოსაზრება აქვთ.[4]

შეიძლება ითქვას, თუ სეფაიანთა დროს(XVI-XVIII ს.ს) აზერბაიჯანელთა წინაპრები სჭარბობდნენ სომხებს ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, თურქმენჩაის ზავიდან მოყოლებული, დემოგრაფიული მდგომარეობა სომხებისთვის სასარგებლოდ შეიცვალა და რეპატრიაციის ხარჯზე მათი რაოდენობა გაიზარდა. ვინაიდან რუსეთის იმპერიის შემოსვლამდე აზერბაიჯანულ სახანოებში სულ 16,3 ათასი კომლი სომეხი იყო. დღევანდელ სომხეთში მოსახლეობის ორი ფენა გამოიყოფა: ადგილობრივი და იმიგრირებულნი. სომხეთში ორი ეთნოგრაფიული არეალი 1828-1830 წლებში სპარსეთიდან 40 000, ხოლო თურქეთიდან 84 000 სომეხის გადმოსახლების შემდეგ ჩამოყალიბდა.[5] სამაგიეროდ, ძირძველ სომხურ მოსახლეობად სომეხი მეცნიერები ყარაბაღის სომხებს მიიჩნევენ. აზერბაიჯანულ საისტორიო ლიტერატურაში კი აღნიშნულია, რომ XIX საუკუნემდე მთიან ყარაბაღში სომხები მცირე ჯგუფების სახით იყვნენ განსახლებული, მანამდე ზერბაიჯანელები იყვნენ უმრავლესობა. ამის მიზეზი გენერალ პასკევიჩის კოლონიური პოლიტიკა იყო: ნაკლებად ცივილიზებული მუსლიმი მოსახლეობა და მათი ბეგები არასაიმედო დასაყრდენად ითვლებოდა. ამიტომ არც ადმინისტრაციულ მმართველობაში მისცეს მათ რაიმე როლი და არც დემოგრაფიული მდგომარეობა დატოვეს ასე.[6] მსგავსმა საუკუნოვანმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ საბოლოოდ შეცვალა სურათი ახლანდელ სომხეთში, აზერნაიჯანსა და თვით ყარაბაღშიც.

### 1905, 1918-1920 წლებში წარმოშობილი კონფლიქტი

ორივე ერის ისტორიულ მეხსიერებაში ღრმადაა დალექილი, რომ ეს მიწა მათი ერის ისტორიული სამკვიდრებელია და წინაპრების ეთნოგენეზისი სწორედ აქ მიმდინარეობდა. ამდენად, ძნელია მათ შორის კომპრომისის გამონახვა და რაიმე საკითხზე შეთანხმება. ამან კი ისინი XX საუკუნის დასაწყისში პირველ სისხლისმღვრელ კონფლიქტამდე და შემდეგ უკვე ომამდეც კი მიიყვანა.

პირველი დაპირისპირება 1905 წელს მომხდარი ბაქოს სისხლის ღვრა გახდა. არსებობს აზერბაიჯანელი პოლიტიკოსის ი.ზიატხანოვის ჩვენება: ,,მანამდე მუსლიმებსა და სომხებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა და ის ხელოვნურად იყო გაღვივებული". არის სხვა ვერსიაც: სომეხმა ჯარისკაცებმა მუსლიმის ბიჭი მოკლეს, გარდაცვლილის ნათესავებმა კი სცადეს სომხებზე შურისძიება, რამაც კონფლიქტი განაპირობა და ორი ერი სისხლიან დაპირისპირებამდე მივიდა. კონფლიქტი შუშას, განჯას, ნახჭევანსა და ერევანსაც გადაედო და ერების სრულმასშტაბიან შეტაკებად იქცა, ვინაიდან გასცდა ლოკალურ საზღვრებს. დაიღუპა 10000-მდე ადამიანი და განადგურდა 158 აზერბაიჯანული და 128 სომხური სოფელი.[7]

1918 წელს მომხდარმა მარტის მოვლენებმა ორ ერს შორის დაპირისპირება უფრო გააღრმავა, რაც საბოლოოდ ომში გადაიზარდა. მაშინ დაახლოვებით 12 000 აზერბაიჯანელი დაიღუპა, რაც ამჟამად აზერბაიჯანში მათი ერის გენოციდადაა აღიარებული. 1918 წელს კავკასიის ისლამის არმიამ დაამარცხა რუსულ-სომხური არმია და აიღო ქალაქი ბაქო. ქალაქის მუსლიმური მოსახლეობის დახოცვის გამო მათ 10 000-დან 20 000-მდე სომეხი მოკლეს. ამავე პერიოდში სომხებმა შექმნეს მთიანი სომხეთის რესპუბლიკა, აიღეს შუშაც და თავის ცენტრად აქციეს. 1920 წლისთვის, როდესაც აზერბაიჯანი უკვე საბჭოთა რუსეთს ებრძოდა, სომხებმა ხანდეკიც აიღეს. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა ხელახლა შევსებული და რუსული იარაღით გადაიარაღებული არმიით ივნისისთვის კონტრშეტევა წამოიწყეს.[8]

ასე რომ, რუსეთის იმპერიის დაშლიდან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოებამდე არსებულ პერიოდში, ორ ერს შორის არსებული დაპირისპირება გაღრმავდა, რაც ომით დასრულდა. რა თქმა უნდა, ომმა ვერ გადაწყვიტა სადავო ტერიტორიის ბედი და ამან მხოლოდ სიტუაცია გააუარესა.

---

1 Dilgam Yunis Ismailov. ,,History of Azerbaijan", AZMİU NPM, Baku (2017) გვ.131

2 ESAT URAS. ,,THE ARMENIANS IN HISTORY AND THE ARMENIAN QUESTION", DOCUMENTARY PUBLICATIONS (1988) გვ.353

3 ბექა კობახიძე. ,,ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი რეგიონი ბექა კობახიძე", პუბლიკა (2020)

4 Dilgam Yunis Ismailov. ,,History of Azerbaijan", AZMİU NPM, Baku (2017) გვ.138

5 როლანდ თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, სალექციო კურსი, თბილისი, (2007). გვ.176-195

6 Editorial Council. Armenian-Azerbaijani Conflict. Roots: Massacres of 1905-1906", Journal of The Ministry of Foreign Affairs of the Republic of Azerbaijan № 18-19, 2008 გვ.15

7 Editorial Council. Armenian-Azerbaijani Conflict. Roots: Massacres of 1905-1906", Journal of The Ministry of Foreign Affairs of the Republic of Azerbaijan № 18-19, 2008 გვ.22

8 Anatomy of a Rumour: Murder Scandal, the Musavat Party and Narratives of the Russian Revolution in Baku, 1917-20 Author: Michael G. Smith (2001) გვ..225-240

## 1921-1988 წლებში ხელახალი გადანაწილება საბჭოთა კავშირში

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ყარაბაღის უკვე სადაო ოლქი ეთნიკური ნიშნით დემოგრაფიის გაუთვალისწინებლად და სომხეთის პრეტენზიის მიუხედავად აზერბაიჯანს გადასცეს. მის ცენტრს ხანკენდი წარმოადგენდა. აღნიშნულ ოლქში მოსახლეობის 94.4% სომხები იყვნენ.[9] 1923 წელს მას აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკამ ფართო ავტონომიის სტატუსი მიანიჭა, მისი ცენტრი შუშა გახდა. სამაგიეროდ, სომხეთში კომპაქტურად მცხოვრებ 575 ათას აზერბაიჯანელს უარი ეთქვა იგივე უფლებების მიღებაზე.[10] ამ მოვლენაში შეუძლებელია ცენტრალური ხელისუფლების წინასწარი განზრახვა არ დავინახოთ.

1936 წლის ადმინისტრაციული ცვლილებების დროს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სტატუსი საბოლოოდ განისაზღვრა. იგივე განმეორდა 1977 წლის კონსტიტუციის მიღებისასაც და სტატუს კვო არ შეცვლილა. ამ პერიოდში ყარაბაღის ავტონომიური ოლქი ფლობდა ავტონომიის ყველა საჭირო ელემენტს და თვითმმართველობის შესაბამის დონეს. აზერბაიჯანის იმ დროინდელი კონსტიტუციის თანახმად ოლქს ჰყავდა შესაბამისი რაოდენობის წარმომადგენლებიც სსრკ-ს უმაღლეს საბჭოშიც და აზერბაიჯანის სსრ-ში. 1980-იანი წლების ბოლოს საზღვრების ცვლილების ყველა გადაწყვეტილება უკანონო იყო აზერბაიჯანის თანხმობის გარეშე და ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას.[11]

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, მთიანი ყარაბაღის ირგვლივ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი გეგმის მიხედვით წარიმართა და ეს რეგიონი ისეთი შენელებული მოქმედების ნაღმად ჩამოყალიბდა, რომ იმპერიის ცენტრის სურვილისამებრ, როგორც კი საჭიროდ ჩათვალეს, ის მაშინვე ამოქმედდა. ამოქმედდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სომხებისა და აზერბაიჯანელების ისტორიული განწყობებით გარე ძალამ ისარგებლა.

## 1988-1994 წლებში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირება

მთიანი ყარაბაღის გარშემო ხელახლა ყველაფერი საბჭოთა კავშირის კოლაფსის ნელ-ნელა დადგომასთან ერთად დაიწყო, რაც ორი ერის ერთმანეთის შესახებ კოლექტიურმა მეხსიერებამ გაამარტივა. კრემლს სჭირდებოდა ეთნოკონფლიქტები თავის გარშემო, რათა თავისი საზღვრების გასწვრივ გავლენები შეენარჩუნებინა, ჰქონოდა აქ წამოწყებულ დაპირისპირებებში მომრიგებლის როლის თამაშის საშუალება, განეთავსებინა საკუთარი სამხედრო ძალები, გამოეწვია არასტაბილურობა, ჰქონოდა საბჭოთა მარწუხებიდან დაღწეული რესპუბლიკების ახლად არჩეულ მთავრობებზე გავლენა და ბოლოს, არ დაეშვა ამ რეგიონებში საბჭოთა ძალის გასვლით გამოწვეული ვაკუუმის სხვის გავლენით შევსება.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღისთვის დაწყებულ კონფლიქტისკენ პირველი ნაბიჯები მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობისგან გადაიდგა, რომელმაც 1988 წლის 20 თებერვალს სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოებს მიმართა თხოვნით, რომ მათ სომხეთის სსრ-სთან მიერთება სურდათ. აღნიშნული ქმედება სსრკ-ს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ შეფასდა როგორც ექსტრემისტებისა და ნაციონალისტების პროვოცირებული ქმედება, რასაც პასუხად ერევანში მასობრივი გამოსვლების დაწყება მოჰყვა. 24 თებერვალს კი მთიანი ყარაბაღის ოლქის ტერიტორიაზე შეტაკება მოხდა ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. შეტაკებების დროს დაშავდა 50 სომეხი, თავის მხრივ ეთნიკურად სომეხმა მილიცელებმა მოკლეს 2 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 27 თებერვალს დაარბიეს ქალაქ სუმგაითის მცხოვრები სომხები, რასაც ასევე მსხვერპლი მოჰყვა- გარდაიცვალა 26 სომეხი და 6 აზერბაიჯანელი.[12] საბოლოოდ კი სომხეთის სსრ-მ საჭიროდ ჩათვალა მიემართა სსრკ-ს უმაღლესი საბჭოსთვის მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით. მომდევნო წელს მთიანი ყარაბაღის სამართავად ცალკე კომიტეტი შეიქმნა, პარალელურად ბაქოში დაიწყო აქციების გამართვა და ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტიც. სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ოლქი აზერბაიჯანის სსრ-ს შემადგენლობაში დარჩა. უკვე დამოუკიდებელმა აზერბაიჯანმა კი საერთოდაც გააუქმა ავტონომიური სტატუსი.[13]

1992 წელს სომხური შენაერთები და რუსეთის ჯარი შეიჭრნენ აზერბაიჯანის ერთ-ერთ ქალაქში და 600-მდე მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს. ამის შემდეგ ორივე ერი სრულად ჩართული აღმოჩნდა ომში. იმავე წელს სომხურმა ძალებმა აიღეს ქალაქი შუშა და უმნიშვნელოვანესი ე.წ ლაჩინის დერეფანი. სომხურმა შენაერთებმა დაიკავეს ქუბალთისა და ფიზულის რაიონებიც. 1993 წლის ბოლოს აზერბაიჯანელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ საბოლოოდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. შედეგად, 1994 წელს მათ მოუწიათ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ამ ხელშეკრულებით დაფიქსირდა შემდეგი მოცემულობა: მთიან ყარაბაღს სრულად აკონტროლებდნენ სეპარატისტები, მის გარშემო კი სომხებს კონტროლი ჰქონდათ აზერბაიჯანის 7 რაიონზე.[14]

---

9 მარიამ დალაქიშვილი: ,,კოლექტიური მეხსიერების როლი პატარა ქვეყნების კონფლიქტების მოგვარებაში“, თბილისი (2018) გვ.25

10 EDITORIAL COUNCIL. ..Armenian-Azerbaijani Conflict. Roots: Massacres of 1905-1906” , JOURNAL OF THE MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN № 18-19, (2008) გვ.33

11 მარიამ დალაქიშვილი: ,,კოლექტიური მეხსიერების როლი პატარა ქვეყნების კონფლიქტების მოგვარებაში“, თბილისი (2018) გვ.25

12 მარიამ დალაქიშვილი. ,,კოლექტიური მეხსიერების როლი პატარა ქვეყნების კონფლიქტების მოგვარებაში“ თბილის (2018) გვ.26

13 Svante E. Cornell. “Undeclared war: The Nagorno-karabakh conflict reconsidered”, journal of south asian and middle eastern studies, Vol. XX No.4(1997)

14 Ali Askerov. ,,The Nagorno Karabakh Conflict- The Beginning of the Soviet End” , გვ.55

## 1994 – 2020, გაყინული კოფლიქტი

1994 წლიდან 2020 წლამდე იყო პერიოდული შეიარაღებული კონფლიქტები და მცირეხნიანი ომები ყარაბაღთან და სასაზღვრო კონფლიქტები სომხეთ-აზერბაიჯანს შორის. 2008 წლამდე ომის დაწყების ფაქტები არ ყოფილა, ამ წლიდან მოყოლებული შედარებით მასშტაბური კონფლიქტები მოხდა 2008, 2010, 2012, 2014, 2016, 2018 წლებში, მათ შორის 2010 წელს ორჯერ. თუმცა, ამ წლებში სტატუს კვო პრაქტიკულად არ შეცვლილა და ამის მოლოდინი არც 2020 წელს არსებობდა.

ამ დროის განმავლობაში არაერთხელ იყო კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მცდელობა. 1992 წელს ეუთომ 11 ქვეყნის მონაწილეობით შექმნა მინსკის ჯგუფი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტის მოგვარება. ირანის პრეზიდენტის ინიციატივით, 1992 წელს ორივე მხარის პრეზიდენტებმა თეირანის კომუნიკეს მოაწერეს ხელი. თუმცა, ეს შეთანხმება მომდევნო დღესვე დაირღვა, როდესაც სომხეთის სამხედრო შენაერთებმა აიღეს ქალაქი შუშა. 1996 წლის ლისაბონის სამიტზე ეუთო-მ კიდევ ერთხელ წარმოადგინა კონფლიქტის მოგვარების ახალი პრინციპები. 1997 წელს, რუსეთის, საფრანგეთისა და აშშ-ის სამეულმა, შეიმუშავა „ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარების" გეგმა. 1998 წელს გამოქვეყნდა პრიმაკოვის მიერ შემუშავებული „საერთო სახელმწიფოს" გეგმა. 2002 წლიდან მოლაპარაკებები დაიწყო პრაღის პროცესის ფორმატით, რომელსაც მოჰყვა მადრიდის პრინციპები. შეიძლება ითქვას, ყველა ის მცდელობა, სადაც კი რუსეთი მედიატორის როლში იყო ჩართული, უშედეგოდ მთავრდებოდა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ქვეყნებს შორის შვიდობიან შეთანხმებას შიდა განწყობებიც უშლიდა ხელს.[15]

## 2020 წლის ომი და დიდი ცვლილებები

ფართომასშტაბიანი ომის დაწყებამდე, სასაზღვრო შეტაკებები იყო ზაფხულშიც, თუმცა ომი რეალურად 27 სექტემბერს დაიწყო. საბრძოლო მოქმედებების პირველივე დღიდან ყარაბაღის რეგიონში გახდა, რომ ახალი ტაქტიკის ათვისებამ აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს გადამწყვეტი უპირატესობა მიანიჭა საბრძოლო მოქმედებებში, რაც ბრძოლით მოპოვებულ ტერიტორიებმა დაადასტურა. ოქტომბერში უკვე დაიწყო აქტიური საბრძოლო მოქმედებები მთელი ფრონტის გასწვრივ, მხარეებმა ჩართეს არაპირდაპირი ცეცხლიც, რამაც ორივე მხარეს დიდი ზიანი მიაყენა. სომხური მხარე მისი შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, აქტიურად გადავიდა თავდაცვაში და თხრილებისა თუ სხვადასხვა ფორთიფიკაციების ხარჯზე შეიქმნა ილუზია, რომ აზერბაიჯანის არმია ამ დაუძლეველ ბარიერს ვერ გადალახავდა, ან გადალახვა დიდ დანაკარგებს მიცემდა, რომელიც ბაქოს პოლიტიკურად იმდენად ძვირი დაუჯდებოდა რომ ხელს ააღებინებდა ყარაბაღის ძალით შემოერთებაზე. 30 წლის განმავლობაში აშენებული თავდაცვითი ზღუდეები მოწყობილი იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვან სიმაღლეზე. თავდაცვაზე ორიენტირებულმა ტაქტიკამ არ გამართლა, რადგან ერევანმა ვერ გათვალა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ტექნოლოგიური უპირატესობა, რამაც ფაქტობრივად ჩამოშალა მათი ეშელონირებული თავდაცვა სამხრეთ ფრონტზე, სადაც რელიეფი შედარებით დაბალია და თავდაცვითი ნაგებობების ეფექტურობა მთიან რეგიონთან შედარებით-ნაკლები. ამან აზერბაიჯანს მისცა საშუალება ფრონტის ხაზი გაერღვია სამხრეთიდან. სომხებს კი 28 ოქტომბრის მოცემულობით მხოლოდ 2 კონტრშეტევის მცდელობა ჰქონდა: ერთი ჰადრუთის მიმდებარედ, ხოლო მეორე- გუბადლის მიმართულებით. ორივე მათგანი წარუმატებელი აღმოჩნდა. სულ ბოლოს, აზერბაიჯანულმა არმიამ განახორციელა ტაქტიკურად წარმოუდგენელი სირთულის შუშის ოპერაცია, რითაც აიღო ეს სტრატეგიულ სიმაღლეზე მდებარე ქალაქი, რომელიც სტეპანაკერტიდან 11 კმ-შია და ომის საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

10 ნოემბერს ძალაში შევიდა ათპუნქტიანი საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ძნელია ზუსტად განისაზღვროს წაგებული და მოგებული მხარეები. ფაქტია,რომ აზერბაიჯანმა მოიგო: ომით გაათავისუფლა და ამ დოკუმენტით შემოიმტკიცა მთიანი ყარაბაღის გარშემო 7 აზერბაიჯანული ოლქი და სამხრეთ ყარაბაღის ნაწილიც, რომელშიც ყარაბაღის ისტორიული ცენტრი და სიდიდით მეორე ქალაქი, შუშა შედის. სომხეთმა ასევე დადო პირობა, რომ წლის ბოლომდე აზერბაიჯანს დაუბრუნებს აღდამის, ქალბაჯარისა, ლაჩინის ოლქებს და მისცემს კორიდორს სომხეთის ტერიტორიაზე სიუნიქის ოლქში, რომლითაც აზერბაიჯანი თავის ანკლავ ნახჭევანს დაუკავშირდება. სომხეთისთვის კი, ეს ფაქტობრივად კაპიტულაციას ნიშნავდა, მაგრამ მათი კონტროლის ქვეშ დარჩა ყარაბაღის ¾ და ყარაბაღის გარეთ მყოფ ლაჩინიც და ეძლევა დერეფანიც, რომლითაც ეს რეგიონი სომხეთს უკავშირდება. აზერბაიჯანის კორიდორსაც და სომხეთის დერეფანსაც დაიცავენ რუსი მშვიდობისმყოფელები, რაც რუსეთის წარმატებაა რეგიონში და აზერბაიჯანის მასზე დამოკიდებულებას ბევრად ზრდის. სომხეთს კი პრაქტიკულად არ უტოვებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებას. რაც შეეხება თურქეთს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნება რუსულ-თურქული "ზავის მონიტორინგის ცენტრი", რომელიც შეთანხმების განხორციელებას დააკვირდება. ჯერჯერობით დაუდგენელია განათავსებს თუ ვერა თურქეთი საჯარისო ნაწილებს აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.[16]

ყარაბაღის ომის დროს რუსეთის თავშეკავებულ პოზიციას სხვადასხვაგვარად ხსნიან: პირველი- ეს პუტინის მიერ ფერადი რევოლუციების მიუღებლობას მიაწერენ. თუ პასუხს რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებში მოვძებნით, გასული 30 წლის განმავლობაში სამხედრო, ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით გაძლიერებული აზერბაიჯანი ადრე თუ გვიან აღარ შეეგუებოდა 1990-იანი წლების მარცხის შედეგებს. კრემლმაც არჩია კონფლიქტში ცვლილებები მოხდარიყო მაშინ, როდესაც მას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ბერკეტები ჰქონდა მოვლენების თავის სასიკეთოდ შემოსატრიალებლად.[17] გაიჟღერა ვერსიამ, რომ კრემლი მსგავსი არგუმენტებით საკუთარ, შიდა

---

[15] მარიამ დალაქიშვილი. ,,კოლექტიური მეხსიერების როლი პატარა ქვეყნების კონფლიქტების მოგვარებაში" თბილის (2018) გ.ვ 27-29

[16] ირინა არაბიძე. ,,რუსეთი ზევით, თურქეთი შიგნით, დასავლეთი გარეთ, საქართველო მარტო", ტაბულა (2020)

[17] ირინა არაბიძე. ,,რუსეთი ზევით, თურქეთი შიგნით, დასავლეთი გარეთ, საქართველო მარტო", ტაბულა (2020)

პრობლემებს მალავს და კიდევ ერთ ომში მასშტაბურად ჩარევისთვის რესურსები არ ეყოფოდა. ფაქტი კი ერთია- მოსკოვს მოვლენების სადავე ხელიდან არ გაუშვია.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვიხილეთ თურქეთი ჩართული კავკასიის ეთნო-კონფლიქტებში. მართალია, ამჯერად ეს მხოლოდ ფორმალურია და ჯერ მხოლოდ რუსულ-თურქული ცენტრის წევრობით შემოიფარგლება, მაინც აღსანიშნავია, რომ ერდოღანის მრავალწლიანი მცდელობა: თურქეთს გარკვეული როლი მიეღო ამ კონფლიქტის დარეგულირებაში მიღწეულია, თანაც მაშინ, როდესაც პროცესში დასავლეთი პრაქტიკულად არაა ჩართული.

ამგვარად, მოხსენებაში ჩვენ ვისაუბრეთ მთიან ყარაბაღში მიმდინარე იმ ხანგრძლივ პროცესებზე, რამაც რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობა დღევანდელი სახით ჩამოაყალიბა, თუ რამ გამოიწვია დაპირისპირება და როგორ გადაიზარდა ის ომში. რა პროცესები წარიმართა საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ და რა ცვლილებები დაიწყო XX საუკუნის მიწურულს. როგორ გაჩაღდა და რა შედეგით დასრულდა მთიანი ყარაბაღის პირველი ომი. როგორ გადაიზარდა სიტუაცია შემდგომში გაჭიანურებული, უშედეგო მოლაპარაკებების და გაყინული კონფლიქტის პროცესად, რომელსაც პერიოდულად სიტუაციის გამწვავება ახლდა. საბოლოოდ კი, რა ცვლილებები მოიტანა 2020 წლის უახლესმა მოვლენებმა რეგიონში. რეგიონის ისტორიის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ კონფლიქტის მონაწილე ორივე ერს საკუთარი მკაფიო არგუმენტები აქვთ, თუ რატომ უნდა შედიოდეს მთიანი ყარაბაღი მათ შემადგენლობაში. უშუალოდ ომის დაწყებაშიც, სწორედ, მათმა კოლექტიურმა მეხსიერებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. 30 წლით გაყინული კონფლიქტი კი სტატუს კვოს ცვლილებამდე მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებამ მიიყვანა, მაგრამ ჯერჯერობით პრობლემის გადაწყვეტას ბოლო არ უჩანს. ბოლოს მიმდინარე პორცესებით რეგიონში გავლენა გაიღრმავა რუსეთმა, თურქეთმა მიიღო აქ შემოსვლის შესაძლებლობა, სომხებმა დაკარგეს ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილი, ხოლო აზერბაიჯანმა მიიღო როგორც ტერიტორიული მონაპოვარი, ასევე მისაღები საზავო დოკუმენტი.

შეიძლება ვივარუდოთ, რომ რეგიონში დაწყებული ცვლიბებების ფონზე მოსალოდნელია ძალთა ბალანსის ცვლილებაც. რუსეთმა გაიმყარა პოზიციები კავკასიაში და გავლენა მოიპოვა აზერბაიჯანზე, თურქეთი კი პირველად ჩაერთო კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, ამ ყველაფერმა კი დასავლეთი აქ როლის გარეშე დატოვა. შესაბამისად, არაა გამორიცხული რეგიონში ნატოსა და ევროკავშირის აქტიურობა გაძლიერდეს, თუმცა ვინაიდან დასავლეთში მსგავს ქმედებებს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვება ხოლმე, ამიტომ შესაძლოა, ცალკეული აქტორები, მაგალითად, როგორიცაა აშშ- გაძლიერდნენ რეგიონში. ეს კი, სავარაუდოდ, საქართველოზე უნდა აისახოს დადებითად, ვინაიდან რუსეთს მხოლოდ აქ არ აქვს საკმარისი გავლენა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Dilgam Yunis Ismailov. ,,History of Azerbaijan“, AZMİU NPM, Baku (2017)
2. როლანდ თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, სალექციო კურსი, თბილისი, (2007).
3. ESAT URAS. ,,THE ARMENIANS IN HISTORY AND THE ARMENIAN QUESTION”, DOCUMENTARY PUBLICATIONS (1988)
4. ირინა არაბიძე. ,,რუსეთი ზევით, თურქეთი შიგნით, დასავლეთი გარეთ, საქართველო მარტო“, ტაბულა (2020), თბილისი
5. Svante E. Cornell. “Undeclared war: The Nagorno-karabakh conflict reconsidered”, journal of south asian and middle eastern studies, Vol. XX No.4(1997)
6. Ali Askerov. ,,The Nagorno Karabakh Conflict- The Beginning of the Soviet End”
7. Anatomy of a Rumour: Murder Scandal, the Musavat Party and Narratives of the Russian Revolution in Baku, 1917-20 Author: Michael G. Smith (2001)
8. ბექა კობახიძე. ,,ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი რეგიონი ბექა კობახიძე“, პუბლიკა (2020) თბილისი
9. EDITORIAL COUNCIL. ..Armenian-Azerbaijani Conflict. Roots: Massacres of 1905-1906” , JOURNAL OF THE MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN № 18-19, 2008

# თანამედროვე გეოპოლიტიკური ეპოქის რაობისათვის


**ბექა ელიავა**

ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი ნოდარ ხონელიძე

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



**ანოტაცია**

სპეციალურ ლიტერატურაში ბოლო გეოპოლიტიკურ ეპოქად მიჩნეულია იალტის გეოპოლიტიკური ეპოქა, რომელიც არ ასახავს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებსა და დღის წესრიგს. აღნიშნული გეოპოლიტიკური ეპოქა ასახავდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემას- 1945 წლიდან 1991 წლამდე. დღეს ვითარება მსოფლიოში არსებითად შეცვლილია და შესაბამისად, საჭიროა ისტორიაში მოიძებნოს ისეთი საკვანძო მომენტი, საიდანაც შევძლებთ, რომ დავიწყოთ ახალი გეოპოლიტიკური ეპოქის ათვლა. რა თქმა უნდა, ის უნდა აკმაყოფილებდეს გეოპოლიტიკური ეპოქის ყველა კომპონენტს. წარმოდგენილ მოხსენებაში განხილულია თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების შედარება იალტის გეოპოლიტიკურ ეპოქასთან, არგუმენტირებულად არის დასაბუთებული მისი შესაბამისობა თანამედროვეობასთან და ასევე მოცემულია სამი გეოპოლიტიკური სურათი.



**საკვანძო სიტყვები:**

გეოპოლიტიკური ეპოქა, გეოპოლიტიკური სურათი, ბელოვეჟიეს გეოპოლიტიკური ეპოქა, ბელოვეჟიეს გეოპოლიტიკური სურათები.


# FOR THE ESSENCE OF THE MODERN GEOPOLITICAL ERA


**BEKA ELIAVA**

Head:Visiting Lecturer Nodar Khonelidze

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia



**ANNOTATION**

The last geopolitical era in the special literature is considered to be the Yalta geopolitical era, which does not reflect the problems of modern international relations and the agenda. This geopolitical era reflected the post-World War II international system from 1945 to 1991. The situation in the world today has changed substantially and therefore it is necessary to find such a key moment in history from which we can start the starting point of a new geopolitical era. Of course, it must meet all the components of the geopolitical era. The present report discusses the comparison of the current geopolitical situation with the Yalta geopolitical era, argues for its relevance to modernity, and also gives three geopolitical pictures.



**KEYWORDS:**

Geopolitical era, Geopolitical picture, The geopolitical era of Belovezh, Belovezh geopolitical pictures.


გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერებათა სისტემა, წარმოადგენს ერთგვარ მსოფლმხედველობას, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოებისა და ისტორიის შესწავლას, ასევე იმ სისტემების განხილვა-გაანალიზებას, რომელთა მიზანს წარმოადგენს მნიშვნელოვან პრინციპებად რაიმე კრიტერიუმების გამოყოფა და ადამიანისა და ბუნების მრავალი ასპექტის მათზე დაყვანა.[1] შესაბამისად, კაცობრიობის ისტორიას, თუ გეოპოლიტიკურ ჭრილში შევხედავთ, ის შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც გეოპოლიტიკური ეპოქებისა და ძალთა ბალანსის ცვლილების ისტორია. ცნება-გეოპოლიტიკური ეპოქა გულისხმობს საერთაშორისო მაშტაბით ძალთა ბალანსის ისეთ ცვლილელებებს, რომელიც არსებითად აისახება მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე (სახელწიფოთა საზღვრების შეცვლა, ტერიტორიების, გავლენის სფეროების გადანაწილება). ასეთი ცვლილებები, როგორც წესი, ფორმდება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით და სახელწოდებას იღებს იმ ადგილის მიხედვით, სადაც ეს მოხდა. გეოპოლიტიკურ სურათს რაც შეეხება, ეს არის ეპოქისგან განსხვავებით შედარებით მდგრადი და ნაკლებად დინამიური მოვლენა, რომელსაც დღევანდელი ვითარების ჭრილში ქვემოთ განვიხილავთ.

## გეოპოლიტიკური ეპოქები

XV საუკუნის დასასრულიდან XX საუკუნის ჩათვლით, დღევანდელობამდე ისე მოვედით, რომ ხუთი გეოპოლიტიკური ეპოქა და თერთმეტი გეოპოლიტიკური სურათი მივიღეთ. აქვე შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რატომ მაინცდამაინც მეთხუთმეტე საუკუნიდან? როდესაც მანამდეც მიმდინარეობდა პოლიტიკური ურთიერთობები

[1] ნიკა ჩიტაძე. გეოპოლიტიკა. „უნივერსალი" თბილისი 2011. გვ 26.

სახელმწიფოებს შორის. ამისი გამომწვევი რამდენიმე მიზეზი შეიძლება იყოს. დავიწყოთ იქიდან რომ, გეოპოლიტიკური ეპოქა ეს არის ფართო ცნება და ის მოიცავს გლობალურ დონეს. შესაბამისად, ადრეულ საუკუნეებში ჩვენ გაგვაჩნდა მხოლოდ ვიწრო გეოგრაფიული და პოლიტიკური გაგება, ანუ ჯერ არ იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, არ იყო ფლოტი განვითარებული და ა.შ. შესაბისად, ისეთი სახის ხელშეკრულება, რომელიც სცდებოდა ორი ქვეყანას შორის ურთიერთობის დონეს და იღებდა გლობალურ მასშტაბს, ასეთი პრაქტიკა ჯერ არ არსებობდა. მსოფლიოს განვითარებამ, პირველ რიგში, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა განაპირობა, რომ პოლიტიკამ თუნდაც ორ სახელმწიფოს შორის მიიღო მაშსტაბური ხასიათი და მათ გადაწყვეტილებებმა გავლენა მოახდინა დანარჩენ მსოფლიოზე. სწორედ ამიტომ, დროთა განმავლობაში დიდი აქტორების გადაწყვეტილებები საგარეო პოლიტიკაში ავტომატურად, მცირედით, თუ მნიშვნელოვნად გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე. სწორედ ამიტომ დაიწყო გეოპოლიტიკური ეპოქების ხანა XV საუკუნიდან და გრძელდება დღემდე. რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანზე არ შევჩერდებით, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და ჩვენი საუბრის თემასაც ავცდებით. გეოპოლიტიკური ეპოქების ათვლის წერტილი იწყება 1494 წელს ტორდესილიასის ხელშეკრულებით, ანუ პირველი ეპოქით და მთავრდება 1945 წლის იალტის ხელშეკრულებით, ანუ ბოლო გეოპოლიტიკური ეპოქით[2] , ხოლო მეთერთმეტე სურათი წარმოადგენს ახალ „უნიპოლარულ“ მსოფლიოს, რომელიც ცივი ომის შემდგომ მივიღეთ. ახლა კი, ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ბოლო ეპოქა დღევანდელობას და რამდენად შეგვიძლია მოვარგოთ ის თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებას. ტოპონიმები იქედან არის აღებული, სადაც გაფორმდა ეს ხელშეკრულება.

## დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარება

ბუნებრივია, რომ დღევანდელი პოლტიკური მოცემულობა შედარებით მალე იცვლება, ვიდრე ის იყო წინა საუკუნეებში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს თანამედროვეობის სწრაფი ტექნოლოგიური და საზოგადოებრივი განვითარებით. ცხადია, რომ დღეს გაცილებით განსხვავებულ სამყაროში ვცხოვრობთ ვიდრე იყო ის, რომელიც რეგულირდებოდა იალტის შეთანხმებით. კაცობრიობამ მას შემდეგ ცივი ომის რეალობა გამოიარა, ხოლო ამ უკანასკნელის დასასრულმა სრულიად ახალ ეპოქას დაუდო სათავე- ვგულისხმობთ გლობალიზაციის პროცესს, ეკონომიკური, სოციალური და სხვა სფეროების კომპიუტერიზაციას, ჰიბრიდული ომების წარმოშობას, საერთაშორისო ტერორიზმს, კიბერუსაფრთხოების პრობლემებსა და ა.შ.

## ბელოვეჟიეს ეპოქა

ზემოთ აღნიშნული ცივი ომის დასრულება კონკრეტულად გამოიხატა საბჭოთა კავშირის დაშლით, რომელიც 8 დეკემბერს გაფორმდა ბელოვეჟიეს ტევრის ნაკრძალში, როდესაც „...ბელორუსის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სტანისლავ შუშკევიჩმა სანადიროდ მიიწვია რსფსრ-ის პრეზიდენტი ბორის ელცინი და უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი. დროსტარების რაღაც ეტაპზე რსფსრ-ის სახელწიფო მდივნის, გენადი ბერბულისის წინადადებით, თავის დროზე საბჭოთა კავშირის დამაარსებელი სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, გაეუქმებინათ ეს კავშირი და გამოაქვეყნეს: ,,სსრკ, როგორც გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, თავის არსებობას წყვეტს“ (დედანში: ,,СССР как геополитечаская реальность и субъелт международного права прекащает свое существование).“[3] არსებული მონაცემებით სრული საფუძველი გვაქვს, რომ ამ ახალ გეოპოლიტიკურ ეპოქას, რომელსაც სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის გაქრობამ მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან და რაც დეკლარირებული იყო ბელოვეჟიეს ტევრის შეთანხმებაში, სწორედ ბელოვეჟიეს გეოპოლიტიკური ეპოქა ვუწოდოთ. ვინაიდან ის პასუხობს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს, კერძოდ, ბელოვეჟიეს შეთანხმებას რომ ვუწოდოთ ახალი გეოპოლიტიკური ეპოქის დასაწყისი, ამისი უფლება ნამდვილად გვაქვს, ვინაიდან ის პასუხობს გეოპოლიტიკური ეპოქის „მოთხოვნებს“. კერძოდ: ძირეულად იცვლება ძალთა ბალანსი მსოფლიოში, ვინაიდან ბიპოლარული სისტემიდან უკვე გადავდივართ უნიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც მხოლოდ ერთი ჰეგემონი სახელწიფო- ამერიკის შეერთებული შტატები რჩება მთავარ აქტორად. შესაბამისი ცვილილებები ხდება მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, რადგან იშლება საბჭოთა კავშირი და მის ადგილას 15 დამოუკიდებელი და 4 თვითგამოცხადებული ან ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფო ჩამოყალიბდა; აღმოსავლეთ ევროპის, ანუ ეგრეთ წოდებული სოციალისტური ბანაკის სახელწიფოები, რომლებიც ვარშავის პაქტის წევრები იყვნენ, რეალურად დამოუკიდებელნი გახდნენ და თანდათანობით, ეტაპობრივად ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანდნენ. ბოლოს გეოპოლიტიკურ ეპოქას აყალიბებს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც უკვე ვახსენეთ და რომელიც გაფორმდა 3 სუბიექტს შორის 1991 წელს. რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეფასებით 2005 წლის 25 აპრილის ფედერალურ კრებაზე: ,,საბჭოთა კავშირის დაშლა მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო“.[4] რეალურად, ამ მოვლენამ შექმნა სრულიად ახალი და განსხვავებული გეოპოლიტიკური წესრიგი, დაიშალა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი „იმპერია“ (თუმცა ოფიციალურად საბჭოთა კავშირი არ იყო იმპერია), ხოლო მის შემადგენლობაში მყოფი აწ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები იწყებენ ინტეგრაციას მსოფლიო პოლიტიკაში.

## პირველი სურათი

გეოპოლიტიკურ ეპოქებს ახასიათებთ საკუთარი გეოპოლიტიკური სურათები, რომლებიც მოცემული ეპოქების ფარგლებში გვიჩვენებენ პოლიტიკური ცვლილებების ნაკლებად დინამიკურ მოვლენებს.

[2] ნიკა ჩიტაზე, გეოპოლიტიკა, „უნივერსალი“ თბილისი 2011. გვ 99

[3] რევაზ გაჩეჩილაძე. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მეორე განახლებული გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი 2017. გვ 424.

[4] https://regnum.ru/. В. Путин: «Распад СССР - крупнейшая геополитическая катастрофа века».МОСКВА, 25 апреля 2005.

ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ ეპოქაში პირველი ასეთი სურათი შეგვიძლია შემოვსაზღვროთ 1991 წლიდან 2001 წლის 11 სექტემბრამდე. ეს იყო პერიოდი, რომელიც ხასიათდებოდა ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების წარმოშობით ჯერ სსრკ-ს გარშემო „ხავერდოვანი" და ძალისმიერი რევოლუციებით, ხოლო შემდგომ უკვე რუსეთის გარშემო. გარდა ამისა, მოცემული ეპოქისთვის დამახასიათებელი იყო საბრძოლო მოქმედებების საკმაო რაოდენობა მთელ მსოფლიოში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველად საბრძოლო მოქმედებები დაიწყო ევროპაში, კერძოდ, ბალკანეთსა და ჩრდილოკავკასიაში. ასევე გაჩაღდა კონკურენცია ენერგორესურსების მოსაპოვებლად. ეს პერიოდი აშშ-ს უალტერნატივო ჰეგემონობით ხასიათდება, ანუ საერთაშორისო სისტემა ცალსახად უნიპოლარულია.

## მეორე სურათი

2000-იანი წლების დასაწყისიდან როგორც შეერთებული შტატები, ისე მთელი მსოფლიო დგება ახალი გამოწვევის წინაშე, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თითქმის მთელი ცივილიზირებული მსოფლიო ჩაერთო-ეს გახლავთ საერთაშორისო ტერორიზმი. ტერორისტული აქტები კაცობრიობის არსებობის თანმხლები პროცესია, თუმცა მან მიიღო სხვა სახე, სხვა მასშტაბები, ვიდრე ეს იყო ადრე. რეალურად, ანტიტერორისტული კამპანიაც გახდა მისი გამძაფრების ერთ-ერთი ფაქტორი. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედია გახდა კატალიზატორი ანტიტერორისტული კამპანიისა, ვინაიდან ტერაქტმა მთელ მსოფლიოში გამოიწვია ტერორიზმის საშიშროების უფრო მკაფიო აღქმა. ამერიკის ამ პოლიტიკას მხარი დაუჭირა სხვადასხვა ქვეყნებმა და მისმა მოკავშირეებმა, გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა კი ამ ფაქტთან დაკავშირებით ბევრი ევროპელი კოლეგის აზრი ამ სიტყვებით გამოხატა: ,,ეს მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ომის გამოცხადებაა!" ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ს მხარი დაუჭირეს ნატომ და ევროკავშირმა. ნატო-მ 9/11-ის შემდეგ მყისიერად გამოხატა ამერიკის მხარდაჭერა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნატო-მ პირველად აამოქმედა მე-5 მუხლი, რომელიც მოიცავს წევრი ქვეყნების საერთო დაცვას საფრთხის დროს.

ბელოვეჟიეს გეოპოლიტიკური ეპოქის მეორე სურათი ყველასთვის თვალშისაცემი და აქტუალი გახდა: 9/11 ის ტერორისტული აქტის შედეგად წარმოშობილი დაპირისპირება არა მხოლოდ სამხედრო, არამედ იდეოლოგიურ ხასიათსაც ატარებდა. ტერორიზმთან ბრძოლა გახდა თითოეული სახელმწიფოს ამოცანა, რათა დაეცვა საკუთარი უსაფრთხოება. შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა დაიწყეს ტერორისტთა ფსიქოლოგიის შესწავლა, მათი დაკითხვის სპეციფიკის შემუშავება, იქმნებოდა შესაბამისი ანტიტერორისტული დაჯგუფებებიც, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, მთელი ცივილიზირებული სამყარო ჩაერთო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა შესაძლო და ხელმისაწვდომი საშუალებებით, სამხედრო ძალით დაწყებული და კინომატოგრაფიით დამთავრებული.

ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ არ კარგავს აქტუალურობას 2001 წლიდან დღემდე. ჩვენ ვიხილეთ ბრძოლები თალიბების, მოჯაჰედების, ალქაიდას, ისლამური სახელწიფოს მებრძოლი ჯიჰადისტების წინააღმდეგ. ეს შეიძლება ჩაითვალოს ბოლო დროის ყველაზე ცხელ დაპირისპირებად, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო და ადგილობრივი ძალები ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ისლამურმა სახელმწიფომ ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, ასევე შემცირდა უცხოელი მებრძოლების რიცხვი და შემოსავლის წყაროები. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა აღმოფხვრილი არ არის.

## მესამე სურათი

თანამედროვე გეოპოლიტიკური ეპოქის მესამე სურათის დაწყებას ჩვენ ვუკავშირებთ 2008 წლის აგვისტოს ომს რუსეთსა და საქართველოს შორის. სრულად ვიზიარებთ შემდეგ მოსაზრებებს: „ამ ომმა ყველას დაანახა, რომ არ არსებობს არანაირი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი, არამედ ერთმანეთს შეეჯახა ევროატლანტიკური ცივილიზაცია და რუსული შოვინიზმი, რომლის ასპარეზიც საქართველო გახდა."[5] ასევე სრულად ვეთანხმებით, რომ „ ...ეს ომი მხოლოდ საქართველოს კი არა, არამედ ვაშინგტონის, ნატო-სა და ზოგადად-დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი ასევე მიზანში იღებდა ევროპული უსაფრთხოების სისტემის, რომელიც საქართველოს მსგავს ქვეყნებს აგულიანებდა, დასავლეთისკენ აიღო გეზი-მოსკოვის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთის მიზანი იყო ნებისმიერი შესაძლებლობა მოესპო ნატო-ს გაფართოებისთვის საქართველოსა, თუ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში და ამავე დროს, მეზობლებისთვისაც დაენახვებინა, რა შეიძლება მოჰყვეს დასავლეთთან ზედმეტად დააახლოების სურვილს. ამას ისიც ადასტურებს, როგორ შუქდებოდა ომი რუსულ პრესაში, რა წარწერები დატოვეს რუსმა ჯარისკაცებმა საქართველოში და როგორ უხსნიდნენ საომარი მოქმედებების ზონაში მყოფი რუსი მაღალჩინოსანი ოფიცრები საკუთარ მისიას ქართველ და დასავლელ ჟურნალისტებს. რუსეთის ქმედება მიზნად ისახავდა ჭკუის სწავლებას არა მარტო საქართველოსთვის, არამედ დასავლეთისთვისაც: ყველას ნათლად უნდა დაენახა- მოსკოვი დღეს ანაგარიშგასაწევი ძალაა და რუსეთის სტრატეგია- უკანდახევის ხანაც უკვე წარსულს ჩაბარდა"[6]. „...ომი არ გამართულა ტერიტორიის, უმცირესი უფლებებისა თუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების სამომავლო სტატუსის გამო. რუსეთი აცხადებს, თითქოს „იძულებული გახდა" საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთში განხორციელებული აგრესიის პასუხად ჩარეულიყო და ის უბრალოდ თავის სამშვიდობოებსა და მოქალაქეებს იცავდა. ყველაფერი ეს თითიდანაა გამოწოვილი: არავისთვის სადავო არ არის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ნამდვილად დაძაბული იყო და ეს კონფლიქტებიც- რეალური. მაგრამ ომის უმთავრესი მიზეზი გეოპოლიტიკურია- საქართველოს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი, რუსეთი კი ამას ვერ შეეგუა."

---

[5] ნარგიზა გამისონია, დოდო პერტაია. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისროს ომი და მისი შედეგები. თბილისი 2009. გვ.251.

[6] რონალდ დ.ასმუსი. მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი, 2010. გვ 6.

2008 წლის ომი, ამ ვიწრო გაგებით შეიძლება ჩავთვალოთ როგორც რუსეთის ფედერაციის საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო მოქმედებები, მაგრამ ის ფართო გაგებით-მთლიანი დასავლეთის წინააღმდეგ იქნა წამოწყებული. საქართველო უბრალოდ ფიზიკური სამიზნე აღმოჩნდა. ასე ვთქვათ, „პოლიტიკური შოლტი" სწორედ დასავლეთისკენ იყო მოქნეული. თბილისი, უბრალოდ რუსეთში წლების მანძილზე აშშ-ს, ნატოსა თუ საქართველოს მხარდამჭერი ევროპული ქვეყნების მიმართ დაგროვებული ბრაზისა და წყენის გამო დაისაჯა. ამაზე მეტყველებს ყველაფერი: როგორ შუქდებოდა ეს ომი რუსულ მედიაში, როგორ ხედავდნენ საკუთარ მისიას რუსი ოფიცრები და რა კვალს ტოვებდა უკვე ქვეყნიდან გასული რუსული ჯარი საქართველოში. ნახსენები წყენა და სიბრაზე, პირველ რიგში, აშშ-სა და ნატოს მიმართ არსებობდა, მაგრამ- არა მხოლოდ, რუსი ჯარისკაცები არანაკლები სიამოვნებით წვავდნენ და ანადგურებდნენ ევროკავშირის დროშებსა და სიმბოლოებსაც, რუსული პროპაგანდა ომის დაწყებაში არა მარტო საქართველოს დადანაშაულებას ცდილობდა, არამედ პირდაპირ ადებდა ხელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მას „კონფლიქტის პროვოცირებას" აბრალებდა.

„დასავლეთში ბევრი შეეცადა თავი მოეტყუებინა და მიეჩნია, თითქოს რუსეთ-საქართველოს ომი ერთი ლოკალური კონფლიქტი იყო და მათ ამაში წილი არ ედოთ. თუმცა ეჭვგარეშეა, რომ თავად რუსების თვალსაზრისით, ამ ომმა ხაზი გაუსვა ახალი რუსული პოლიტიკის საწყისს, რაც დასავლეთის გავლენის შეკავებისა და სამომავლოდ რუსეთის საზღვრებთან დასავლური ინსტიტუტების გაჩენის არდაშვებას გულისხმობდა." ციტირებულების დადასტურებად და ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს წინააღმდეგ ნამდვილად ქმნის ახალ გეოპოლიტიკურ სურათს გამოდგება ისიც, რომ „აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთი ღიად ალაპარაკდა ახალ მსოფლიო წესრიგზე და პრეზიდენტმა დ. მედვედევმა ამ წესრიგის დისკურსში მეორე პუნქტად მიუთითა მრავალპოლუსიანი მსოფლიო, ანუ ერთპოლუსიანი მოდელის მიუღებლობა რუსეთისთვის, ხოლო მეხუთე პუნქტად ის, რომ რუსეთს აქვს განსაკუთრებული ინტერესების სფეროები, რაც, ძირითადად, მის მოსაზღვრე სახელმწიფოებზე ვრცელდება, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით." (გამისონია, პერტაია, გვ. 254-55).

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომმა მოვლენებმა, კერძოდ, რუსეთის მოქმედებებმა უკრაინაში 2014 წელს და სირიაში 2015 წლიდან, დამატებითი საფუძველი მოგვცა ვამტკიცოთ, რომ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორცილებელი სამხედრო ინტერვენცია და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20%- ის ოკუპაცია გახდა თანამედროვე გეოპოლიტიკური ეპოქის მესამე სურათის პრელუდია.

ამგვარად, ნაშრომში ჩვენ წარმოვადგინეთ გეოპოლიტიკური ეპოქების შემდგომი თანმიმდევრობა, იალტის ეპოქა (1945-1991), გავაგრძელეთ ბელოვეჟიეთი (1991) თავის სამ გეოპოლიტიკურ სურათთან ერთად (1991-2001, 2001-2008, 2008-) ამისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ახალი გეოპოლიტიკური ეპოქის ათვლის წერტილად აგვეღო ბელოვეჟიეს ტევრის ხელშეკრულება, ხოლო უკვე მის ფარგლებში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები განვასხვავეთ და ერთმანეთისგან გავმიჯნეთ გეოპოლიტიკური სურათების სახით.

ფაქტია, რომ ბელოვეჟიეს გეოპოლიტიკური ეპოქა ჯერ არ დასრულებულა. მოხდება თუ არა მსოფლიო პოლიტიკაში მოვლენა, რომელიც ახალი გეოპოლიტიკური მოვლენის მომასწავლებელი იქნება თუ მხოლოდ ამჟამად არსებულის ახალი სურათი, ამის პროგნოზირება ჩვენი ამოცანა არ არის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1) ნიკა ჩიტაძე. გეოპოლიტიკა. უნივერსალი, თბილისი 2011.

2) რევაზ გაჩეჩილაძე. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მეორე განახლებული გამოცემა.ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი 2017.

3) ნარგიზა გამისონია, დოდო პერტაია. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი 2009.

4) რონალდ დ.ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. 2010


[7] რონალდ დ.ასმუსი. მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. ილიას სახელიფო უნივერსიტეტი, 2010. გვ 9

[8] რონალდ ასმუსი. მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. 2010

[9] ნარგიზა გამისონია, დოდო პერტაია. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი 2009. გვ 254-255.

# კიბერუსაფრთხოების ძირითადი საფრთხეები და ტენდენციები


ლაშა კახაბრიშვილი / გიორგი ქურასბედიანი
ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი. პროფესორი თინათინ მშვიდობაძე
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



ანოტაცია

ნაშრომში განხილულია კიბერუსაფრთხოების სახეები, აღწერილია კიბერ საფრთხეები, რომელიც სამ კატეგორიად იყოფა: საფრთხეები კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის. მოცემულია რეკომენდაციები კიბერშეტევებისგან დასაცავად. განხილულია უსაფრთხოების სისტემებში დაშიფრვის ძირითადი კონცეფციები და სახეები. მოცემულია დაშიფრვის ალგორითმების მიმოხილვა, რომელთაგან ყურადღება გამახვილებულია AES ალგორითმის სპეციფიკაციებსა და მუშაობის პრინციპზე. დღეისათვის კიბერუსაფრთხოების გამოწვევები ფართოვდება, ამიტომ ინფორმირება და სიფრთხილე ონლაინ რეჟიმში არის საუკეთესო გზა ქსელების, მონაცემების და მოწყობილობების დასაცავად.



საკვანძო სიტყვები:
კიბერუსაფრთხოება, კიბერშეტევები, დაშიფრვის სისტემები, დაშიფრვის ალგორითმები.


# MAJOR THREATS AND TRENDS IN CYBERSECURITY


LASHA KAKHABRISHVILI / GIORGI KURASBEDIANI
Head: Visiting Lecturer-Professor Tinatin Mshvidobadze
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia



ANNOTATION

In this paper is shown the types of cyber security. Cyber threats are described, which are divided into three categories: threats to privacy, integrity and accessibility. Recommendations are given to protect against cyber attacks. The basic concepts and types of encryption in security systems are discussed. An overview of encryption algorithms is provided, focusing on the specifications and working principle of the AES algorithm.

Nowadays, cyber security challenges are expanding, so online awareness and caution is the best way to protect your networks, data and devices.



KEYWORDS:
Cyber Security, Cyber Attacks, Encryption Systems, Encryption Algorithms.


კიბერუსაფრთხოება არის ელექტრონული სისტემების, ქსელების, კომპიუტერების, მობილური მოწყობილობების, პროგრამებისა და მონაცემების ნებისმიერი ტიპის კიბერშეტევისგან დაცვისა და აღდგენის მდგომარეობა ან პროცესი, თავდაცვის პრაქტიკა.

კიბერუსაფრთხოებაარისITუსაფრთხოებისქვეჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ IT უსაფრთხოება იცავს როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ მონაცემებს, კიბერ უსაფრთხოება იცავს ციფრულ მონაცემებს არასანქცირებული წვდომისგან, თავდასხმისა და განადგურებისგან. არსებობს რამდენიმე სახის უსაფრთხოება:

***კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება*** - შედგება კიბერ-ფიზიკური სისტემებისგან, როგორიცაა ელექტროქსელი და მისი დაცვის სისტემები.

***ქსელის უსაფრთხოება*** - იცავს შიდა ქსელებს შემტევი ობიექტებისგან ინფრასტრუქტურის დაცვით. ქსელის უსაფრთხოების მაგალითებია ორფაქტორიანი ავტორიზაციის (2FA) და ძლიერი პაროლების განხორციელება.

***აპლიკაციის უსაფრთხოება*** - იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და ტექნიკას გარე საფრთხეებისგან დასაცავად, რომლებიც შესაძლოა თავს იჩენდეს პროგრამის განვითარების ეტაპზე. აპლიკაციის უსაფრთხოების მაგალითებია ანტივირუსული პროგრამები, ეკრანები და დაშიფვრა.

***ინფორმაციის უსაფრთხოება*** - ასევე ცნობილი როგორც InfoSec, იცავს როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ მონაცემებს არასანქცირებული წვდომის, გამოყენების, შეცვლის, გამჟღავნების, წაშლის ან სხვა სახის არასწორი ფორმებისგან.

***ღრუბლის უსაფრთხოება*** - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული ინსტრუმენტია, რომელიც იცავს და აკონტროლებს მონაცემებს ღრუბელში, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკები, რომლებიც დაკავშირებულია შიდა შეტევებთან.

***მონაცემთა კარგვის პრევენცია*** - ითვალისწინებს მონაცემთა კარგვის თავიდან აცილებისა და დამუშავების პოლიტიკის შემუშავებას და აღდგენის პოლიტიკის

შემუშავებას კიბერუსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში. ეს მოიცავს ქსელის ნებართვებისა და მონაცემთა შენახვის წესების დაყენებას.

**კიბერ საფრთხეების სახეები**

არსებობს მრავალი სახის კიბერზემოქმედება, რომელთაც შეუძლიათ შეტევის განხორციელება მოწყობილობებსა და ქსელებზე, მაგრამ ისინი, ძირითადად, სამ კატეგორიად იყოფა: კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის შეტევა.

*კონფიდენციალურობაზე შეტევები* (**სოციალური ინჟინერია**) - ამ შეტევების მიზანია პირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის და საბანკო ანგარიშის ან საკრედიტო ბარათის ინფორმაციის მოპარვა.

*თავდასხმები მთლიანობაზე* (APT) - ეს შეტევები შედგება პირადი ან საწარმოს დივერსიული თავდასხმებისგან და მათ ხშირად გაყონვას უწოდებენ.

*თავდასხმები ხელმისაწვდომობაზე* (Ransomware) - ამ ტიპის კიბერშეტევის მიზანია მომხმარებლებისთვის დაბლოკოს საკუთარი მონაცემები, სანამ ისინი საფასურს ან გამოსასყიდს არ გადაიხდიან.

მიუხედავად იმისა, რომ ვითარდება კიბერთავდაცვის ტაქტიკა, ასევე იზრდება კიბერუსაფრთხოების საფრთხეები, მავნე პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა სახის საფრთხე ახალ ფორმებს იღებს. ყველა ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ქსელებს, პოტენციური სამიზნე ხდება. არსებობს სამი განსხვავებული ტიპის კიბერსაფრთხეები: კიბერდანაშაული, კიბერშეტევები და კიბერტერორიზმი.

*კიბერდანაშაული* ჩადენილია ერთი ან რამდენიმე პიროვნების მიერ, რომლებიც მიზნად ისახავენ სისტემის დაზიანებას.

*კიბერშეტევები* ხშირად ხორციელდება პოლიტიკური მიზეზების გამო და მათი მიზანია მგრძნობიარე ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება.

*კიბერტერორიზმი* მიზნად ისახავს ელექტრონული სისტემების დარღვევას, რათა მის მსხვერპლს პანიკა და შიში ჩაუნერგონ.

რეკომენდაციები კიბერშეტევებისგან დასაცავად:

- გამოიყენეთ სანდო საიტები მხოლოდ პირადი ინფორმაციის მიწოდებისას. უმთავრესია URL-ის შემოწმება. თუ საიტი შეიცავს "https: //" - ს, ეს უსაფრთხო საიტია. თუ URL შეიცავს "http: //," - გაითვალისწინეთ დაკარგულია "s", მოერიდეთ სენსიტიური ინფორმაციის შეყვანას, როგორიცაა საკრედიტო ბარათის მონაცემები ან სოციალური დაცვის ნომერი.
- არ გახსნათ ელ.ფოსტის დანართები ან უცნობი წყაროების ელ.ფოსტის ბმულები. ქსელებისა და მომხმარებლების მავნე პროგრამებისა და ვირუსების ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზაა ელ.ფოსტის საშუალებით.
- მოწყობილობები ყოველთვის განაახლეთ. პროგრამული განახლებები შეიცავს მნიშვნელოვან „პაჩებს" უსაფრთხოების ხარვეზების გამოსასწორებლად.
- რეგულარულად შექმენით ფაილების სარეზერვო ასლები, დამატებითი დაცვა კიბერუსაფრთხოების შეტევის შემთხვევაში[1].

## უსაფრთხოების სისტემები, დაშიფრვის ძირითადი კონცეფციები

ინფორმაციის კონფიდენციალობის, მთლიანობის და იდენტიფიკაციის შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით ფართოდ გამოიყენება დაშიფრვის სხვადასხვა მექანიზმები.

დაშიფრვის ნებისმიერი სისტემის მიზანია არაავტორიზებული პირების მიერ ინფორმაციაზე წვდომის მიღების მაქსიმალურად გართულება იქამდე, ვიდრე მათ აქვთ დაშიფრული ტექსტი და ცნობილია დაშიფრვისთვის გამოყენებული ალგორითმი.

დაშიფრვის დახმარებით ხდება ინფორმაციის უსაფრთხოების სამი მდგომარეობის უზრუნველყოფა: კონფიდენციალობა, მთლიანობა და იდენტიფიცირება.

დაშიფრვა გამოიყენება ინფორმაციის წყაროს აუდენტიფიკაციისათვის და ინფორმაციის გაგზავნაზე მტყუნებისაგან თავის დასაცავად.

არსებობს დაშიფრვის ორი ძირითადი ტიპი: საიდუმლო გასაღებით და ღია გასაღებით.

**დაშიფრვას საიდუმლო გასაღებით,** ასევე შეიძლება ვუწოდოთ სიმეტრიული დაშიფრვა, ვინაიდან მონაცემების დაშიფრვისა და გაშიფრვისათვის გამოიყენება ერთი და იგივე გასაღები. აღნიშნული დაშიფრვა უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალობას დაშიფრულ მდგომარეობაში. შეტყობინების გაშიფრვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთათვისაც ცნობილია გასაღები.

**დაშიფრვა ღია გასაღებით** იყენებს გასაღებების წყვილს მონაცემების დაშიფრვისას. ამ შემთხვევაში დაშიფრვისა და გაშიფრვისათვის გამოიყენება ერთი და იგივე გასაღები.

ღია გასაღებებით დაშიფრვის ალგორითმი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის დაშიფრვა-გაშიფრვისათვის[2].

**დაშიფრვის ალგორითმების მიმოხილვა**

არსებობს ღია გასაღებით დაშიფრვის სხვადასხვა ალგორითმები, რომელთაგან ყურადღებას ვამახვილებთ AES ალგორითმის მუშაობის პრინციპს.

**AES ალგორითმი** - დაშიფვრის თანამედროვე სტანდარტი (AES) გამოიყენება მონაცემთა უსაფრთხოებისათვის. AES იყენებს "plaintext" კოდს ტექსტის და შიფვრისა გაშიფვისათვის.

AES ალგორითმი იყენებს მრავალ ფუნქციას, რომლის შემადგენლობაშიც შედის ოთხი განსხვავებულ ბაიტზე ორიენტირებული შრე. AES ალგორითმის შესრულება ხდება ციკლების(raund) მიხედვით. შესრულების დროს ალგორითმი დამოკიდებულია მისი გასაღების ზომაზე.

არსებობს AES–ის სამი ვარიანტი, რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა გასაღების ზომებზე (128, 192 და 256 ბიტი). AES– ის სამივე ვარიანტი იყენებს 128 – ბიტიან ბლოკის ზომას, მხოლოდ გასაღებების ზომები განსხვავდება. AES დაშიფვრის ეტაპის საერთო სტრუქტურა იდენტურია სამივე ვარიანტისთვის, მაგრამ რაუნდების რაოდენობა იცვლება 128, 192 და 256 ბიტიანი ვარიანტებისთვის (შესაბამისად, 10, 12 და 14 რაუნდი) [3].

**ალგორითმის სპეციფიკაცია**

AES ალგორითმისთვის შეყვანის ბლოკის, გამომავალი ბლოკისა და მდგომარეობის სიგრძე 128 ბიტია. ეს წარმოდგენილია Nb = 4-ით, რაც ასახავს ბლოკში 32-ბიტიანი სიტყვების რაოდენობას (სვეტების რაოდენობა).

AES ალგორითმისთვის, გასაღების სიგრძე -K, 128, 192, ან 256 ბიტია. გასაღების სიგრძე წარმოდგენილია Nk = 4, 6 ან 8-ით, რაც ასახავს შიფრის გასაღების 32-ბიტიანი სიტყვების რაოდენობას (სვეტების რაოდენობა)[4].

| Bit Pattern | Character |
|---|---|
| 0000 | 0 |
| 0001 | 1 |
| 0010 | 2 |
| 0011 | 3 |

| Bit Pattern | Character |
|---|---|
| 0100 | 4 |
| 0101 | 5 |
| 0110 | 6 |
| 0111 | 7 |

| Bit Pattern | Character |
|---|---|
| 1000 | 8 |
| 1001 | 9 |
| 1010 | a |
| 1011 | b |

| Bit Pattern | Character |
|---|---|
| 1100 | c |
| 1101 | d |
| 1110 | e |
| 1111 | f |

ნახ. 1. Bit ნიმუშების თექვსმეტობითი გამოსახვა

AES ალგორითმის შესრულებისას რაუნდების რაოდენობა დამოკიდებულია გასაღების ზომაზე. რაუნდების რაოდენობა წარმოდგენილია Nr- ით, სადაც Nr = 10 როდესაც Nk = 4, Nr = 12 როდესაც Nk = 6 და Nr = 14 როდესაც Nk = 8.

ასევე მოსახერხებელია ბაიტის მნიშვნელობების წარმოდგენა თექვსმეტობითი აღნიშვნის გამოყენებით, სადაც ოთხი ბიტიანი ორი ჯგუფიდან თითოეული აღინიშნება ერთი სიმბოლოთი, როგორც ნახ. 1.-ზე.

კომბინაციები, რომლებიც შეესაბამება ამ სტანდარტს მოცემულია ნახ. 2 -ში.

| | Key Length (Nk words) | Block Size (Nb words) | Number of Rounds (Nr) |
|---|---|---|---|
| AES-128 | 4 | 4 | 10 |
| AES-192 | 6 | 4 | 12 |
| AES-256 | 8 | 4 | 14 |

ნახ. 2. გასაღები-ბლოკი-რაუნდი

როგორც მისი შიფრის, ისე ინვერსიული შიფრისთვის, AES ალგორითმი იყენებს რაუნდ ფუნქციას, რომელიც შედგება ოთხი ბაიტზე ორიენტირებული გარდაქმნისგან: 1) ბაიტის ჩანაცვლება ჩანაცვლების ცხრილის გამოყენებით (S- ბლოკი), 2) მდგომარეობის მასივის რიგების შეცვლ, 3) მონაცემების შერევა მასივის თითოეულ სვეტში და 4) რაუნდ გასაღების დამატება[5].

**დაშიფვრა**

დაშიფვრის დაწყებისას, შეყვანა ხდება მდგომარეობის მასივში თავდაპირველი გასაღების, მდგომარეობის მასივი გარდაიქმნება რაუნდ ფუნქციის 10, 12 ან 14 ჯერ შესრულების შედეგად (გასაღების სიგრძის მიხედვით), საბოლოო რაუნდი ოდნავ განსხვავდება პირველი Nr -1 რაუნდისგან.

რაუნდ ფუნქციის პარამეტრიზაცია ხდება ძირითადი გრაფიკის გამოყენებით, რომელიც შედგება ერთგანზომილებიანი მასივის ოთხ ბაიტიანი სიტყვებისგან, რაც მიღებულია „Key Expansion“ რუტინის გამოყენებით.

შიფრი აღწერილია ფსევდო კოდში ნახ. 3-ში. ინდივიდუალური გარდაქმნები - SubBytes (), ShiftRows (), MixColumns () და AddRoundKey () - ამუშავებენ მდგომარეობას. ნახ. 3.-ზე მასივი w [] შეიცავს ძირითად გრაფიკს.

როგორც ნაჩვენებია ნახაზზე ყველა Nr რაუნდი იდენტურია, გარდა საბოლოო რაუნდისა, რომელიც არ მოიცავს MixColumns () გარდაქმნას.

S ბლოკი, რომელიც იყენებს SubBytes () ტრანსფორმაციის დროს წარმოდგენილია თექვსმეტობითი ფორმით. ნახ .6.

```
Cipher(byte in[4*Nb], byte out[4*Nb], word w[Nb*(Nr+1)])
begin
   byte  state[4,Nb]

   state = in

   AddRoundKey(state, w[0, Nb-1])            // See Sec. 5.1.4

   for round = 1 step 1 to Nr-1
      SubBytes(state)                        // See Sec. 5.1.1
      ShiftRows(state)                       // See Sec. 5.1.2
      MixColumns(state)                      // See Sec. 5.1.3
      AddRoundKey(state, w[round*Nb, (round+1)*Nb-1])
   end for

   SubBytes(state)
   ShiftRows(state)
   AddRoundKey(state, w[Nr*Nb, (Nr+1)*Nb-1])

   out = state
end
```

ნახ.3. ფსევდო კოდი შიფრისთვის

მაგალითად: თუ $S_{1,1}$ ={53}, მაშინ ჩანაცვლების მნიშვნელობა განისაზღვრება მწკრივის ინდექსის "5" და სვეტის ინდექსის "3" კვეთით ნახაზზე 4. ამის შედეგად მიიღება $s_{1,1}$ რომელსაც აქვს {ed} მნიშვნელობა.

ყველა ციკლის ტრანსფორმაცია არის ოპერაციები სასრული ველებში. მისი რეალიზაცია შესაძლებელია თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის სხვადასხვა პლატფორმაზე. ჩვენ უნდა გამოვიმუშავოთ ან მივიღოთ გასაღები, შევქმნათ ინიციალიზაციის ვექტორი და დავაზუსტოთ ფაილის ორიგინალი ზომა, რასაც მოსდევს დაშიფრული მონაცემები[6].

ამგვარად, კიბერ უსაფრთხოება მუდმივად ვითარდება, ამიტომ ინფორმირება და სიფრთხილე ონლაინ რეჟიმში, არის საუკეთესო გზა ქსელების, მონაცემების და კომპიუტერული მოწყობილობების დასაცავად.

| | | y | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | a | b | c | d | e | f |
| x | 0 | 63 | 7c | 77 | 7b | f2 | 6b | 6f | c5 | 30 | 01 | 67 | 2b | fe | d7 | ab | 76 |
| | 1 | ca | 82 | c9 | 7d | fa | 59 | 47 | f0 | ad | d4 | a2 | af | 9c | a4 | 72 | c0 |
| | 2 | b7 | fd | 93 | 26 | 36 | 3f | f7 | cc | 34 | a5 | e5 | f1 | 71 | d8 | 31 | 15 |
| | 3 | 04 | c7 | 23 | c3 | 18 | 96 | 05 | 9a | 07 | 12 | 80 | e2 | eb | 27 | b2 | 75 |
| | 4 | 09 | 83 | 2c | 1a | 1b | 6e | 5a | a0 | 52 | 3b | d6 | b3 | 29 | e3 | 2f | 84 |
| | 5 | 53 | d1 | 00 | ed | 20 | fc | b1 | 5b | 6a | cb | be | 39 | 4a | 4c | 58 | cf |
| | 6 | d0 | ef | aa | fb | 43 | 4d | 33 | 85 | 45 | f9 | 02 | 7f | 50 | 3c | 9f | a8 |
| | 7 | 51 | a3 | 40 | 8f | 92 | 9d | 38 | f5 | bc | b6 | da | 21 | 10 | ff | f3 | d2 |
| | 8 | cd | 0c | 13 | ec | 5f | 97 | 44 | 17 | c4 | a7 | 7e | 3d | 64 | 5d | 19 | 73 |
| | 9 | 60 | 81 | 4f | dc | 22 | 2a | 90 | 88 | 46 | ee | b8 | 14 | de | 5e | 0b | db |
| | a | e0 | 32 | 3a | 0a | 49 | 06 | 24 | 5c | c2 | d3 | ac | 62 | 91 | 95 | e4 | 79 |
| | b | e7 | c8 | 37 | 6d | 8d | d5 | 4e | a9 | 6c | 56 | f4 | ea | 65 | 7a | ae | 08 |
| | c | ba | 78 | 25 | 2e | 1c | a6 | b4 | c6 | e8 | dd | 74 | 1f | 4b | bd | 8b | 8a |
| | d | 70 | 3e | b5 | 66 | 48 | 03 | f6 | 0e | 61 | 35 | 57 | b9 | 86 | c1 | 1d | 9e |
| | e | e1 | f8 | 98 | 11 | 69 | d9 | 8e | 94 | 9b | 1e | 87 | e9 | ce | 55 | 28 | df |
| | f | 8c | a1 | 89 | 0d | bf | e6 | 42 | 68 | 41 | 99 | 2d | 0f | b0 | 54 | bb | 16 |

ნახ. 4. S- ბლოკი: ბაიტის xy ჩანაცვლების მნიშვნელობები (თექვსმეტობითი ფორმატით).

## გამოყენებული ლიტერატურა:


1.P.S.Seemma , S.Nandhini , M.Sowmiya , “Overview of Cyber Security”, International Journal of Advanced Research in Computer and Communication Engineering Vol. 7, Issue 11, November 2018;

2.Alaa Taqa, A.A Zaidan, B.B Zaidan ,“New Framework for High Secure Data Hidden in the MPEG Using AES Encryption Algorithm”, International Journal of Computer and Electrical Engineering (IJCEE),Vol.1 ,No.5, ISSN: 1793-8163, p.p.566-571 , December (2009). Singapore.

3. A.A.Zaidan, B.B.Zaidan, Hamid.A.Jalab,“ A New System for Hiding Data within (Unused Area Two + Image Page) of Portable Executable File using Statistical Technique and Advance Encryption Standared “, International Journal of Computer Theory and Engineering (IJCTE), 2010, VOL 2, NO 2, ISSN:1793-8201, Singapore.

4.AES page available via http://www.nist.gov/CryptoToolkit.

5. Computer Security Objects Register (CSOR): http://csrc.nist.gov/csor/.

6. J. Daemen and V. Rijmen, AES Proposal: Rijndael, AES Algorithm Submission, September 3, 1999, available at [1].

# კრიპტოვალუტა - 21-ე საუკუნის გამოწვევა


ვერიკო თორდია
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რუსუდან დალაქიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია


## ანოტაცია


საკონფერენციო ნაშრომი თემაზე „ კრიპტოვალუტა 21-ე საუკუნის გამოწვევა“. ეხმაურება კონფერენციის თემატიკას 2020 წლის აქტუალური საკითხების შესახებ. ნაშრომში განხილულია ფულის მნიშვნელობა და მისი განვითარების ეტაპები, კრიპტოვალუტის წარმოშობა-განვითარება და მნიშვნელობა, უპირატესობები, რომლებიც კრიპტოვალუტას გააჩნია ტრადიციულ ფულთან შედარებით, ბაზარზე კრიპტოვალუტის ღირებულება 2020 წელს და პანდემიით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტორები. ნაშრომში ყურადღება ეთმობა 2020 წელს კრიპტოვალუტის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად იმოქმედეს კრიპტოვალუტის ღირებულებაზე. ასევე საუბარია კრიპტოვალუტის ღირებულების ვარდნასა და აღმასვლაზე მიმდინარე პერიოდში; ინფლაციის ფონზე კრიპტოვალუტებისადმი გაზრდილ ნდობაზე, რამაც განაპირობა მისი ბაზრის გაფართოვება. განხილულია ის რეგულაციები, რომლებსაც კავკასიის რეგიონის ქვეყნები ატარებენ კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით, კერძოდ, საუბარია კრიპტოვალუტისადმი ნდობის დონესა და დამოკიდებულებაზე. განხილულია სამომავლო პერსპექტივები, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, არის თუ არა შესაძლებელი ტრადიციული ფული ჩაანაცვლოს კრიპტოვალუტამ.



**საკვანძო სიტყვები:**
ფული, კრიპტოვალუტა, პანდემია, კრიპტოვალუტის ღირებულება, ინფლაცია, ტრადიციული ფული, კავკასიის რეგიონი, სამომავლო პერსპექტივები, კრიპტოვალუტის რეგულაციები


# CRYPTOCURRENCY - THE CHALLENGE OF THE 21ST CENTURY


VERIKO TORDIA
Head: Associated Professor Rusudan Dalakishvili
David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia


## ANNOTATION


The conference thesis is presented on the topic of “Cryptocurrency- the challenge of 21st century”. The paper addresses the subject matter of the conference on current issues in 2020. The paper discusses the importance of money and a brief overview of its development stages, the origin and development of cryptocurrency, the advantages that cryptocurrency has over traditional money, the value of cryptocurrency in the market in 2020 and the impact factors caused by the pandemic.

The paper focuses on the ongoing processes in the cryptocurrency market in 2020, which have significantly affected the value of cryptocurrency. Also discussed are the declines or rises in the value of various cryptocurrencies in the current period. Against the background of inflation, the confidence in cryptocurrencies has greatly increased, which has led to the expansion of its market to a considerable level. The regulations adopted by the countries of the Caucasus region regarding cryptocurrency are discussed, in particular, the level of trust and attitude towards cryptocurrency. Also, perspectives are discussed, from which we can conclude whether it is possible to replace traditional money with cryptocurrency.



**KEYWORDS:**
money, cryptocurrency, pandemic, cryptocurrency value, inflation, traditional money, Caucasus region, prospects, cryptocurrency regulations.


ელექტრონული ფულის წარმოშობა 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. გლობალიზაციამ და ეკონომიკის განვითარებამ მსოფლიოს ახალი გამოწვევები წამოუყენა.აქტუალური და აუცილებელი გახდა ელექტრონული ფულის არსებობა და მისი აქტიური გამოყენება. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კრიპტოვალუტამ. შესაბამისად განსხვავებულია მათი ღირებულებები. მსოფლიო მოსახლეობის ნაწილი კრიპტოვალუტას დიდი იმედით შეჰყურებს, ნაწილი კი არ ენდობა მას. არიან ისეთებიც, რომლებმაც არც კი იციან მისი არსებობის შესახებ.

ფული ეკონომიკაში არსებული აქტივია, რომელსაც ადამიანი რეგულარულად იყენებს სხვა ადამიანებისგან მომსახურებისა თუ საქონლის შესაძენად. ონორე დე ბალზაკი[1] ფულს შემდეგნაირად განმარტავს: ფული - ეს ადამიანის ის მეექვსე გრძნობაა, რომელიც აძლევს საშუალებას დატკბეს დანარჩენი ხუთით." საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ფულის მნიშვნელობაც. თავდაპირველად ფული იყო საქონლის გაცვლის საშუალება. მე-20 საუკუნის ბოლოს მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციებმა და განვითარებამ წარმოშვა ე.წ. ელექტრონული ფული. საკრედიტო ბარათებმა საშუალება მოგვცა ფულადი ოპერაციების და შესყიდვების განხორციელება ონლაინ რეჟიმში, ელექტრონულ პლატფორმებზე. დეპოზიტურ ფულს, არ გააჩნია მატერიალური ფორმა, ის ინფორმაციული ფულია, რომლის წარმოდგენაც მხოლოდ აბსტრაქტულად არის შესაძლებელი.

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ამერიკელმა კრიპტოგრაფმა დეივიდ შაუმ-მა გამოიგონა ანონიმური კრიპტოგრაფიული ელექტრონული ფული, რომელსაც Ecash უწოდა (მოგვიანებით Digicash-ად წოდებული). ეს იყო კრიპტოგრაფიული ელექტრონული გადასახადების ადრეული ფორმა, რომელიც საჭიროებდა მომხმარებლის პროგრამულ უზრუნველყოფას, ბანკიდან ჩანაწერების ამოღების და დაშიფრული სპეციფიკური გასაღებების გაშიფვრამდე, სანამ ის გაიგზავნებოდა ადრესატთან. ამან ციფრულ ფულს მისცა საშუალება ყოფილიყო შეუღწევადი ემიტენტი ბანკების, მთავრობის ან ნებისმიერი მესამე მხრიდან. ხოლო პირველი დეცენტრალიზებული კრიპტოვალუტა ე.წ ბითკოინი შეიქმნა 2009 წელს. დღესდღეობით ის იკავებს კრიპტოვალუტებს შორის პირველ ადგილს და გააჩნია საკმაოდ დიდი ღირებულება.

კრიპტოვალუტის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ის არის უსაფრთხო, სანდო და გამჭვირვალე ციფრული ვალუტა, რომელზეც დამოკიდებულება დღითიდღე იზრდება. მზარდი მოთხოვნა განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის, მნიშვნელოვანია ის, რომ მისი გაყალბება ან შეცვლა შეუძლებელია გამგზავნის მხრიდან. მისი ტრანზაქცია შესაძლებელია შესრულდეს ყველგან და იცავს სიმდიდრეს კაპიტალის კონტროლისაგან. გააჩნია დაბალი საკომისიო, კრიპტოვალუტის ბირჟაზე ფაქტობრივად არ არის ტრანზაქციული საკომისიო.

## ბაზარზე კრიპტოვალუტის მნიშვნელობა 2020 წელს

კრიპტოვალუტის ბაზარმა უდიდესი ზრდა განიცადა 2014-2019 წლის შუალედში. ბაზრის ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მრეწველობის მასშტაბით დიგიტალიზაცია. ასევე სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში ვირტუალური ვალუტების ყიდვა-გაყიდვის ან ვაჭრობის ლეგალიზაცია და დამტკიცება ზრდის ბაზრის წილს. 2020 წლის გაზაფხულიდან მიმდინარეობს კრიპტოვალუტის ღირებულებების დაღმასვლა, მაგრამ პანდემიის პერიოდში მონაცემები მკვეთრად შეიცვალა. ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ 2020 წელი საკმაოდ პროდუქტიული იყო კრიპტოვალუტის პოპულარიზაციისთვის.

2020 წლის იანვარში დაწყებულმა პანდემიამ მსოფლიოს გარკვეულ სფეროებზე დადებითად იმოქმედა. მსოფლიომ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ერყდნობოდა ტრადიციულ ეკონომიკურ სისტემას, აზრი იცვალა და პანდემიამ მოსახლეობა აიძულა გადასულიყო უნაღდო ანგარიშწორებასა და კრიპტოვალუტაზე. ამ პროცესმა კიდევ უფრო დააჩქარა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კრიპტოვალუტის მნიშვნელობისა და გამოყენების მხრივ.

ბანკები მიახლოებით 15 ტრილიონ დოლარს უშვებენ მიმოქცევაში, რათა შეამსუბუქონ პანდემიის გავლენა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაზე, რამაც, ფაქტია, გამოიწვია ინფლაცია, ხოლო ინფლაციის დონის ზრდის ფონზე ადამიანებმა მიმართეს კრიპტოვალუტების „ბანკს", რათა ინფლაციის წინააღმდეგ იბრძოლონ და მაქსიმალურად დაიცვან საკუთარი სიმდიდრე.

„პანდემიამ კიდევ უფრო გაამწვავა უთანასწორობა მრავალი ადამიანისთვის. მათ ვისაც ყველაზე ნაკლები აქვთ, იხდიან ყველაზე მეტს. მაგალითად, საშუალოდ 200$ის გაგზავნის ღირებულება 14$-ია. პანდემიის მიუხედავად, მოსახლეობას მაინც სჭირდება ფულის გაგზავნა საზღვარგარეთ. შესაბამისად, ფულადი გზავნილების ზრდა რამდენიმე უდიდეს დერეფანში გაგრძელდა. მაგალითად: აშშ-ში მექსიკის დერეფანში პანდემიის დაწყებისთანავე ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. „- აეშ ბირლა, RIPPLE Net- ის გენერალური მენეჯერი

კრიპტოვალუტებმა, განსაკუთრებით ბითკოინმა მიიპყრო მკვლევარების ყურადღება მის ეფექტურობასთან და ჰეჯირებასთან დაკავშირებით. გაზაფხულიდან მეცნიერები აქტიურად აწარმოებენ კვლევებს, თუ რა გავლენა მოახდინა პანდემიამ კრიპტოვალუტაზე. მეცნიერები ამტკიცებენ რომ პანდემიის ფონზე ბითკოინი არც ისე სანდო ჩანს. თუ განვიხილავთ ბოლო პერიოდში კრიპტოვალუტების ღირებულების ცვლილებას, 2020 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით პირველ სამ ადგილს იყოფენ Bitcoin, Ethereum და XRP.

ბითკოინის ღირებულება 28 ნოემბრის დღის მეორე ნახევრის მდგომარეობით არის $17,147.39 , მისმა ღირებულებამ ბოლო 1 კვირის მანძილზე დაიკლო 7,45%-ით. 21 ნოემბრის მდგომარეობით, მისი ღირებულება იყო $18,621.32. ხოლო 2019 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, ბითკოინის ღირებულება იყო $7,536.82. ბოლო ერთი წლის მანძილზე მას უმაღლესი ღირებულება ჰქონდა- 2020 წლის 25 ნოემბერს $19,104.41.

ეთერეუმის ღირებულება 2020 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით არის $517.84, ბოლო 1 კვირის მანძლზე მას გააჩნია 1,50%-ით ზრდა. მართალია, მისი საერთო რაოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება ბითკოინს, მაგრამ მაინც ახერხებს ზრდას დადებითი %-ებით. 21 ნოემბრის მონაცემებით, მისი ღირებულება იყო $509.74, ხოლო 2019 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, მისი ღირებულება იყო $153.07. ბოლო ერთი წლის მანძილზე მას უმაღლესი ღირებულება ჰქონდა- 2020 წლის 24 ნოემბერს $608.52.

მესამე ადგილზე მყოფი იქსარპი-ს ღირებულება არის მიახლოებით $0.56. ბოლო ერთი კვირის მანძილზე მას გააჩნია 50,46%-ით ზრდა. 2020 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით, მისი ღირებულება იყო $0.32. ხოლო 2019 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით- $0.225. ბოლო ერთ წლის მანძილზე მას უმაღლესი ღირებულება ჰქონდა მიმდინარე წლის 24 ნოემბერს $0.61.

[1] ფრანგი მწერალი

დღესდღეობით არსებობს 4000-მდე კრიპტოვალუტა, რომელთა ღირებულებებიც საკმაოდ განსხვავებულია, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს მათ რეიტინგს. კრიპტოვალუტების რეიტინგი განისაზღვრება მისი ზრდითა და ამ კონკრეტული ვალუტის მთლიანი მოცულებით.

## კრიპტოვალუტის რეგულაციები კავკასიის რეგიონში

დოკუმენტში, სადაც შეგვიძლია გავეცნოთ მსოფლიოს ქვეყნების რეგულაციებს კრიპტოვალუტის შესახებ, მოხსენიებულია 130 ქვეყანა და ზოგიერთი რეგიონალური ორგანიზაცია, რომლებმაც კრიპტოვალუტის რეგულირებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნეს კანონები, ან გაატარეს შესაბამისი პოლიტიკა.

ბოლო 4 წლის განმავლობაში კრიპტოვალუტა გახდა საყოველთაო, რამაც უფრო მეტ ეროვნულ/რეგიონალურ ხელისუფლებას აიძულა გამოექვეყნებინათ საკუთარი რეგულაციები. კრიპტოვალუტების ექსპანსიური ზრდა იძლევა გამოვლენილი ნიმუშების იდენტიფიცირების საშუალებას.

2017 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაცხადა, რომ კრიპტოვალუტა არ არის კანონიერი ტენდერი საქართველოში და არ რეგულირდება საქართველოს კანონით. ეროვნულმა ბანკმა მოსახლეობას ასევე მოუწოდა, რომ ფრთხილად იყვნენ კრიტოვალუტის გამოყენებისას.

თუ მიმოვიხილავთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას, ამმხრივ, 2018 წელს რუსეთის სამოქალაქო კოდექსში შეიტანეს ცვლილებები კრიპტოვალუტის, მონეტებისა და სიმბოლოების მფლობელთა უფლებების დასაცავად. დოკუმენტში განსაზღვრულია ციფრული ფული და ციფრული უფლებები და ითვალისწინებს მათ სასამართლო დაცვას. ამ რეგულაციების მიხედვით, კრიპტოვალუტა გათვალისწინებული იქნება გაკოტრებისას და გარდაცვლილი პირის ქონებაში.

2018 წლის პირველ მარტს სომხეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, სადაც ნათქვამია, რომ კრიპტოვალუტის შესახებ შემოთავაზებული კანონის მიღება არ არის მიზანშეწონილი, რადგან წამყვანი ქვეყნების უმრავლესობა მოსახლეობას მოუწოდებს თავი შეიკავოს კრიპტოვალუტის გამოყენებისგან.

2018 წლის 2 თებერვალს აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კრიპტოვალუტა არის არასტაბილური ინსტრუმენტი და მოსახლეობას მოუწოდა დიდი სიფრთხილე გამოიჩინოს მისი გამოყენებისას. შემდგომში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კანონპროექტს კრიპტოვალუტით რეგულირების შესახებ.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, კავკასიის რეგიონების 4 ქვეყნიდან სამი უნდობლობას უცხადებს კრიპტოვალუტას და თანამედროვე ტენდენციებს. რაც შეეხება ევროპას და ამერიკას, ამ ქვეყნებში აღნიშნულ საკითხს უფრო სერიოზულად უდგებიან და უფრო მეტიც, დიდ იმედებს ამყარებენ მასზე.

2020 წელს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, არსებული პანდემიის პირობებში, მსოფლიო მოსახლეობაში დაინერგა ერთგვარი კულტურა გამოიყენონ ციფრული ფული და ციფრული ვალუტა. ეს ყველაფერი განაპირობა როგორც სახელმწიფოების ჩაკეტვამ, ფულის, როგორც მატერიალური სახის ნივთის გამოყენების საფრთხემ, ასევე ონლაინ ყიდვა-გაყიდვისა და ბაზრის როლის ზრდამ. ჯერჯერობით მსოფლიოს უმეტესი ნაწილი სკეპტიკურადაა განწყობილი კრიპტოვალუტის მიმართ, მაგრამ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა საკუთარ სიმდიდრეს უკვე აქცევს კრიპტოვალუტად. ინფლაციის დონის ზრდამაც გარკვეულწილად განაპირობა კრიპტოვალუტაში დაბანდების ზრდა. როგორც უკვე ვახსენეთ, კრიპტოვალუტა არის სანდო, არ კონტროლირდება სახელმწიფოს ან სხვა მესამე მხრის მიმართ, ფაქტობრივად ის არ იბეგრება და შესაძლებელია მისი ნებისმიერ ადგილას განაღდება.

მეცნიერულ-ტექნოლოგიურ რევოლუციასთან ერთად მოსალოდნელია კრიპტოვალუტის ღირებულებისა და მნიშვნელობის საკმაო ზრდა. 10 წლის წინ რომ თქვენ 1 ბითკოინი შეგეძინათ, ღირებულებით 1$, თქვენ 2020 წლის მდგომარეობით 60 236$ გექნებოდათ, როცა 1$ 2010 წელს მიახლოებით 1,7$ უდრიდა.

მსოფლიოს განვითარებასთან ერთად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე ათწლეულში შესაძლო იქნება, კრიპტოვალუტით შრომის ანაზღაურება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კრიპტოვალუტა დაინერგება ყოფა-ცხოვრებაში და სრულად ჩაანაცვლებს ტრადიციულ, ე.წ ქაღალდის ფულს.

რევოლუციები მსოფლიოს განვითარების მანძილზე მუდმივად მიმდინარეობდა, გამონაკლისი არც ეკონომიკის სფერო იყო. საოცარია, თუ რას მიაღწია საქონლისა და მომსახურეობის ღირებულების განმსაზღვრელმა ცნებამ-ფულმა. ბარტერიდან ძვირფასი ლითონის ფულამდე, ძვირფასი ლითონის ფულიდან ქაღალდის ფულამდე, დღეის მდგომარეობით განვითარების უმაღლესი ეტაპი კრიპტოვალუტაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კრიპტოვალუტა არის ბოლო სტადია. ის არის სანდო, პერსპექტიული, არამატერიალური სიმდიდრე, რომელიც ნელ-ნელა იპყრობს მწვერვალებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1) Gvenetadze, Lili, General Theory of finances , Tbilisi, Grigol Robakidze university, 2007
2) Mankiw, Gregory, principles of economics, Tbilisi, Diogene, 2008
3) https://en.wikipedia.org/wiki/Cryptocurrency#History
4) Yakubowski, Max, “How has the COVID-19 pandemic affected the crypto space? Experts answer, 2020, https://cointelegraph.com/news/how-has-the-covid-19-pandemic-affected-the-crypto-space-experts-answer
5) Demir Ender, Bilgin Mehmet, Karabulut Gokhan, Doker Asli, “ the relationship between cryptocurrencies and COVID-19 pandemic”, 2020, https://link.springer.com/article/10.1007/s40822-020-00154-1#article-info
6) https://coinmarketcap.com/1/
7) Global Legal Research center, “Regulation of cryptocurrency around the world”, 2018 https://www.loc.gov/law/help/cryptocurrency/cryptocurrency-world-survey.pdf

# ეფექტური კომუნიკაცია, როგორც წარმატების გარანტი

**კონსტანტინე შანავა / ნიკა წულეისკირი**
ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ჭიაბრიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

ნაშრომში საუბარია, რისკენ ილტვიან ადამიანები ზოგადად და  რა არის მათი ინტერესის საგანი. რას ნიშნავს მათთვის საბოლოო ფასეულობები და როგორ იყენებენ ისინი სხვადასხვა ინსტრუმენტალურ ფასეულობებს მიზნის მისაღწევად. ამერიკულმა კვლევითმა ინსტიტუტებმა დიდი დრო და ენერგია დახარჯეს კვლევების ჩატარებაში, რათა გაერკვიათ მოზრდილი ადამიანების ინტერესები და მისწრაფებები. შედეგად, აღმოჩნდა, რომ: პირველი, რაც ადამიანებს აინტერესებთ,- ჯანმრთელობაა, ხოლო მეორე, - სხვა ადამიანებთან კარგი ურთიერთობის დამყარების და თანამოაზრეების გაჩენის შესაძლებლობები. ამ კონტექსტში მათი კონკრეტული ინტერესის საგანი ჰარმონიული და სწორი ურთიერთობების აღქმისთვის, გაცნობიერებისთვის, სწავლისთვის და გამოყენებისთვის საჭირო უნარების შეძენა აღმოჩნდა.  ადამიანის კომუნიკაციური უნარები ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება წარმატების გზაზე საჭირო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი. „შეაფასე შენი კომუნიკაციის ხარისხი და შეფასდება წარმატების ხარისხიც“- ამ ფრაზამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა დღეს, როცა თანამედროვეობა ხასაითდება ტექნოლოგიური წინსვლით, მენეჯერული უნარების განვითარებით, სოციალური კაპიტალის არსებობის აუცილებლობით, კონფლიქტების ინდუსტრიით, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ორგანიზაციებითა და მუშახელით  და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევებითა და მიღწევებით.  აღნიშნულიდან გამომდინარე, ეფექტური კომუნიკაციის არსის გაგება და შესწავლა თანამედროვე საზოგადოებებისა და ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

**საკვანძო სიტყვები:**
კომუნიკაცია; ეფექტური მოსმენის კულტურა; ეფექტური კომუნიკაცია

# EFFECTIVE COMMUNICATION AS A GUARANTEE OF SUCCESS

**KONSTANTINE SHANAVA / NIKA TSULEISKIRI**
Head: Professor Qetevan Chiabrishvili
David Agmashenebeli National Deffense Academy of Georgia

## ANNOTATION

What do people aspire to in general and what is the subject of their interest? What do end values mean to them and how do they use different instrumental values to achieve a goal? American research institutes have spent a great deal of time and energy conducting research to understand the aspirations and interests of adults. As a result it turns out that: the first thing that people are interested in - is health, and the second - the ability to establish good relationships with other people and emergence of like-minded people. In this context, their particular interest was to acquire the skills needed to perceive, understand, learn and apply harmonious and correct relationships. Human communication skills always been and will continue to be one of the most important resources needed on the road to success. «Evaluate the quality of your communication and the quality of success will also be evaluated». This phrase has become especially relevant today, when modernity is characterized by technological advance, the development of managerial skills, the need for social capital, the conflict industry, diverse and numerous organizations and workforce, and other important challenges and achievements. Understanding and studying the essence of effective communication remains one of the major challenges for modern societies and organizations.

**KEYWORDS:**
communication; an effective listening culture, effective communication

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დეილ კარნეგი წერს: კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ორი ადამიანი იღებდა გასამრჯელოდ წელიწადში ერთ მილიონ დოლარს: უოლტერ კრაისლერი და ჩარლზ შვაბი. შვაბს ასეთ სოლიდურ ხელფასს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებისთვის უხდიდნენ. პროფესიულ თუ პირად ცხოვრებაში უამრავ ადამიანთან ვურთიერთობთ და შესაბამისად, კომუნიკაციას ვამყარებთ მათთან. კომუნიკაცია ადამიანთა პირდაპირი თუ ირიბი აქტივობაა, რომლითაც ისინი ერთმანეთს და გარესამყაროს განვითარებისთვის საჭირო სიგნალებს გადასცემენ. ვერბალური თუ არავერბალური საშუალებებით მუდმივად ვცდილობთ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და გარშემომყოფებში კეთილგანწყობის მოპოვებას, თუმცა, მეორე საკითხია, როგორ და რა ფორმით ვაკეთებთ ამას მიზნის სწორად მისაღწევად. არასწორად და არასრულფასოვნად წარმოებულმა კომუნიკაციამ შესაძლოა, ურთიერთობების ჩიხში შეგვიყვანოს და მომავლის პერსპექტივაც დაგვაკარგვინოს.

ბოლო რამდენიმე ათწლეულების მენეჯმენტის თეორეტიკოსთა და ფსიქოლოგთა მოღვაწეობა სწორედ ამ საკითხებსა და პრობლემებს ეხება, რადგან სწორი კომუნიკაცია კონფლიქტების ინდუსტრიის, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მუშახელის და ტექნოლოგიების განვითარების შედეგად „დაპატარავებული მსოფლიოს“ პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად გვევლინება. აღსანიშნავია, კომუნიკაცია არასდროს ყოფილა ისეთი რთული, როგორც დღეს. მოსმენა არასდროს ყოფილა ისეთი საჭირო, როგორც დღეს და რაც ყველაზე სამწუხაროა, ადამიანური ურთიერთობები არასდროს ყოფილა ისეთი ცივი, როგორც დღეს. ტექნოლოგიურმა პროგრესმა საზოგადოების ცხოვრების დონე მკვეთრად გააუმჯობესა, თუმცა მოიტანა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც გართულებულ კომუნიკაციას და ადამიანური ურთიერთობების ნაკლებობას უკავშირდება; ამიტომაც მენეჯმენტის სკოლების არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ისეთი დისციპლინების არსებობა და შესწავლა, როგორიცაა: ეფექტური კომუნიკაცია; სტრატეგიული კომუნიკაცია; მოლაპარაკებები და კონფლიქტები კრიზისების მართვა და ა.შ. სწორი კომუნიკაცია სტუდენტების აუცილებელი ცოდნისა და უნარების შედეგიანობას უზრუნველყოფს.

## ბიზნეს კომუნიკაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვა სახის კომუნიკაციის წარმოება გვჭირდება. ამ თავში განვიხილავთ, როგორ ხდება ბიზნეს კომუნიკაციის წარმოება და რა სახის ინსტრუმენტებია საჭირო მის განსახორციელებლად.

ნებისმიერი სახისა თუ სიდიდის ბიზნესში კომუნიკაციის სწორად წარმართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუნდაც ყველაზე მცირე ზომის ბიზნეს საქმიანობისას, როდესაც ის ერთი პიროვნების საკუთრებაა, რომელიც თავად ეწევა პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას, საჭირო ხდება, როგორც მინიმუმ, ნედლეულისა და მასალების მომწოდებელთან ურთიერთობის დამყარება, სხვა შემთხვევაში დაქირავებულებთან ურთიერთობაც. საქმიანობის ეფექტურობას სწორი კომუნიკაციის გარეშე ვერ მივაღწევთ. იმ ფაქტზე, რომ ბიზნესის წარმოებისას კომუნიკაციის როლი ძალიან დიდი და მზარდია, უკანასკნელი კვლევებიც მიუთითებს, რომლებიც გვასწავლის, რომ წარმატებული მენეჯერული საქმიანობისთვის დროის 50%-დან 90%-მდე დაქვემდებარებულებთან კომუნიკაციაში უნდა დავხარჯოთ.

ბიზნესკომუნიკაციის წარმოების ძირითადი მიზნები ორგანიზაციის საერთო მიზნებს ემთხვევა. ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობაში იგულისხმება იმ ნაწილთან ურთიერთობა, რომელსაც მის საქმიანობასთან აქვს გარკვეული კავშირი. ამ მხრივ, შეგვიძლია გამოვყოთ ორგანიზაციის ურთიერთობა გარე და შიდა აუდიტორიასთან. გარე აუდიტორიაში მოიაზრება ინვესტორები, საქმიანი პარტნიორები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახელწიფო ორგანოები და ა.შ.

რთული მისახვედრი არ არის, რომ შიდა აუდიტორიას ორგანიზაციის თანამშრომლები მიეკუთვნებიან. თუ საქმე მსხვილ ორგანიზაციასთან გვაქვს, 3 მიზნობრივი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება: 1) უმაღლესი ხელმძღვანელობა, (ტოპ მენეჯმენტი), 2)საშუალო რგოლის ხელმძღვანელები (მენეჯერები) 3) თანამშრომლების ოჯახის წევრები. ზოგიერთი კომპანია თანამშრომლის ოჯახის წევრებს განიხილავს შიდა მიზნობრივი აუდიტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად. გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ოჯახში არსებული ვითარება პირდაპირ აისახება, როგორც მინიმუმ ჩვენს სამუშაო განწყობაზე. შესაბამისად ოჯახის წევრებთან კარგი ურთიერთობა, სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისთვისაც მნიშვნელოვანია. ამიტომაც დიდი ორგანიზაციები თანამშრომელთა ოჯახის წევრებს ცალკე ჯგუფად გამოყოფენ.

ვინაიდან მენეჯერული საქმიანობის წარმატებულობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი კომუნიკაციაა, მთავარ დაბრკოლებასაც სწორედ აქ ვაწყდებით. კომუნიკაციის გარეშე არ არსებობს წარმატება ბიზნესში, ვინაიდან წარმატების მთავარი განმსაზღვრელი საზოგადოებაა, მასთან კარგი ურთიერთობისთვის საჭიროა მჭიდრო კომუნიკაცია.

## ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დღეს რთულად თუ მოვძებნით სფეროს, სადაც კომუნიკაცის უნარი მნიშვნელოვანი არ არის. ყველაზე გავრცელებული მოთხოვნა დასაქმების სფეროში ,,კარგი კომუნიკაციის უნარია'' და მაინც, რა უპირატესობებს გვაძლევს კარგი კომუნიკაციის უნარი? პირველ რიგში, ის ჯგუფური მუშაობის დროს წარმატების ერთ-ერთი მთავარი გარანტია. ადამიანები განსხვავებული სახის ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან, იქნება ეს საქმიანი თუ ოჯახური. ისეთ ადამიანებს შორის დამყარებულ კომუნიკაციას, რომლებიც რაიმე სახით ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია ეწოდება

ყოველდღიურად ადამიანებს უწევთ სხვა ადამიანებთან კონტაქტი. მაგალითისთვის, ეს შეიძლება იყოს თანამშრომლებს შორის, კლიენტსა და მომსახურე პერსონალს შორის, ოჯახის წევრებს შორის დამყარებული კონტაქტი და სხვ. ამის განხორციელება შესაძლებელია ვერბალური და არავერბალური გზებით. ვერბალური კომუნიკაციის დროს ადამიანები მეტყველების სახით ამყარებენ ერთმანეთთან კონტაქტს, ხოლო არავერბალური კომუნიკაცია არის კომუნიკაცია სიტყვების გარეშე, მანერების, გარეგნობის და ურთიერთობისას დაკავებული მანძილის მეშვეობით. უკვე კარგად ცნობილი ფაქტია ის,




რომ კომუნიკაციისას უფრო მეტი წილი არავერბალურ კავშირზე მოდის. კერძოდ, საუბრისას ინფორმაციის 80%-ზე მეტი არავერბალური გზით გადაიცემა, შესაბამისად, სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადამიანები საუბრისას არავერბალური კომუნიკაციის მანიშნებლებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ და ენდობიან, ვიდრე ვერბალურისას.

მაგალითად, როდესაც ადამიანი საუბრისას ერთს ამბობს, მისი სხეულის ენა, ან ხმის ტონი სხვაზე მიანიშნებს, ინფორმაციის მიმღები უპირატესობას არავერბალურ მანიშნებლებს ანიჭებს.

კომუნიკაცია არ არის მხოლოდ საუბარი. ის თავის თავში მოსმენასაც მოიაზრებს. კომუნიკაცია=საუბარი + მოსმენა. მოსმენის კულტურა მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია. ეფექტური კომუნიკაცია ორმხრივი მოძრაობის ქუჩაა-დამოკიდებულია საუბარსა და მოსმენაზე, ანუ მოსაუბრესა და მსმენელზე. მოსმენა ვერბალური და არავერბალური შეტყობინებების გულისყურით მიღებას, მნიშვნელობის გაგებას გულისხმობს. მოსმენა და გაგონება განსხვავებული პროცესებია. მოსმენა ბევრად უფრო რთული და სიღრმისეულია. ,,ადამიანი თავად ირჩევს მოისმინოს თუ არა''.

რამდენიმე საინტერესო ფაქტი მოსმენასთან დაკავშირებით:

საშუალოდ: წუთში მოსმენის სიჩქარეა 125–250 სიტყვა, ხოლო ფიქრის 1000–3000 სიტყვა; დროის მონაკვეთის 75% ყურადღება გვეფანტება და გვავიწყდება;

მხოლოდ 20% გვახსოვს იმისა, რაც მოვისმინეთ;

საქმიანი ადამიანების 35% მიიჩნევს, რომ მოსმენა უმნიშვნელოვანესი უნარია წარმატებისთვის ;

ადამიანთა მხოლოდ 2%–ს აქვს მიღებული ფორმალური განათლება მოსმენის უნარებში;

როდესაც მაქსიმალურად ითავისებ მოსაუბრის ნათქვამს, მის ტყავში ძვრები, მასთან ერთად ფიქრობ, ყურადღებით და ინტერესით უსმენ, კომუნიკაცია ბევრად უფრო ნაყოფიერია. მეთოდი გამოიყენება ფსიქოთერაპიაში და უკავშირდება ამერიკელი ფსიქოლოგისა და ფსიქოთერაპევტის კარლ როჯერსის (1902–1987) სახელს. ითვლება, რომ კონსტრუქციული დიალოგისთვის აქტიურად მოსმენა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ზუსტი და გასაგები საუბარი.

კომუნიკაციები ერთმანეთისგან ტიპების გარდა სიღრმისეულობის ხარისხითან განსხვავდებიან. ეს იმას გულისხმობს, რომ მაგალითად, ექიმსა და პაციენტს შორის დამყარებულ კონტაქტზე უფრო მჭიდრო მეგობრებთან დამყარებული კონტაქტი იქნება. მეტი თვალსაჩინოებისთვის მსგავსი სახის ურთიერთობები შესაძლებელია

წრფეზე გამოისახოს, სადაც ვხედავთ, რომ მარცხნიდან მარჯვნივ კომუნიკაციის სიღრმის ხარისხი მატულობს.

ურთიერთობის პიროვნული ხარისხი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კომუნიკაციაზე. შესაძლებელია, რაც ღრმა, პიროვნულ ურთიერთობებში შეიძლება იყოს მისაღები, ზედაპირული ურთიერთობების დროს მიუღებელი აღმოჩნდეს.

კომუნიკაციას ზონების მიხედვითაც ახასიათებენ:

„ინტიმური" ზონა (0-დან 40-60 სმ-მდე) - ახლობელი ადამიანები, რომლებსაც არ სურთ საკუთარი ცხოვრება მესამე პირს გაუზიარონ. მაგ., ინტიმური ზონა ირღვევა საზ. ტრანსპორტში – კონფლიქტი

„პიროვნული" ზონა (45-120სმ) – ინდივიდის ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. მაგ., სოფელში – დიდია, ქალაქში – მცირე; სამხრეთელები ჩრდილოეთელებს თავშეკავებულ და ცივ თანამოსაუბრეებად თვლიან, ხოლო ჩრდილოეთელები სამხრეთელებს - უცერემონიო და მეტისმეტად აქტიურებად.

„სოციალური" ზონა (120-დან 260-300 სმ-მდე) - ფორმალური კონტაქტებისას ურთიერთობის დისტანცია. საქმიანი შეხვედრების, თათბირების, პრეს-კონფერენციების და ა.შ.

„საჯარო" ზონა(იწყება 3-3.5 მეტრიდან), უწოდებენ




ნახ. 1. ურთიერთობის პიროვნული ხარისხი

„ღია“ ზონასაც. გამოიყენება დიდ აუდიტორიასთან ურთიერთობისას, მაგ., სახელმწიფო და რელიგიური ცერემონიებისას.(Edward T. Hall, The Hidden Dimension, Anchor, 1990)

## ციფრული კომუნიკაცია

ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით იმდენად გამარტივდა კომუნიკაცია დაშორებულ ადამიანებს შორის, რომ ათეულობით წლის წინ წარმოუდგენელი რამ, დღეს, კომპიუტერულ ეპოქაში, ჩვეულებრივი რეალობაა. შეუძლებელია, ვისაუბროთ კომუნიკაციაზე და არ შევეხოთ თანამედროვე კომუნიკაციის განხორციელების გზებს, რომელიც ციფრული კომუნიკაციის სახელით არის ცნობილი და რომლის როლიც ჩვენს ცხოვრებაში დღითიდღე იზრდება.

ონლაინ კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდი არის ვებ გვერდის შექმნა. ვებ გვერდი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი საკომუნიკაციო არხია ციფრული კომუნიკაციის მზარდი განვითარებიდან გამომდინარე, თუმცა კონკრეტული საქმიანობის პირობებში, აუცილებელია განისაზღვროს ვებ გვერდის საჭიროება და მნიშვნელობა საქმიანობის მოცემულ ეტაპზე. საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ცალსახად გაეცეს პასუხი კითხვას, რატომ ვქმნით მას? ვებ გვერდის შექმნის მიზნები სხვადასხვაგვარია. ის შეიძლება შეიქმნას მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ, უბრალოდ ინფორმაციის გასავრცელებლად, კომპანიის პირადი მიზნებისთვის და ა.შ. მიზნების და საჭიროების განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია რესურსების შეფასება და ანალიზი. ბუნებრივია, ვებ გვერდის ფუნქციონირებისთვის გარკვეული რაოდენობის ტექსტური ინფორმაცია, ფოტო თუ ვიდეო მასალაა საჭირო.

ამიტომ წინასწარ უნდა მოხდეს შესაძლებლობათა შეფასება, რათა გვერდის ფუნქციონირებისთვის საჭირო მასალების ნაკლებობა არ შეიქმნას. შემდეგი ეტაპი გვერდის ვიზუალურ და ფუნქციონალ მხარეზე ზრუნვაა. უნდა განისაზღვროს რა მოქმედებების განხორციელება შეეძლება მომხმარებელს ვებ გვერდზე, რა სახის ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი, სად და როგორ იქნება შესაძლებელი კომპეტენტურ პირებთან დაკავშირება და ა.შ. მთავარია, აღნიშნული ინფორმაციის მიღება არ იყოს გართულებული. მომხმარებლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვებ გვერდიდან ინფორმაციის მიღების სიმარტივეს. დღეღესდღეობით, საზოგადოების დიდი ნაწილი ახალი ამბების უმეტესობას ონლაინ პლატფორმებიდან იღებს. ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალებების ხელმისაწვდომობის გამო ადამიანებს ბევრ საკითხზე მიუწვდებათ ხელი. დღეს უკვე ყველას ესმის, რა მიზანი აქვს რეკლამირებას და როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მომხმარებელზე. ამიტომაც ვებ გვერდის ეფექტური ფუნქციონირებისთვის მხოლოდ მისი გაპიარება და რეკლამები საკმარისი არ არის. სტუმრის დასაინტერესებლად, რათა მას კიდევ ერთხელ გაუჩნდეს ვებ გვერდზე შემოსვლის სურვილი, მეტია საჭირო. ამ შემთხვევაში ეფექტური კომუნიკაციის ფორმად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამბის და ინფორმაციის უჩვეულოდ, მომხმარებლისთვის საინტერესოდ გადმოცემა. თუ მომხმარებელი ჩათვლის, რომ გვერდი სახალისო და მისთვის საინტერესოა, გაიზრდება მისი ხელახლა დაბრუნების ალბათობა. ის თავად გახდება გვერდის შესახებ ინფორმაციის გამავრცელებელი და რეკლამის გამკეთებელი, რადგანაც კმაყოფილი მომხმარებელი გარშემომყოფებსაც უზიარებს დადებით ემოციებსა და შთაბეჭდილებებს.

ვებ გვერდების გარდა, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების უმთავრესი წყარო სოციალური ქსელებია. საქმიანობიდან გამომდინარე, სოციალურ ქსელებში გვერდის შექმნისას იგივე საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რაზეც ვებ გვერდების შექმნისას, თუმცა სოციალური ქსელები გარკვეული სპეციფიკითთან გამოირჩევიან. ამ დროისთვის, მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებულ, ონლაინ სოციალურ პლატფორმას Facebook, Instagram და Twitter წარმოადგენს. რომელ ქსელშიც არ უნდა გავხსნათ გვერდი, არსებობს რამდენიმე, ზოგადად გასათვალისწინებელი საკითხი:

თითოეული გვერდი შესაბამის კონცეფციას უნდა ეფუძნებოდეს;

აუცილებელია ყოველდღიური აქტიურობა;

აუცილებელია სხვადასხვა კომუნიკაციის გზების გამოყენება: ფოტო, ვიდეო, ტექსტი, GIF, კოლაჟი და ა.შ.

უნდა განისაზღვროს კომუნიკაციის სტილი, ოფიციალური თუ არაოფიციალური;

საძიებო სისტემაში მარტივად მოძებნადი უნდა იყოს;

საინტერესო და მიმზიდველი Profile და cover ფოტოს შერჩევა

როგორც ვნახეთ, სწორი კომუნიკაცია წარმატების გასაღებია. როცა თეოდორ რუზველტი პრობლემის გადაჭრის წინაშე დგებოდა, კაბინეტში არსებულ ლინკოლნის სურათს შეხედავდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა, - როგორ მოიქცეოდა მის ადგილას აბრაამ ლინკოლნი, რომლის წარმატების საიდუმლო ადამიანებთან სწორ, რაციონალურ და წარმატებულ ურთიერთობებში იყო. მან იცოდა, რომ თითოეულ ადამიანთან მათი უნიკალურობის - თვისებების, ფსიქოტიპის, შესაძლებლობების, ფასეულობების შესაბამის ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო, რის შედეგადაც გარშემომყოფთა კეთილგანწყობას, პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა. კვლევებმა აჩვენა, რომ არა მხოლოდ მენეჯერულ ან ბიზნეს საქმიანობაში, არამედ ისეთ სფეროებშიც კი, რომელიც საინჟინრო და ტექნიკურ უნარებს მოითხოვს, წარმატებული საქმიანობის 15% სპეციალისტების მიერ წმინდა ტექნიკური ცოდნის ხარჯზე მიიღწევა, 85% კი ადამიანთა პიროვნულ თვისებებს და იმ ცოდნას და უნარებს მიეწერება, რომლითაც სხვებთან სწორი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება შეუძლიათ. ტექნოლოგიები ვითარდება. მსოფლიო ყოველდღიურად იცვლება და მასთან ერთად იცვლება ეფექტური კომუნიკაციის გზები და საშუალებებიც, რომლის აღქმა, გააზრება, სწავლა და გამოყენება ნებისმიერი ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის წარმატებით განვითარების გარანტია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. კარნეგი დ. როგორ შევიძინოთ მეგობრები როგორ მოვიმხროთ ადამიანები. თბილისი, გამომცემლობა ორიონი, 1992.
2. ქარჩავა ლ. ,,ბიზნეს კომუნიკაციების განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში'', თბილისი, 2011.
3. აღლაძე ა, IBSUTraining Center-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსის ტრენინგ ცენტრი. 14 აპრილი 2014.
4. სუმბაძე ნ, მახარაძე თ, ინტერპერსონალური კომუნიკაცია მომსახურების სფერო, თბილისი, ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2010.
5. ბუკია ა, ,,ციფრული კომუნიკაცია'', ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი(NDI), დიდი ბრიტანეთის მთავრობა UK aid, თბილისი
6. Edward T. Hall, The Hidden Dimension, Anchor, 1990
7. http://komunikac.blogspot.com/2012/06/blog-post.html
8. http://www.parliament.ge/uploads/other/77/77766.pdf
9. http://psychologist.ge/category/ფსიქოლოგები/კარლ-როჯერსი/

# პანდემია და კიბერუსაფრთხოების პრობლემები

**თემურ ვაშაძე / მარიამ ელიკაშვილი**
ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი კოხრეიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

მიმდინარე წელს მსოფლიოში იფეთქა პანდემიამ, რამაც მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. ადამიანების უდიდესმა ნაწილმა დაიწყო ონლაინ პლატფორმის გამოყენება. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გახშირდა კიბერდანაშაული მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის, საქართველოშიც. შეტევები განხორციელდა ბიზნესის, ჯანდაცვის, განათლების, სპორტისა და თავდაცვის სფეროს წარმომადგენლებზე. ნაშრომში განხილულია კოვიდ პანდემიის დროს განხორციელებული ყველაზე გახმაურებული კიბერდანაშაულები და მაგალითები. განხილულია სამედიცინო და სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიებზე განხორციელებული შეტევები, ონლაინ სივრცეში ბავშვთა მიმართ გაზრდილი საფრთხეები, ყარაბაღის კონფლიქტის პერიოდში მიმდინარე კიბერომი. მიმოხილულია კიბერდანაშაულის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული ფორმა „ფიშინგი“ და მისი აღმოჩენის ხერხები. ნაშრომის ბოლოს ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, თუ როგორ ავირიდოთ კიბერდანაშაული.

**საკვანძო სიტყვები:**
კიბერდანაშაული, შეტევა, ფიშინგი, პანდემია

# PANDEMIC AND CYBERSECURITY PROBLEMS

**TEMUR VASHADZE / MARIAM ELIKASHVILI**
Head: Assistant Professor Giorgi Kokhreidze
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

## ANNOTATION

A pandemic broke out in the world this year which changed the situation radically. Most of the population started using the online platform. taking advantage of the current situation, cybercrime has increased throughout the world, Georgia is not an exception. The attacks targeted business, healthcare, education, sport and Military institutions. The paper discusses the most notorious cybercrimes and examples committed during the Covid pandemic. Attacks on medical and scientific research laboratories, increased threats upon children in online space, and cyber attacks during the Nagorno-Karabakh conflict are discussed. An overview of one of the most common forms of cybercrime, phishing, and ways to detect it. The paper concludes with recommendations on how to avoid being a victim of cybercrime.

**KEYWORDS:**
Cybercrime, Attack, Phishing, Pandemic

მას შემდეგ, რაც მსოფლიოში პანდემიამ იფეთქა ადამიანების სამუშაო სივრცე რადიკალურად შეიცვალა და მათ უმრავლესობამ მუშაობა თუ სწავლა დაიწყო ციფრული პლატფორმების გამოყენებით, რამაც, რა თქმა უნდა, გაზარდა კიბერუსაფრთხოების გამოწვევებიც, რადგან რაც უფრო მეტი ადამიანი იყენებს ციფრულ პლატფორმებს, მით უფრო მეტია პოტენციური თავდასხმების შესაძლებლობა. ჰაკერული თავდასხმების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ არამარტო დისტანციურად მომუშავე თანამშრომლები, არამედ სხვადასხვა კომპანიები/ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები. შეტევების მსხვერპლნი გახდნენ ისეთი ორგანიზაციებიც, რომელთაც კიბერ უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები გააჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კოვიდ-19-ის თემატიკის სულ მცირე 1 შეტევა მაინც განხორციელდა. შეტევების წარმატება განაპირობა საზოგადოებაში კოვიდ-19 თან დაკავშირებულმა შიშმა და ინფორმაციის მიღების მაღალმა სურვილმა.

პანდემიის პირობებში ჯანდაცვა ყველაზე აქტუალური სფეროა, რომელზეც განხორციელდა კიბერშეტევები, სექტორზე პანდემიის გავრცელების შემდეგ კიბერშეტევების რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა, სტატისტიკურად მეორე ადგილზეა წარმოება, ხოლო მესამეზე- საბანკო საფინანსო პროგრამები.

თანამედროვე სტატისტიკური მონაცემებით, ყოველ 39 წამში ერთხელ ჰაკერების ახალი შეტევა ხორციელდება[1] . კიბრეშეტევა არის თავდასხმა, რომელიც იწყება 1 ან მეტი კომპიუტერიდან სხვა კომპიუტერების ან ქსელების წინააღმდეგ. შეიძლება გამოვყოთ კიბერშეტევის

[1] bhttps://www.cyberhouse.ge/blog/2019/11/20/2019-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-10-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99/

რამდენიმე სახეობა, ესენია: Malware, Ransomware, Denial of service, Man in the middle, Cryptojacking, SQL injection და Phishing. მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია Phishing შეტევები.

Microsoft-ი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს[2], რომელშიც აანალიზებს ტრილიონობით საფრთხის სიგნალებს, კომპიუტერებიდან „ჭკვიანი მოწყობილობებიდან და ელექტრონული ფოსტიდან, რათა შეაფასოს კიბერუსაფრთხოება ერთი წლის განმავლობაში.

Microsoft-ის 2020 წლის ანგარიშში კიბერშეტევების პროცენტულ რაოდენობას თუ განვიხილავთ, ჰაკერების სამიზნე ქვეყნები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ამერიკის შეერთებული შტატები (USA) -69%;
2. დიდი ბრიტანეთი (UK) - 19%;
3. კანადა - 5%;
4. სამხრეთ კორეა - 4%;
5. საუდის არაბეთი - 3%;

ქვეყნების სია ჰაკერული შეტევების წარმომავლობის მიხედვით კი ასე განაწილდება :

1. რუსეთი -52%;
2. ირანი - 25%;
3. ჩინეთი -12%
4. ჩრდილოეთ კორეა და სხვა ქვეყნები- 11%;

მნიშვნელოვანია, რომ რუსეთს Microsoft - ის მიერ აღრიცხულ კიბერდანაშაულებში ყველაზე ცუდი ისტორია აქვს. ანგარიშის მიხედვით, რუსი ჰაკერები კიბერშეტევებს ახორციელებდნენ სპორტში ანტირუსული ქმედებების საპასუხოდ. როდესაც მსოფლიო 2020 წლის ტოკიოს საზაფხულო ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა, მათ სამი კონტინენტის მასშტაბით მინიმუმ 16 ეროვნულ, საერთაშორისო სპორტულ და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეუტიეს. შეტევების, საფრთხეების და მასშტაბურობის გასაანალიზებლად უპრიანი იქნება პანდემიის პერიოდში მომხდარი გახმაურებული და მასშტაბური შეტევების განხილვა.

პანდემიის მიერ შექნილი სიტუაციის გამოყენებით განხორციელებული კიბერშეტევის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 2020 წლის ნოემბრის დასაწყისში, ირანის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებული კიბერშეტევა. ფოსფორის სახელით ცნობილმა ჯგუფმა განახორციელა კიბერშეტევა მიუნხენისა და საუდის არაბეთის სამიტებზე დამსწრეთა წინააღმდეგ, რომლის წევრებიც იყვნენ ყოფილი ელჩები და პოლიტიკოსები, ასევე სხვადასხვა მაღალი დონის ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ თავიანთ ქვეყნებში გლობალური დღის წესრიგისა და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. Microsoft ვარაუდობს, რომ დამნაშავეებმა ადრეც განახორციელეს თავდასხმა მონაცემების შეგროვების მიზნით.

Microsoft აღნიშნავს, რომ მეილები გაეგზავნა ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებს, პოლიტიკის ექსპერტებს, აკადემიკოსებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს. ფოსფორმა გამოიყენა კორონა ვირუსით გამოწვეული შიში და დამსწრეებს დისტანციური სერვისი შესთავაზა და ზოგიერთი დამსწრე შეთავაზებას დათანხმდა, რის შედეგადაც, ჰაკერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მათი საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე ფოსფორის სამიზნე იყო მეილები, რომლებიც ამერიკის საპრეზიდენტო კამპანიასთან დაკავშირებულ პირებს, ყოფილ და მოქმედ მთავრობის წარმომადგენლებს და გლობალური პოლიტიკის ჟურნალისტებს ეკუთვნოდათ.

ჯანდაცვის სისტემაში ყველაზე მეტად დაზარალდნენ ლაბორატორიები, რომლებიც COVID 19 ცენტრებს წარმოადგენდა. ამერიკულმა სადაზვერვო სააგენტოებმა გამოიძიეს ის სამედიცინო და სამეცნიერო ცენტრები, რომლებშიც ხდებოდა თავდასხმები. განსაკუთრებული სამიზნე აღმოჩნდნენ ის უნივერსიტეტები, რომლებიც საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მუშაობდნენ COVID 19 ის კვლევებზე. შეტევებს ძირითადად ახორციელებდნენ ჰაკერები, რომლებიც მიეკუთვნებიან „მთავრობის მხარდაჭერილ" ჯგუფს. თუმცა, არ გასაჯაროვდა ის ქვეყნები, საიდანაც ეს ჯგუფი შესაძლებელია ყოფილიყო.

საქართველოში ჰაკერული თავდასხმა 2020 წლის 1 სექტემბერს განხორციელდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე. კიბერშეტევის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ლუგარის სახელობის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება. აღმოჩნდა, რომ სისტემაში უკანონო შეღწევის შედეგად ამოღებული ინფორმაცია ერთ-ერთ უცხოურ გვერდზე განათავსეს და ასევე შექმნეს მისი ყალბი ვარიანტიც, რათა დაეშინებინათ, დაებნიათ და გამოეწვიათ უნდობლობა საზოგადოებაში. დადასტურებულია, რომ თავდასხმები ლუგარის ლაბორატორიაზე რუსეთიდან ხორციელდებოდა.

საავადმყოფოებსა და ჯანდაცვის ორგანიზაციებზე უმეტესწილად თავდასხმები განხორციელდა Ransomware ვირუსის გამოყენებით. ჰაკერული შეტევა ხდება Trickbot ვირუსული ტიპის პროგრამის გამოყენებით, რომელიც ძირითადად ვრცელდება SPAM იმეილების საშუალებით, რომელთაც შესაძლოა, მოჰყვეს Ransomware ტიპის შეტევა. ასეთი შეტევის შედეგად ხდება სისტემის დაშიფრვა და ასევე შესაძლო საფრთხის ქვეშ ექცევა პირადი თუ ფინანსური მონაცემები. შეტევამ შესაძლოა, გამოიწვიოს ჯანდაცვის სერვისების წყვეტა. Universal Health Services არის ერთ-ერთი უმსხვილესი ორგანიზაცია, რომელიც გახდა Ransomware ვირუსული შეტევის მსხვერპლი. დუსელდორფის ერთ-ერთ ჰოსპიტალზე შეტევის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა 30 სერვერი, რამაც ჰოსპიტალის IT სისტემები მიუწვდომელი გახადა. ქალბატონს, რომელიც დახმარების აღმოსაჩენად სხვა კლინიკაში გააგზავნეს, დაგვიანებული დახმარების გამო კლინიკაში მიყვანიდან 1 საათში გარდაიცვალა.

კორონავირუსის გავრცელების გამო შეიზღუდა ქუჩაში გადაადგილება, რის გამოც ბავშვები ახლა უფრო დიდ დროს ატარებენ კომპიუტერებთან. გაჩნდა საფრთხე სექსუალური დანაშაულისა და კიბერ სივრცესთან დაკავშირებულ უამრავ საფრთხეზე. ევროპოლისა და ესტონეთის ბავშვთა დაცვის პოლიციის თანახმად, ბავშვები გახდნენ მოტყუების, ბულინგის, შევიწროვების მსხვერპლი

---

[2] https://www.microsoft.com/en-us/download/details.aspx?id=101738

კიბერ სივრცეში. გახშირდა სექსუალური ტექსტის შემცველი წერილები, ფოტო და ვიდეო მასალები. ბუნებრივია, რაც უფრო პატარა ასაკისაა ბავშვი, მით უფრო უჭირს გააზრება, რამდენად საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს ეს მისთვის. ყველაზე სერიოზული საფრთხე არის ბავშვების ბოროტად გამოყენება სოციალურ ქსელში და დაშინება, პორნოგრაფიის გავრცელება, სურათების დათვალიერება და ჩამოტვირთვა. გახშირდა პედოფილების მიერ ფულის გამოძალვის მცდელობა დაშინებით. მაგალითად, დამნაშავე შეიძლება ემუქრებოდეს უკვე გამოგზავნილი სურათების გამოქვეყნებით და მოითხოვოს ახალი ფოტოს ან შიშველი ვიდეოს გაგზავნა. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ სტრესულია ბევრი ბავშვისთვის და უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ დაამთავრეს სიცოცხლე იმ ბავშვებმა, რომლებსაც ინტერნეტ სივრცეში ემუქრებოდნენ მსგავსი სახის შეტყობინებებით. დამნაშავეები ამ დანაშაულის დასაფარად იყენებენ p2p ქსელებს, სოციალური ქსელის პლათფორმებს და დაშიფრულ საკომუნიკაციო პროგრამებს.

„მთავრობის მხარდაჭერილი“ კიბერ შეტევები საომარი თეატრის პარალელურად კიბერსივრცეში ვითარდება და მოწინააღმდეგე მხარეზე მაქსიმალური ზარალის მიყენებაზე, დეზინფორმაციაზე, მოსახლეობაში პანიკის დათესვასა და ანტისამთავრობო განწყობის შექმნაზეა ორიენტირებული. ამის ნათელი მაგალითია ყარაბახის კონფლიქტის პარალელურად გაჩაღებული დაპირისპირება სომხურ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის.

საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე საქართველოში აღინიშნა დივერსიული აქტები. 29 სექტემბერს დაუდგენელმა პირებმა დმანისთან დააზიანეს მიწის ქვეშ არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო კაბელი. გადაჭრეს შავი ზღვიდან შემომავალი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი კაბელი, რომელიც საქართველოს გზით მიდის სომხეთამდე. 28 სექტემბერს დააზიანეს კაბელი, რომლის მეშვეობითაც შეუზღუდეს ინტერნეტი მოსახლეობას. აღნიშნული კაბელიც უკავშირდებოდა სომხეთის რესპუბლიკას. სომხეთის პრემიერ მინისტრის პრესმდივანმა განაცხადა, რომ მათ ერთ-ერთ ინფორმაციულ საიტზე განთავსდა პრემიერ მინისტრის ყალბი განცხადება, სადაც ის მოუწოდებდა ყარაბახის მოსახლეობას დაეტოვებინათ საცხოვრებლები და წასულიყვნენ სომხეთში. საპასუხოდ, სექტემბრის ბოლოს სომხურმა კიბერდაჯგუფებამ შეაღწია აზერბაიჯანის უდიდეს ოპერატორ Azer Telecom ქსელში და მოიპოვა დიდი რაოდენობით ინფორმაცია. ამის შემდეგ, აზერბაიჯანელემა გატეხეს ცნობილი სომხური Facebook გვერდები და მათი საშუალებით ავრცელებდნენ დეზინფორმაციას. კიბერ დაპირისპირებაში მონაწილეობა მიიღო ასევე ბერძნულმა ჰაკერულმა დაჯგუფებამ „Anonymous Greece“, მათ გატეხეს 76 აზერბაიჯანული სამთავრობო საიტი სომხეთის მხარდასაჭერად. ვითარება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საკმაოდ დაძაბულია და ექპერტები ვარაუდობენ, რომ კიბერომი ისევ გაგრძელდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რიგითი მომხმარებლისთვის ყველაზე საზიანო და გავრცელებული კიბერდანაშული არის ფიშინგი. ფიშინგის მიზანია, ყალბი ვებ-გვერდების და ფაილების საშუალებით ინტერნეტ მომხმარებლების პირადი მონაცემების მოპარვა. ეგრეთ წოდებული ფიშერები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, რათა შეცდომაში შეიყვანონ მომხმარებლები. მათ კარგად იციან ადამიანის ფსიქოლოგია, მომხმარებლებს უგზავნიან საინტერესო, მაცდურ შეთავაზებებს აქტუალურ საკითხებზე. მაგალითად, კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებულ თემატიკას, რომლებიც მომხმარებლებს ნებისმიერ სოციალურ ქსელში შესაძლოა მიუვიდეთ შეტყობინების სახით, შეტყობინებაში მომხმარებლისგან მოითხოვენ სწრაფ რეაგირებას, რათა მომხმარებელმა ვერ გაანალიზოს, რას აკეთებს და მიიღოს უეცარი გადაწყვეტილება. მომხმარებელი დაინტერესების შემთხვევაში გადადის ფიშერის ბმულზე, რომელიც თან ახლავს შეტყობინებას. მეტი დამაჯერებლობისთვის ფიშერები იყენებენ ცნობილი კომპანიების, ორგანიზაციების სახელებს, მათ ლოგოებს და აკეთებენ ამ ორგანიზაციების ოფიციალური საიტის ანალოგურ საიტებს, რომელსაც რიგითი მომხმარებელი ვიზუალურად ვერ განასხვავებს, მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO). როგორც წესი ფიშერმა იცის ვინ იქნება მისი მსხვერპლი, მასზე გააჩნია გარკვეული ინფორმაცია და ამ ინფორმაციის საშუალებით ხვდება, თუ რა ფსიქოლოგიური ტაქტიკა უნდა გამოიყენოს, როგორ მიუდგეს მსხვერპლს და როგორ გააბას მახეში. როგორც წესი, წელს ფიშერები სატყუარად იყენებდნენ ისეთ აქტუალურ თემებს, როგორიცაა კოვიდ 19 ის ვაქცინა, ყარაბახის დაპირისპირება, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები და ასე შემდეგ.

როგორ დავიცვათ თავი კიბერთავდასხმისგან :

1.შეინახეთ თქვენი ინფორმაცია უსაფრთხოდ, დარწმუნდით, რომ მნიშვნელოვანი ფაილის ასლები გაქვთ შენახული თქვენი სისტემისგან დამოუკიდებლად ღრუბელში ან მყარ დისკზე.

2. ყოველთვის უნდა შევამოწმოთ ბმულის მისამართი, რათა დავრწმუნდეთ, რომ ვებ გვერდი ეკუთნის ნამდვილად იმ ორგანიზაციას, რომელშიც ვცდილობთ ავტორიზაციის გავლას, ან სულაც არ გადავიდეთ მითითებულ ბმულზე, ბრაუზერში პირდაპირ მოვძებნოთ ამ ორგანიზაციის ვებ გვერდი და გავიაროთ ავტორიზაცია იქ.

3.შეამოწმეთ თქვენი პროგრამული უზრუნველყოფა და სისტემები, დარწმუნდით, რომ თქვენს მოწყობილობებზე დაყენებულია უახლესი ანტივირუსული პროგრამა.

4. საჯარო WIFI- ის სარგებლობისას თავი შეიკავეთ ინტერნეტ ბანკში შესვლისა და ბარათის მონაცემების გამოყენებისგან.

5. ყოველთვის გადმოიწერეთ ლიცენზირებული პროგრამები მავნე და ჯაშუშური პროგრამებისგან თავის დასაცავად.

6. არ გადახვიდეთ ბმულზე, რომელიც გამოგეგზავნებათ ელ- ფოსტაზე, რომელთა მიღებას არ ელოდებით ან უცნობია გამომგზავნი. ასეთ შემთხვევაში რეკომენდირებულია „სპამისა“ და „ფიშინგის“ ფილტრების გამოყენება.

7. შეამოწმეთ რეგულარულად და განაახლეთ კონფიდენციალურობის პარამეტრები თქვენს სოციალურ მედიაში არსებულ ანგარიშებზე. განაახლეთ პაროლები და არ გამოიყენოთ ერთი და იგივე პაროლი სხვადასხვა სოციალურ მედიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:


- https://www.microsoft.com/en-us/download/details.aspx?id=101738
- https://www.interpol.int/Crimes/Cybercrime/COVID-19-cyberthreats
- https://www.europol.europa.eu/newsroom/news/covid-19-sparks-upward-trend-in-cybercrime
- https://oxfordbusinessgroup.com/news/fighting-covid-19-surge-cybercrime
- https://idfi.ge/ge/russian_information_war_against_lugar_laboratory
- https://www.forbes.com/sites/simonchandler/2020/10/29/iranian-hackers-target-high-profile-conference-amid-rise-in-state-sponsored-hacking/?sh=3aa3ea96f4a7&fbclid=IwAR2qI0Y5udwZL-W_uD_mgI2V1KvhtoOflluEJ7KxITPjwKuUDncuZ6GCNcA

# კორონომიკა - კაცობრიობის ახალი გამოწვევა

**ნუგზარი ქვარიანი / ლუკა ბარძემიშვილი**
ხელმძღვანელი - პროფესორი ქეთევან ჭიაბრიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

2020 წლის ეკონომიკური კრიზისი კაცობრიობის ისტორიაში კორონომიკული კრიზისის სახელით შევა, რომლის მიზეზიც COVID-19 -ის პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური საფრთხეები და ჩავარდნებია. უკანასკნელმა მოვლენებმა ყველაზე მეტად დააზარალა ქვეყნების ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა: ტურიზმი; სამგზავრო ავიაგადაზიდვები; ფასიანი ქაღალდების ბაზრები; ჯანდაცვის სისტემა და ა.შ. კორონავირუსი პრაქტიკულად „ეკონომკურ პანდემიად" გარდაიქმნა. ეკონომიკური საფრთხეებისა და გამოწვევებიდან გამომდინარე ქვეყნებმა დაიწყეს ანტიკრიზისული გეგმების შექმნა და განხორციელება. თუმცა, კვლავ ბუნდოვანია კორონავირუსის დაძლევის მომავალი და მისი გავრცელების პრევეციული ღონისძიებების ეფექტურობა. შესაბამისად ანალიტიკოსების მიერ ეკონომიკური პროგნოზების გაკეთებაც გართულებულია. დღის წესრიგში დგება ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების შეფასება და გადაფასება პრეკრიზისული ვითარებიდან გამომდინარე. კორონომიკის აქტუალობას ისიც განსაზღვრავს, რომ გლობალური საფრთხეები შესაძლოა მომავალშიც გაგრძელდეს და მსოფლიომ ამგვარ პირობებში უნდა ისწავლოს ცხოვრებაც, ეკონომიკური საქმიანობაც და ახლებური და ეფექტური ანტიკრიზისული ღონისძიებების შემუშავებაც.

**საკვანძო სიტყვები:**
კორონომიკა; ეკონომიკური კრიზისი;ანტიკრიზისული გეგმა; პრევენციული ღონისძიებები.

# CORONOMIC – NEW CHALLENGE OF HUMANITY

**NUGZARI KVARIANI / LUKA BARDZEMISHVILI**
Head: Professor Ketevan Chiabrishvili
David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

## ANNOTATION

The economic crisis of 2020 will be named as a Corona virus crisis in human history due to the economic threats and recessions caused by the COVID-19 pandemic. Recent events have hit the vital components of the countries' economies, such as: tourism; passenger air transportation system; security market; healthcare system, etc. The coronavirus has basically turned into an «economic pandemic». Due to the economic threats and challenges, countries set up to develop and implement anti-crisis plans. However, the future ways of Corona virus control and the effectiveness of preventive measures against its spread are still vague. Consequently, it is hard to predict economic future for analysts. The assessment and reevaluation the countries' economic potential present actual issues due to the pre-crisis situation. The urgency concerning the Corona virus crisis is also determined by the fact that global threats may continue in the future and the whole World has to keep up with living, doing economic activities and taking modern effective anti-crisis measures in such kind of conditions.

**KEYWORDS:**
coronomic, economic crisis, anti-crisis plan, preventive measures.წ

2020 წელი კაცობრიობის ისტორიაში დასამახსოვრებელი ხდება. წინა წლის მეორე ნახევრიდან ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციიდან გავრცელებას იწყებს ახალი ვირუსი და მოგვიანებით ეს პროცესი მსოფლიო პანდემიად ცხადდება. მისი მიმდინარეობა და შედეგები ადამიანების ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ საქმიანობაზე ისახება. პანდემიიდან გამომდინარე მასშტაბები გლობალურია და ჩვენ თვალწინ ხდება ახალი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბუშტის გაბერვა და შესაბამისად, ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარებაც. რა შეცვალა და კიდევ რას შეცვლის კორონა ვირუსი ჩვენს ცხოვრებაში? პასუხები იმდენად მასშტაბური, ყოვლისმომცველი და ღრმაა, რომ ადამიანებს გაუჩნდათ მოლოდინი, რომ დედამიწა აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც 2020 წლამდე იყო.

### კორონა ვირუსი და მსოფლიო

რა თანმდევ პროცესებს ვხედავთ ყოველდღიურ ცხოვრებაში? როგორი გადაწყვეტილებების მიღება უწევთ მთავრობებს? საბოლოო ჯამში რას მოუტანს

ქვეყნის ეკონომიკებსა და მოქალაქეებს აქტივობის ე.წ. წერტილოვანი და მასშტაბური შეზღუდვები? რა ცვლილებებია ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში და რომელ რეგიონებსა და დარგებს აზარალებს შექმნილი ეკონომიკური კრიზისი? რა პრიორიტეტებით შეიმუშავებენ მთავრობები მაკროეკონომიკური განვითარების ანტიკრიზისულ გეგმებს? წინამდებარე სტატიაში ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს განვიხილავთ.

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ტერმინებიც:- „კორონომიქსი“ და „კორონომიკა“. ცხადია, კორონომიკის აქტუალობა ქვეყნების ანტიკრიზისული და პრევენციული ღონისძიებების აუცილებლობითა და მომავალ მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების პროგნოზირების აუცილებლობითაა გამოწვეული. ვლადიმერ პაპავას აზრით: ,, ზოგადად, ეკონომისტები იკვლევენ ეკონომიკური კრიზისების გავლენას ჯანდაცვის სისტემაზე, ამ შემთხვევაში კი თავად კორონავირუსია ფართომაშტაბიანი კრიზისის გამომწვევი (კორონავირუსი პრაქტიკულად „ეკონომიკურ პანდემიად გადაიქცა“), რის გამოც ეკონომიკა ჯანდაცვის სისტემის „ტყვე“. [https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html]

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ პანდემიის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი თვისობრივად განსხვავდება კლასიკური მსოფლიო კრიზისული პერიოდების მაგალითებისგან. ისტორიული კრიზისების გამომწვევი მიზეზები ბანალურია და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების რღვევითაა გამოწვეული, ამ შემთხვევაში კი, მიზეზი მის მიღმა არსებული სივრციდან და ეფექტებიდან მოდის (კორონა ვირუსის სწრაფი გავრცელება მსოფლიოში). ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ დღევანდელი მოცემულობა ცალკეულ ქვეყნებსა და მსოფლიო ეკონომიკას ახალი და ჯერ კიდევ უცნობი საფრთხეებისა და გამოწვევების გარემოცვაში აგდებს.

მსოფლიო ისტორიის 100 წლის მანძილზე მსგავსი კრიზისებიდან გასახსენებლად ხუთიოდე ღირს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის, რომ XX საუკუნის კრიზისებს უფრო ლოკალური სახე ჰქონდა, ვიდრე „კოვიდკრიზისს“ აქვს. ამის მიზეზი კი ეკონომიკაში გლობალურობის დაბალი მაჩვენებელი იყო. უახლესი, 2008 წლის კრიზისი საფინანსო სისტემით დაიწყო და მთელი მსოფლიო მოიცვა, რამაც მსოფლიო ეკონომიკა 3,3%-ით შეამცირა. გაკოტრდა მრავალი კომპანია, რის შედეგადაც განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დონე 5%-დან 9%-მდე გაიზარდა. აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლა 2010 წლიდან დაიწყო. თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმინდა ეკონომიკური კრიზისების დროს გამოცდილი ანტიკრიზისული ღონისძიებები და პრობლემათა გადაჭრის საშუალებები დღევანდელი სპეციფიკური ეკონომიკური კრიზისის პირობებში წარმატებით გამოყენებული ვერ იქნება.

ცხადია, ეკონომიკური წონადობით გამორჩეულ ისეთ ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური კრიზისის შედეგები როგორიც ჩინეთია, მსოფლიო ეკონომიკაზეც აისახება. ჩინეთში დაწყებულმა რეცესიამ მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქტზე ფასები (ჩინეთი საწარმოო რესურსებისა და მზა პროდუქტის მნიშვნელოვანი ექსპორტიორია). ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მოლოდინები 6,1%-დან 4,9%-მდე შემცირდა. ა.შ.შ-ში ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული 2,3% ნაცვლად, - 1,9% იქნება. უმუშევრობის დონის ზრდას კი 12,8%-მდე ვარაუდობენ. ევროპის ქვეყნებსა და სამხრეთ ამერიკაში რეცესიას ტურიზმის სფეროში შემოსავლების შემცირება ემატება. რაც შეეხება ამიერკავკასიის რეგიონს, სამივე ქვეყანაში განსხვავებული მოლოდინებია, ამის გამომწვევი მიზეზი კი ეკონომიკური სტრუქტურისა და ზოგადი კონიუნქტურის განსხვავებულობაა. მკვლევართა აზრით, კრიზისს ყველაზე რთულად აზერბაიჯანი გადაიტანს, რადგან ე.წ. lock down-ი აქ შედარებით მკაცრი და ხანგრძლივი იყო. რეგიონულ პრობლემებს სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული დაპირისპირებაც დაემატა. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანში შემცირებულ 2%-იან, ხოლო სომხეთში ასევე შემცირებულ 3,5% ეკონომიკურ ზრდას ელოდებიან.

## საქართველო და კორონომიკა

პანდემიამ, როგორც გლობალურმა გამოწვევამ, ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკასაც. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, 2020 წლისთვის ქვეყნის ეკონომიკა-4.0%-ით შემცირდება. არსებულმა რეალობამ მზარდი ეკონომიკური ვითარება საფრთხის ქვეშ დააყენა. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მოწყვლადობა სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა, ის უკავშირდება მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურას, სადაც დარგობრივად ყველაზე დიდი წილი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებზე მოდის, რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდნენ კორონავირუსის პირობებში - ესენია საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13.9 %), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4 %), მშენებლობის სექტორი (8.3%), საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები (6.1%) და ტურისტული სექტორი.

შესაძლებელია ითქვას, რომ პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა ბრძოლაში ჩააბა, რომლის პირველ ტალღასაც საქართველო მომზადებული შეხვდა. აღნიშნულ წარმატებას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარებაც მოჰყვა, თუმცა მიმდინარე წლის ბოლოს მდგომარეობა კვლავ შემობრუნდა და ქვეყნის ეკონომიკა დამატებითი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) 2019 წლის მონაცემებით 911 ათასი კაცი იყო , ხოლო 2020 წლის კვარტლების მიხედვით კი შემდეგია: პირველი კვარტალი- 892 ათასი, მეორე კვარტალი- 919 ათასი, მესამე კვარტალი კი - 847 ათასი. თვალსაჩინოა, დასაქმებულთა ზრდა მეორე კვარტალში, როცა პანდემიური პროცესების ეფექტურად მართვის შედეგად (ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი რეგულაციები და მოსახლეობის მოქალაქეობრივი შეგნება) ნაწილობრივ განახლდა დროებით შეჩერებული ეკონომიკური აქტივობები. მოგვიანებით, ზაფხულის სეზონის შიდატურისტული სექტორის განახლებამ კვლავ გამოიწვია პანდემიის მეორე ტალღის დაწყება და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტატისტიკამ საერთო მონაცემებით ისევ იკლო.

შესაძლებელია ითქვას, რომ პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკას ომი გამოუცხადა და ამ ომის პირველ ტალღას საქართველო მტკიცედ და მომზადებული შეხვდა, რასაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დადებითი შეფასებები მოჰყვა. თუმცა მიმდინარე წლის ბოლოს მდგომარეობა კვლავ

შემობრუნდა და ქვეყნის ეკონომიკა დამატებითი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) , 2019 წლის მონაცემებით 911 ათასი კაცი იყო , ხოლო 2020 წლის კვარტლების მიხედვით კი შემდეგია: პირველი კვარტალი- 892 ათასი, მეორე კვარტალი- 919 ათასი, მესამე კვარტალი კი - 847 ათასი. თვალსაჩინოა, სამუშაო ძალის ზრდა მეორე კვარტალში როცა, პანდემიამ ე.წ ,,პაუზა'' აიღო საქართველოში ( ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების გატარებით და მოსახლეობის არსებულ პრობლემასთან გაგებით მოკიდების გამო) და ნაწილობრივ განახლდა ყველა იმ ბიზნესის მუშაობა, რომლებიც დროებით შეჩერებული იყო. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტატისტიკამ საერთო მონაცემებით იკლო, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.

საარჩევნო წელმა დამატებითი რესურსიც მოითხოვა და ეკონომიკა კვლავ მკაცრი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკისა და მანდატის მოლოდინში მოექცა, რათა შესაძლო დახმარება გაეწიოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საგრძნობლად შენელებულ ტემპს.

### ანტიკრიზისული გეგმა

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო დღესაც ებრძვის პანდემიას და მისგან გამოწვეულ წინაკრიზისულ ვითარებას. კრიზისების მართვის მიმართულებით სახელმწიფოები ჯანდაცვის სისტემასთან თანამშრომლობით აკეთებენ პროგნოზებს, ადგენენ და ამუშავებენ გეგმებს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შემდგომი სხვადასხვაგვარი განვითარების შედეგების გათვალისწინებით. მათ შორის, საქართველოს მთავრობამაც შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი და დღეისთვის უკვე ამოქმედებულია. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, გამოკვეთილია სამი საპასუხისმგებლო მიმართულება, რომელიც მთავარ გამოწვევას წარმოადგენს; ესენია: პანდემიის მინიმალური დანაკარგებით დაძლევა, მოსახლეობისათვის სოციალური დაცვისა და ტრანსფერული ღონისძიებების უზრუნველყოფა და ეკონომიკის სწრაფი ამუშავება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პანდემიის შესაკავებლად სხვადასხვა რესურსის მობილიზება და განაწილება-გადანაწილება ხდება, თუმცა მკვლევართა აზრით, პანდემიის შეჩერებას (ყველაზე პოზიტიური სცენარის შემთხვევაში) კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება და მის შედეგებთან გასამკლავებლად ქვეყანას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

სოციალურ მიმართულებას ანტიკრიზისულ გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს. პანდემიის დაწყებიდან სახელმწიფომ არაერთი სუბსიდია განახორციელა, როგორიცაა, არასრულწლოვნებისთვის 200 ლარიანი დახმარებების გაცემა, სამუშაოდაკარგული მოქალაქეებისთვის ასევე 200 ლარიანი, ერთჯერადი დახმარების გაწევა; პენსიონერებისთვის საპენსიო თანხის წინასწარ აღების საშუალება და ა.შ. ანტიკრიზისული გეგმის მესამე ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პაკეტია. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი შეღავათები დააწესა საბანკო-საკრედიტო ვალდებულების მქონე მეწარმეთათვის (საბანკო შენატანები გადავადდა სამი თვით) და დაიწყო მათ მიერ გადახდილი დღგ-ს გადასახადის უკან დაბრუნების პროექტის განხორციელებაც. აქვე აღსანიშნავია ევროპული და ამერიკული დონორი ორგნიზაციების მიერ საქართველოსთვის გაცემული ფულადი დახმარებები, რომლის მიზნობრიობაც ზემოთაღნიშნული ანტიკრიზისული გეგმის წარმატებით განხორციელებაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმების შემდეგ, საერთაშორისო დონორებისგან საქართველომ მიიღო 1,5 მილიარდი ა.შ.შ დოლარის დახმარების გარანტიები ბიუჯეტისა და მთავრობის მიმართულებით, ხოლო დამატებით 1,5 მილიარდი კერძო სექტორთან დაკავშირებით.

აღნიშნული გამოწვევების გასამკლავებლად საქართველოს მთავრობას მყარად უნდა ჰქონდეს გააზრებული ახალი ეკონომიკური წესრიგის ძირითადი მიმართულებები პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში:

1. ადგილობრივი წარმოების, აგროწარმოების, სასურსათო უსაფრთხოების და მარაგების შექმნის მიმართულებების გაძლიერება. „რაც ქვეყანას სჭირდება, ქვეყანაშივე უნდა ვაწარმოოთ";
2. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის ტემპი შენელდა, განვითარებად ქვეყნებს შანსი ეძლევათ ინვესტიციების მოზიდვისა, თუნდაც მინიმალური ამონაგებით. (IT ტექნოლოგიებში, ბიოტექნოლოგიებში და ა.შ.);
3. ლარის კურსის სტაბილიზაცია სწორი მონეტარული პოლიტიკით;
4. ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ამისთვის შეიქმნა სწორედ ხელსაყრელი პირობა);
5. ევროკავშირისა და ამერიკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ტრანსფერების მიმართვა ზემოთ აღნიშნული მიმართულებების განსავითარებლად;
6. განათლების პოლიტიკაში - დისტანციური სწავლების ე.წ. სვოტანალიზის შედეგად მისი დადებითი მხარეებისა და შესაძლებლობების გაძლიერება, ნაკლოვანებებისა და საფრთხეების მინიმალურ დონემდე შემცირების პარალელურად.

ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ ის პრობლემები და საკითხები, რომელიც საქართველოსა და მსოფლიოს ეკონომიკისთვის დღის წესრიგში დგას. ნათლად ჩანს ის ფაქტები, თუ როგორ მოქმედებს რთულად მართვადი ვირუსი ჩვენს ეკონომიკაზე და რა დარტყმას აყენებს მწარმოებლებს. სწორედ ამიტომ, საჭიროა ანტიკრიზისული გეგმის დროულად ჩაშვება და ამოქმედება, რათა თავიდან ავიცილოთ დამატებითი პრობლემები. სიტუაციიდან გამოსვლის შანსი ქვეყანას აქვს სწორი ძალისხმევით და მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკით. როგორც პირველი ტალღის დროს ვიყავით ერთ-ერთი გამორჩეულები, შეგვიძლია ვიყოთ ახლაც და შემდგომშიც. ყველა ის ზემოთ ჩამოთვლილი ახალი ეკონომიკური წესრიგის მიმართულებები ქვეყანას ,,ტყვეობიდან დაიხსნის'', რათა მოხდეს კრიზისის მარტივად დაძლევა. კვლევისა და ანალიზის შედეგების შეჯამება ნათლად აჩვენებს არსებული სიტუაციის სიმძიმეს და გამოსავალს ქვეყნის შიგნით პროდუქტიულობის ზრდაში ჰპოვებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Kharashvili E., Gagnidze I., Kavleshvili M., Natsvlishvili I., Microecoa (2008), Universali, Tbilisi.
2. N. Gregory Mankiw., Macroeconomics(2019), Macmillan 10TH Edition.
3. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/coronavirus.html
4. https://forbes.ge/news/8274/ekonomikuri-krizisebis-mizezebi-da-Sedegebi-
5. https://emc.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviuebi-ekonomikis-mkvlevrebtan
6. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136006/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94
7. https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf
8. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba
9. https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html
10. http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972
11. https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf

# საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი გამოწვევები

სანდრო ბალიაშვილი / ზურაბ სოფრომაძე
ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი შალვა კვეზერელი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

გარემო ბოლო წლებში განსაკუთრებით სწრაფად ცვალებადია და ყველა მონაწილეს, ასევე სწრაფი ცვლილებებისკენ უბიძგებს. რა თქმა უნდა, იგივე ეხება შრომის ბაზარს. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მცირე ჩავარდნა, ან ცვალებადი გარმოსთვის ფეხის დროულად ვერ აწყობა მყისიერად აისახება ყველაფერზე. მოცემულ ნაშრომში „საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი გამოწვევები" განხილულია საქართველოს შრომის ბაზრის ისეთი ძირითადი გამოწვევები, როგორიცაა: უმუშევრობა, დასაქმება, განათლების როლი დასაქმება-უმუშევრობის საკითხში, მიგრაციული საკითხები და დღესდღეისობით ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი - პანდემია და მისი გავლენა შრომის ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარი არ არის ცალკე აღებული, განყენებული სივრცე. ის აქტიურად არის დაკავშირებული ქვეყნის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან და შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს მოცემული საკითხების ერთად განხილვა. ნაშრომში განსაკუთრებით ხაზგასმულია 3 ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხი, როგორიცაა: შრომის ბაზარი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და განათლება. ვფიქრობთ, რომ მოცემული საკითხების განხილვა ერთმანეთისგან გამიჯნულად შეუძლებელია. შესწავლილი საკითხების საფუძველზე წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია.

# THE MAIN CHALLENGES OF THE GEORGIAN LABOR MARKET

SANDRO BALIASHVILI / ZURAB SOFROMADZE
Head: Assistant Professor Shalva Kvezereli
David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia

## ANNOTATION

The environment, especially in recent years, is changing rapidly and pushing all participants to rapid change as well - certainly the same goes for the labor market. This is especially true for an economically developing country like Georgia.This paper "Main Challenges of the Georgian Labor Market" discusses the main challenges of the Georgian labor market, such as: unemployment, employment, the role of education in employment-unemployment, migration issues and a very important issue today is the pandemic and its impact on the labor market. It should be noted that the labor market is not a separate space. It is actively related to other important issues of the country and therefore it is necessary to discuss these issues together. The paper emphasizes 3 closely related issues, such as: labor market, economic development of the country and education. We think that it is impossible to discuss the given issues separately.Based on the issues studied, several important recommendations are presented.

„საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას დასაქმების ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება წარმოადგენს, რაც შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ზოგადად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო სექტორის შემდგომი განვითარება და ზრდა უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია."[1]

ქართულ ბაზარზე ერთგვარ პარადოქსს აქვს ადგილი. ერთი მხრივ, არსებობს მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, მეორე მხრივ, არსებობს ჭარბი სამუშაო ძალა და მთავარი პრობლემა სწორედ არასათანადო კვალიფიკაციაა. „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015÷2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის" („The Global Competitiveness Report") მიხედვით, ბოლო წლებში ბიზნესმენთა და ინვესტორთა დიდი ნაწილი საქართველოში ბიზნესის

[1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019 წ. გვ. 6.

ხელისშემშლელ ძირითად გარემოებად სამუშაო ძალის არაკვალიფიციურობას ასახელებს. ქვეყნის შრომის ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, თუმცა მცოდნე და გამოცდილი მუშა ხელის მწვავე ნაკლებობაა.“[2]

„შრომის ბაზარი სამუშაო ძალის მყიდველებისა და გამყიდველების კონტაქტების სფეროა, სადაც ორი მხარე პირველი ეს არის დასაქმებულები, ხოლო მეორე დამსაქმებლები. დასაქმებული ეს არის ფიზიკური პირი, რომელიც პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ეწევა საქმიანობას, რომელიც კანონით აკრძალული არ არის, და ანაზღაურებას იღებს ფულადი ან ნატურალური ფორმით. ორგანიზაცია ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოდგენილია მისი ხელმძღვანელით ან ფიზიკური პირი, რომელთანაც მუშაკს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (კონტრაქტი) შრომითი ურთიერთობის შესახებ.“[3]

მოცემულ ნაშრომში: „საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი გამოწვევები“ გადმოცემული არის ყველა ის ძირითადი პრობლემა, რაც შრომის ბაზართან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, განხილულია ის საშუალებები, რომლის გამოყენებითაც შეგვიძლია ეს პრობლემები აღმოვფხვრათ. უმუშევრობა რომ ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, ადასტურებს NDI (The National Democratic Institute) მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოკითხული მოსახლეობის 67% ქვეყნის ყველაზე დიდ პრობლემად სწორედ უმუშევრობას მიიჩნევს. ნაშრომი ასევე მიმოიხილავს საქართველოს შრომის ბაზრის არსებულ კვლევებს. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები.

### ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა

„საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია, კერძო სექტორის აქტივობისა და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში უმუშევრობის დონის შემცირებას ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობით სამუშაო ძალაზე შექმნილი დამატებითი მოთხოვნა განაპირობებდა. თუმცა საყურადღებოა, რომ 2012 წლიდან ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, ძირითადად საგარეო ეკონომიკური შოკების ზეგავლენის შედეგად ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, რაც მიუთითებს, რომ ბიზნეს სექტორის ზრდა გარკვეულწილად ჩამორჩება პოტენციურ შესაძლებლობას და შესაბამისად, მის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდაზე გავლენა დამატებით პოტენციალს შეიცავს.“[4] ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2019 წელს უმუშევრობის დონემ საქართველოში 11,6% შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შრომის მიწოდების თვალსაზრისით, სუსტი პოზიტიური ტენდენციები განვითარდა, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის კუთხით არსებული დინამიკა. კერძოდ, დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, ბოლო 10 წლის განმავლობაში, შრომისუნარიანი მოსახლეობა კლებადობით ხასიათდება.

სამუშაო ძალის შემცირება აისახა 2019 წლის კვარტალურ მონაცემებზეც. 2019 წლის ოთხივე კვარტალის მონაცემები ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, 2019 წლის I კვარტალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლების რაოდენობამ 1,933.2 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0.3%-ით ნაკლებია. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველ კვარტალში 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონე არ შეცვლილა, რაც 15+ ასაკის მქონე მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებით არის გამოწვეული. 2019 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აქტიურობის დონე შემცირებულია 0.3% პუნქტით, მესამე კვარტალში 1.8% პუნქტით, ხოლო მეოთხე კვარტალში- 1.9% პუნქტით. 2019 წლის IV კვარტლის მონაცემებით, საქართველოში სამუშაო ძალის რიცხოვნობამ 1,871.3 ათასი ადამიანი შეადგინა.“[5]

თვალსაჩინოება 1: დასაქმება და უმუშევრობა

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 I | 2020 II | 2020 III |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი | 1 978.6 | 1 984.6 | 2 018.0 | 1 996.2 | 1 983.1 | 1 939.9 | 1 911.2 | 1 892.7 | 1 919.8 | 1 847.7 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1 643.4 | 1 694.4 | 1 733.8 | 1 717.3 | 1 706.6 | 1 694.2 | 1 690.2 | 1 667.5 | 1 684.0 | 1 628.7 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 335.2 | 290.2 | 284.2 | 278.9 | 276.4 | 245.7 | 221.0 | 225.2 | 235.9 | 219.0 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტებში | 16.9 | 14.6 | 14.1 | 14.0 | 13.9 | 12.7 | 11.6 | 11.9 | 12.3 | 11.9 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

---

[2] ქართული შრომის ბაზრის ძირითადი თავისებურებანი; შალვა კვეზერელი; ახალი ეკონომისტი #3, 2017

[2] თემა-1. შრომის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი, მისი ძირითადი ელემენტები და მახასიათებლები - https://www.tsu.ge/data/file_db/library/tsartsidze_bazar.pdf; გვ. 1-2

[4] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019 წ. გვ. 9.

[5] დამუშავებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

## უმუშევრობა

2019 წლის მონაცემებით კვარტალურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, გასულ წელს უმუშევრობის მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც 2019 წლის ოთხივე კვარტალში აისახა. „2019 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უმუშევართა რიცხოვნობა 24.3 ათასი კაცით შემცირდა, რამაც უმუშევრობის დონე 1.2%-ი პუნქტით შეამცირა. 2019 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე 0.7%-ი პუნქტით შემცირდა, მესამე კვარტალში 1.1% პუნქტით, ხოლო 2019 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევართა რაოდენობა 32.7 ათასი ადამიანით შემცირდა, რაც უმუშევრობის დონის 1.4%-ი პუნქტით შემცირებაში აისახა. შესაბამისად, 2019 წლის IV კვარტალში უმუშევართა რაოდენობამ 204.8 ათასი კაცი, ხოლო უმუშევრობის დონემ 10.9% შეადგინა."[6]

საყურადღებოა უმუშევრობა გენდერულ ჭრილში, იგი არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს და მისი მონაცემები ყოველთვის იცვლება. მამაკაცების უმუშევრობის დონე, რომელიც 13,9%-ს შეადგენს აღემატება ქალების უმუშევრობის დონეს, რაც 11,2 %-ს უტოლდება. ეს იქედანაც გამომდინარეობს, რომ მამაკაცების აქტიურობის დონე 73,6%-ია, ხოლო ქალების- 55,6%. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ 2018 წელს გასულ წელთან შედარებით უმუშევრობის დონეს შემცირება ახასიათებდა და ეს ტრადიცია გაგრძელდა 2019 წელსაც. „2019 წლის კვარტალური მონაცემების მიხედვით უმუშევართა რაოდენობა და დონე მამაკაცებში აღემატება ქალებისას. მაგალითად, 2019 წლის მე-4 კვარტალში უმუშევრობის დონემ მამაკაცებში 12% (122.7 ათასი კაცი) შეადგინა, ხოლო ქალებში 9.6% (82.1 ათასი), ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ოთხივე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე შემცირებულია როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებშიც. მაგალითისთვის, 2019 წლის მე-4 კვარტალში უმუშევრობის დონე ქალებში 1.4%-ით არის შემცირებული, ხოლო მამაკაცებში 1.6%-ით.'' [7]

განსხვავებულია მაჩვენებლები ქალაქად და სოფლადაც დასაქმების ჭრილში და ის, როგორც ყოველთვის, ახლაც მაღალია. 2018 წელს ქალაქად უმუშევრობის დონე იყო 19,3%, ხოლო სოფლად 5,8%. განსხვავება საკმაოდ დიდია და მზარდიც წინა წელთან შედარებით. ქალაქსა და სოფელს შორის უმუშევრობის დონის განსხვავებას იწვევს ის, რომ სოფლად აქტიურობისა და დასაქმების მაღალი დონეა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელში დასაქმებულების დიდი წილი თვითდასაქმებულებზე მოდის. „2019 წლის ოთხივე კვარტალში უმუშევრობის დონე ქალაქში შემცირებულია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემცირების ყველაზე მაღალი დონე 2019 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირდა (-2.6 პროცენტული პუნქტი). 2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის დონე ქალაქში 16.3%-ია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.5%-ი პუნქტით ნაკლებია. სოფლად უმუშევრობის დონე 2019 წლის პირველ კვარტალში აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა შემდეგ სამ კვარტალში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა.''[8] რაც შეეხება უმუშევრობის დონეს რეგიონების ჭრილში, აქაც მონაცემები საკმაოდ განსხვავებულია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, 2018 წელს ინვესტიციების 82% თბილისზე მოდის. გარდა ამისა, მთლიანი ქვეყნის მასშტაბით ღირებულებების ნახევარი სწორედ თბილისში იქმნება. შესაბამისად, ეს ყველაფერი იწვევს შიდა მიგრაციას. ხალხის უმეტესი ნაწილი სამუშაოს თბილისში ეძებს ,ეს კიდევ პირდაპირ კავშირშია თბილისის უმუშევრობის დონესთან. გასული წლებში, როგორც 2018 წელსაც უმუშევრობის დონე ყველაზე მკვეთრი თბილისში იყო და 18,8%-ს შეადგენდა. 2018 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე შემცირებულია იმერეთისა და აჭარის რეგიონშიც.

## დასაქმება

„არაერთგვაროვანია დასაქმების მაჩვენებლები 2019 წლის კვარტალური მონაცემების მიხედვით. 2019 წლის პირველ ორ კვარტალში, როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე დასაქმების დონე, აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. კერძოდ, 2019 წლის პირველ კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18.9 ათასი ადამიანით იყო გაზრდილი, რაც დასაქმების დონეში 0.8%-ი პუნქტით ზრდაში აისახა. 2019 წლის მეორე კვარტალში დასაქმების დონე 0.2%-ი პუნქტით იყო გაზრდილი. 2019 წლის მე-3 და მე-4 კვარტლებში დასაქმება შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2019 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა 19.9 ათასი ადამიანით შემცირდა, რაც დასაქმების დონეში 0.8%-ი პუნქტით კლებაში აისახა.

დასაქმების სტრუქტურისთვის დამახასიათებელი ტენდენციები შენარჩუნდა 2019 წლის პირველ სამ კვარტალში. დაქირავებით დასაქმებულთა დონე კვლავ აღემატებოდა თვითდასაქმებულების დონეს. თუმცა, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2019 წლის მე-4 კვარტალის მონაცემების მიხედვით თვითდასაქმებულებისა და დაქირავებით დასაქმებულების ურთიერთშეფარდებამ 50%-50% შეადგინა. საქართველოში თვითდასაქმებულთა რაოდენობა კვლავ მაღალია და აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თვითდასაქმებულთა დიდი წილი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის, რომელიც დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა."[9]

რაც შეეხება მოთხოვნად პროფესიებს, „კვლევის შედეგებით ყველაზე მაღალი მოთხოვნა ფინანსისტებზე და საკრედიტო ექსპერტებზეა (20.1%), ასევე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება გაყიდვების მენეჯერებზე (18.5%). სხვა პროფესიებზე მოთხოვნას კი შემდეგი სურათი აქვს – ტექნიკური პერსონალი – 13.2%; ექიმი/სამედიცინო პერსონალი – 9.7%; დისტრიბუცია/ვაჭრობა – 8%; აიტი

[6] საქართ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართ. შრომის ბაზრის ანალიზი 2019 წ. გვ. 9 - 10
[7] საქართ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართ. შრომის ბაზრის ანალიზი 2019 წ. გვ. 11 - 12
[8] საქართ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართ. შრომის ბაზრის ანალიზი 2019 წ. გვ. 12
[9] საქართ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართ. შრომის ბაზრის ანალიზი 2019 წ. გვ. 11 - 12

სფეროს მენეჯერი – 7.4%; სხვადასხვა სფეროს მენეჯერი – 7.2%; მასწავლებელი ტრენერი კონსულტანტი – 6.4%; ტუროპერატორი – 3.5%; მარკეტინგი – 3.1%; იურისტი – 1.9%; ინჟინერი – 1%.

ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება შემდეგ სექტორებში – საბანკო–საფინანსო სექტორი –26%, რითეილი – 18%, სამედიცინო სექტორი/ფარმაცია – 15%, სასტუმრო/რესტორანი/ტურიზმი –17%, კომუნიკაციები/ტრანსპორტი – 9%, მშენებლობა – 5%, საგანმანათლებლო ორგანიზაციები – 7%, მედია – 1%, კვების და სასმელების ინდუსტრია – 2%.

რეგიონების მიხედვით მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება: თბილისი – 77%, იმერეთი – 5%, აჭარა – 4%; კახეთი – 3%, შიდა ქართლი – 2.5%, სამეგრელო – 3%, ქვემო ქართლი – 2.5%, სამცხე –ჯავახეთი – 2%, გურია – 1%.

საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებად სექტორად კვლავ ფინანსური საქმიანობა და სახელმწიფო მმართველობა რჩება, ტრადიციულად ყველაზე დაბალი შემოსავლები განათლების სექტორშია.''[10]

## დასაქმება-უმუშევრობის და განათლების ურთიერთკავშირი

„უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა ხარისხიანი განათლების გაცემის პრეტენზიას გამოთქვამს, მაგრამ უნივერსიტეტებში მიღებული განათლების რეალიზებას ახალგაზრდები ხშირად ვერ ახერხებენ და წარმატებული კარიერის მოწყობის ნაცვლად, დიპლომიანი უმუშევრების რიგში ხდებიან.“[11]

მაშინ როდესაც სასწავლებელი თვითგადარჩენის პირობებში მეტი სტუდენტის მოზიდვაზეა ორიენტირებული, ამ დროს განათლების ხარისხზე ზრუნვა მეორე პლანზე გადადის. ამას სტატისტიკა და გამოკითხვებიც ადასტურებენ. გამოკითხული 250 სტუდენტიდან 33% არის სპეციალობით დასაქმებული, ხოლო 25% მომიჯნავე სპეციალობით. ეს, ერთი შეხედვით, არ არის ცუდი მაჩვენებელი, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ დარჩენილ პროცენტულ წილსაც. ექსპერტები და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ პრობლემა სისტემურია და მის აღმოსაფხვრელად ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყანას არ გააჩნია. მოსაზრებას იზიარებენ საქართველოს განათლების სამინისტროშიც და ისინი ადასტურებენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი დაბალია და ყოველწლიურად სასწავლებლები „უმუშევრებს“ ამზადებენ.

## მიგრაცია და შრომის ბაზარი

ქვეყნიდან მუშა ხელის გადინება ძლიერად ურტყამს ქართული შრომის ბაზარს, რომელიც კვალიფიციური მუშა ხელის ნაკლებობას განიცდის. ემიგრანტების ძირითადი ნაწილი უცხოეთში სამუშაოს საძებნადაა წასული. როგორც ქართული შრომის ბაზარი, უცხოურიც ისეთ ადამიანებს ეძებს, რომელთაც ფიზიკურად და გონებრივად შესაბამისი უნარები გააჩნიათ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, ვინც უცხოეთში სამუშაოს საძებნელად მიდის, სათითაოდ აკლდება საქართველოს შრომის ბაზარს.

ცხრილი 1: მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019

როგორც ცხრილი 1-ის მონაცემებით ირკვევა, 2012-2018 წლებში ქვეყანამ შეიძლება ითქვას „დაკარგა“ 55210 ადამიანი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის დოვლათის ზრდის მაგივრად სხვა ქვეყნის დოვლათის ზრდა „იტვირთეს“ სხვადასხვა მიზეზების გამო.

## პანდემია და უმუშევრობა

„სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2020 წლის II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.3 პროცენტი შეადგინა. დასაქმების დონე 0.5 პროცენტული პუნქტით, 55.9%-მდე შემცირდა. II კვარტალში წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, დასაქმების საერთო მაჩვენებელში დაქირავებით დასაქმებულთა წილი 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა 48.6% შეადგინა. პანდემიამ და მკაცრმა რეგულაციებმა (საზღვრების ჩაკეტვა, საყოველთაო კარანტინი და ა.შ.) მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ზიანი მიაყენა მსოფლიოს, რასაც ლოგიკურად სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების შემცირება მოჰყვა. თუმცა, საქართველოში უმუშევრობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო პანდემიამდეც. 2016 წლიდან ქვეყანაში სამუშაო ძალა და დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა.“

პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა ათიათასობით ადამიანი უმუშევარი დატოვა. სამწუხაროდ, ახლო მომავალში მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობები არ იკვეთება. განსაკუთრებით გამოსარჩევია ტურიზმისა და სარესტორნო სფეროებში დასაქმებულთა მდგომარეობა.

ამრიგად, საქართველოს შრომის ბაზრის ძირითად

ცხრილი 1: მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)

| წელი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიგრაციული სალდო (ათასი კაცი) | -21521 | -2606 | -6620 | -3408 | -8060 | -2212 | -10783 |

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019

[10] შრომის ბაზარი საქართველოში; ირაკლი ლეჟავნაძე; FORBES GEORGIA; https://forbes.ge/blog/79/Sromis-bazari-saqarTveloSi

[11] საუნივერსიტეტო განათლება და დასაქმება; ნონა დიასამიძე; მთავარი; https://ajaratv.ge/article/15443

გამოწვევებად რჩება: უმუშევრობა, დასაქმება, განათლების როლი დასაქმება-უმუშევრობის საკითხში, მიგრაციული საკითხები, დღესდღეისობით ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი პანდემია და მისი გავლენა შრომის ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარი არ არის ცალკე სივრცე. ის აქტიურად არის დაკავშირებული ქვეყნის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან და შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს მოცემული საკითხების ერთად განხილვა. ამ მხრივ, ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ 3 ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხს, ეს არის: შრომის ბაზარი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და განათლება. ვფიქრობთ, რომ მოცემული საკითხების განხილვა ერთმანეთისგან გამიჯნულად შეუძლებელია.

მოცემული საკითხების საფუძველზე შევიმუშავეთ რამდენიმე რეკომენდაცია, რასაც ვთვლით, რომ მეტი ყურადღება სჭირდება სხვადასხვა ინსტიტუტების მხრიდან, კერძოდ:

ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. პირველ რიგში კონკურენტული და სტრატეგიული დარგების განსაზღვრა და მათი განვითარება;

განათლების პროცესის დაგეგმვა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული სასწავლო ნაწილის გაძლიერება. ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად მიგვაჩნია ადამიანის მიერ პროფესიის ცვლილების შემთხვევაში განათლების სისტემის მზაობა. ჩვენ მიერ მოძიებული მონაცემების საფუძველზე ვნახეთ, რომ არსებობს პროფესიული სასწავლებლების დონეზე ადამიანების გადამზადების კურსები, რაც მისასალმებელია და საჭიროდ ვთვლით, მოცემული მიმართულების არსებულ და ცვალებად გამოწვევებთან შესაბამის განვითარებას;

მნიშვნელოვან საკითხად მივიჩნევთ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის შრომის ბაზრის და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რათა ადამიანმა თავიდანვე პროფესიის არჩევანი გააკეთოს საჭირო მონაცემების შეფასების შედეგად.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, ნუგზარ პაიჭაძე, ეკა ჩოხელი, ნინო ფარესაშვილი, ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „სიტყვა“, 2011;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019;
3. თემა-1. შრომის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი, მისი ძირითადი ელემენტები და მახასიათებლები - https://www.tsu.ge/data/file_db/library/tsartsidze_bazar.pdf
4. ქართული შრომის ბაზრის ძირითადი თავისებურებანი; შალვა კვეზერელი; ახალი ეკონომისტი #3, 2017 წ http://loi.com.ge/ka/eco/post/103/
5. შრომის ბაზარი საქართველოში; ირაკლი ლექვინაძე; FORBES GEORGIA; https://forbes.ge/blog/79/Sromis-bazari-saqarTveloSi
6. საუნივერსიტეტო განათლება და დასაქმება; ნონა დიასამიძე; მთავარი; https://ajaratv.ge/article/15443
7. უმუშევრობა - ქვეყნის უმთავრესი გამოწვევა, პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ; ტაბულა; https://www.tabula.ge/ge/story/178414-umushevroba-qveknis-umtavaresi-gamotsveva-pandemiamde-da-pandemiis-shemdeg
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

# შემოსავლის განაწილება და კოვიდ 19-ის გავლენა ცხოვრების დონეზე საქართველოში

მეგი ჯანანაშვილი / ქეთევან ბროლაძე
ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია შემოსავლების განაწილების მექანიზმზე. ასევე განხილულია რამდენიმე პოლიტიკური თეორია თავისი განსაზღვრებებით, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისგან იდეოლოგიით. არსებობს მთავრობის მიერ შემუშავებული სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამები, რომლებიც, რა თქმა უნდა, უნიკალურობით არ გამოირჩევა. მათ გააჩნიათ გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოყვანილია რიგი მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა COVID-19 ვირუსმა ქართულ ეკონომიკაზე. გავცემთ პასუხს კითხვაზე: რა რეგულაციები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ეკონომიკური კრიზისი და საბოლოოდ დასკვნის შევაჯამებთ მთავარ სათქმელს.

საკვანძო სიტყვები:
კოვიდ 19; ეკონომიკური კრიზისი, ცხოვრების დონე

# INCOME DISTRIBUTION AND THE IMPACT OF COVID 19 ON LIVING STANDARDS IN GEORGIA

MEGI JANANASHVILI / KETEVAN BROLADZE
Head: Assistant Professor Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili
Davit Agmashenebeli National Defense Academy

ANNOTATION

In the abstract below we will discuss about the revenue sharing mechanism. There also be discussed Several political theories with their definitions that differ in ideology. There are some anti-poverty programs developed by the government, which are not unique .They have some positive and negative sides . There are examples given of how the COVID-19 virus affected the Georgian economy. We will answer the question such as: What regulations should be implemented to eliminate the economic crisis ? In the conclusion there will be presented the above mentioned main statement.

KEYWORDS:
COVID-19, Economic crisis, Living standard

შემოსავლების განაწილების არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური დეტერმინატიცაა. სიღარიბის დონე ხშირად გამოიყენება შემოსავლების განაწილების მსჯელობისას. სიღარიბის დონე არის მოსახლეობაში იმ ოჯახების პროცენტული წილი, რომელთა შემოსავლები აბსოლუტურ დონეზე, ე.წ. სიღარიბის ზღვარზე ნაკლებია. არის რამდენიმე ფაქტორი, რამაც შეიძლება სიღარიბის დონე განსაზღვროს:

- ხშირ შემთხვევაში სიღარიბე დაკავშირებულია რასასა და ეთნიკურ კუთვნილებასთან.
- სიღარიბე დაკავშირებული ასაკთანაც. არასწორი აღზრდის შემთხვევაში, ბავშვებს საშუალოზე მეტი შანსი აქვთ, იცხოვრონ ღარიბ ოჯახებში, მოხუცებს კი ასეთ ოჯახებში ცხოვრების საშუალოზე ნაკლები შანსი აქვთ.
- სიღარიბე დაკავშირებულია ოჯახის შემადგენლობასთანაც: უკაცო ოჯახებს, რომელთაც ქალები უძღვებიან, ორჯერ მეტი შანსი აქვთ სიღარიბეში ცხოვრებისა, ვიდრე საშუალო სტატისტიკურ სრულ ოჯახებს.

არის რამდენიმე ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სიღარიბის დონის დადგენას, ესენია: ნატურალური დახმარება, ეკონომიკური სასიცოცხლო ციკლი, მუდმივი და დროებითი შემოსავალი.(მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 2000)

ეკონომიკური თანასწორობისთვის არსებობს ფილოსოფიური შეხედულებები, რომელიც პოლიტიკურ ფილოსოფიას მიეკუთვნება და რომელიც ეხება საზოგადოების თანასწორობას:

**უტილიტარიზმი** - ამ მოძღვრების მთავარი ამოსავალი წერტილი არის სარგებლიანობა. უტილიტარისტების

აზრით, მთავრობამ მაქსიმალურად უნდა მოახდინოს კონცეტრაცია იმაზე, რომ გაზარდოს თითოეული ადამიანის სარგებლიანობა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს შემოსავლების სრული გათანასწორების ხარჯზე.

**ლიბერალიზმი** - ამ თეორიის თანახმად, ადამიანის სარგებლიანობის ჯამის ნაცვლად, უნდა მოხდეს მინიმალური სარგებლის მაქსიმიზაცია. ამ წესს მინიმაქსის კრიტერიუმი ეწოდება. მისი მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობამ ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემის გადაჭრა უნდა მოახდინოს დაბალი სოციალური მდგომარეობის მქონე პირებით დახმარება და ეკონომიკური ინტეგრირებით.

**ლიბერტარიანიზმი** - ეს თეორია სრულიად უარყოფს შემოსავლების თანაბრად გადანაწილებას. ლიბერტანიტისტები ასკვნიან, რომ შესაძლებლობათა თანასწორობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოსავალთა თანასწორობა. (მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 2000)

## როგორ ვებრძოლოთ სიღარიბეს?

ზემოთ ჩამოთვლილი თეორიებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რამდენი განსხვავებული შეხედულება არსებობს იმასთან დაკავშირებით, როგორ შეძლოს მთავრობამ შემოსავლების განაწილების ცვლილება. აქ იმაზეა გამახვილებული ყურადღება, რომ მთავრობა მაქსიმალურად უნდა ეცადოს გაჭირვებულების დახმარებას. მან ე.წ „უსაფრთხოების ბადით" უნდა უზრუნველყოს თავისი მოქალაქეები, რათა მათი მტკივნეულად დაცემა არ მოხდეს. როგორც ვიცით, სიღარიბე ერთ- ერთ მტკივნეულ თემას წარმოადგენს ეკონომიკისთვის. ის უამრავი ეკონომიკური თუ სოციალური უბედურების საწყისია. სიღარიბესთან საბრძოლველად ძირითადად სამ პროგრამას განიხილავენ ხოლმე, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ერთი მათგანი არაა სრულყოფილი.

**მინიმალური ხელფასი** - ხელფასის ქვედა ზღვარი, რომელსაც აწესებს ამა თუ იმ ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო. ამ ეფექტის მასშტაბი დამოკიდებულია მოთხოვნის ელასტიკურობაზე. მინიმალური ხელფასის ზღვრის გაზრდა არ ნიშნავს სიღარიბის შემცირებას.

**კეთილდღეობა** - ეს არის მთავრობის მიერ გაწეული ისეთი პროგრამა, რომლითაც გაჭირვებულებს ეხმარება ფულადი დახმარებით. ეს პოგრამა ეხებათ იმ ოჯახებს, რომელთაც არ ჰყავთ უშუალოდ ისეთი პირი, ვინც იზრუნებს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ან შეზღუდულია ოჯახის შესაძლებლობები. იმისათვის, რომ ოჯახს შეეხოს ეს პროგრამა, ის უნდა იმყოფებოდეს უკიდურეს გაჭირვებაში. (მენქიუ, ეკონომიკური პრინციპები, 2000)

## კოვიდ 19 და მისი გავლენა სიღარიბის დონეზე საქართველოში

კორონა ვირუსი (COVID 19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არა მხოლოდ ჯანდაცვისთვის, არამეს გლობალური ეკონომიკისთვისაც. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას თქმით, მხოლოდ ერთ თვეში ჩინეთსა და ირანთან პირდაპირი ავიამიმოსვლის შეჩერებამ საქართველოში გამოიწვია დაახლოებით 30 მილიონი ლარის ზარალი. (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი(ERPC), 2020)

გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტზე, უმუშევრობის ზრდა, სიღარიბის დონის გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება- ეს ის ხილული ეკონომიკური ეფექტებია, რომელთა გამოცდა საქართველოს მოსახლეობამ საკუთარ თავზე უკვე დაიწყო. (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი(EPRC), 2020)

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც გავლენა იქონია სიღარიბის დონის გაზრდაზე არის დასაქმების შემცირება. COVID-19-ის გავლენამ მყისიერი ასახვა ჰპოვა ქვეყანაში დასაქმებულთა რიცხოვნობაზე. PMC კვლევითი ცენტრის თანახმად, ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორებია: ხელოვნება , გართობა და დასვენება; განთავსება და საკვების მიწოდება; ტრანსპორტი და საწყობები; საბითუმო და საცალო ვაჭრობა; აღნიშნულ სექტორებში დასაქმებულთა 45% მოდის, ანუ დაახლოებით 300,000- ზე მეტი დასაქმებული. მათი დიდი ნაწილი კი დროებით უმუშევარი დარჩა. (დუშუაშვილი, 2020)

21 აგვისტოს Unicef- მა საქართველოში მოსახლეობის და ბავშვთა სიღარიბეზე კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კორონავირუსის გავრცელების ფონზე, მოსახლეობის სიღარიბის დონე, განსაკუთრებით, ბავშვთა სიღარიბე გაიზარდა. Unicef - ის ბოლო მონაცემებით, მოსახლეობის 21,7%, ხოლო ბავშვთა 27,6% სიღარიბეში ცხოვრობს. (აბსანაძე, 2020)

აღსანიშნავია ისიც, რომ მოხდა ლარის მეტად გაუფასურება. ლარის კურსმა მნიშვნელოვანი გაუფასურება გასული წლის ბოლოს დაიწყო. ამის მიზეზი სწორედ ექსპორტის შემცირება და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა იყო. ბოლო ერთ წელში საქართველოს საქონლის ექსპორტი 700 მილიონი დოლარით, ხოლო საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები 300 მილიონი დოლარით შემცირდა. აღნიშნული მილიარდ დოლარიანი დანაკლისი არ შეივსო დოლარის შემოდინების სხვა წყაროებიდან და ლარი 37%-ით გაუფასურდა. როგორც ვიცით, საქართველოს საგარეო ვალი აღებულია დოლარში, შესაბამისად, ლარის მეტად გაუფასურება პარალელურად გამოიწვევს ამ საგარეო ვალის გაზრდასაც. ბოლო ერთ წელიწადში სახელმწიფო საგარეო ვალი დოლარში 72 მილიონი დოლარით გაიზარდა. თუმცა, ლარის გაუფასურების გამო ლარში გამოხატული საგარეო ვალი 2,7 მილიარდი ლარით გაიზარდა. ამას ემატება ბოლო ერთ წელიწადში საშინაო ვალის 376 მილიონი ლარით ზრდა და ჯამში სახელმწიფო ვალმა მშპ-ის 42 % მიაღწია. ეს უკვე სცდება „საქართველო 2020" -ით განსაზღვრულ 40%-იან ზღვარს. (ნამჩავაძე, 2015)

მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ კორონავირუსი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკისთვის. გარკვეული რეგულაციები და მათი ხანგრძლივი არსებობა სახელმწიფოში გამოიწვევს ეკონომიკური წისვლის საგრძნობლად შემცირებას, ეკონომიკის გამოშვების შემცირებას, შემცირებულ შემოსავლებს, გაზრდილ უმუშევრობას და სიღარიბის დონის ზრდას. იქედან გამომდინარე, რომ არ ვიცით ამ კრიზისის პიკი სადამდეა, ზუსტი პროგნოზების გაკეთება მაინც რთულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ ფონზე, „საქართველოს 2020" -ს მიზნობრივი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიღწევა გართულდება და მიზანშეწონილია, მოხდეს

სტრატეგიის გადახედვა, მაღალ ეკონომიკურ ზრდაზე და უცხოური ვალუტის შემოდინების ნაკადების გააქტიურებაზე აქცენტებით.

ეკონომიკის ექსპერტთა შეფასებით, იმისთვის, რომ არ მივიღოთ ზემოთ განხილული უარყოფითი შედეგები და უარესად არ დავამძიმოთ მდგომარეობა, რაც გულისხმობს ეკონომიკის 6%- დან 12%- მდე შემცირებას, საჭიროა შეზღუდვების დროული და ეფექტიანი შემსუბუქება/გაუქმება. (დუშუაშვილი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი(GPRC), 2020) ამ ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად შესაძლებელია რამდენიმე რეგულაციის შემოღება. ეკონომისტები გვირჩევენ:

1. მთავრობამ მოქმედი ბუჯეტიდან გაცილებით მეტი თანხა უნდა დაზოგოს. პირველ რიგში, ეს ეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს. მან უნდა წარმოადგინოს ჩაშლილი გეგმა, თუ რა თანხაა გათვალისწინებული 2020 წელს მივლინებებზე, წარმომადგენლობით ხარჯებზე, შტატგარეშე დასაქმებულებზე, ავეჯის, საწვავის და სხვა საქონლის და მომსახურების შეძენაზე;

2. აუცილებელია ბიუჯეტის რეალური დეფიციტისა და მთავრობის ვალის ტვირთის შემცირება, რათა ქვეყანა უფრო მდგრადი გახდეს მოსალოდნელი, თუ მოულოდნელი ეკონომიკური გართულებების წინაშე.

3. უნდა მოხდეს რიგი გადასახადების საშემოსავლოს და ქონების განულება ან დაწევა.

4. თანხების მოზიდვა, რათა ვინც სამსახურს დაკარგავს დროებით შეუმსუბუქდეს მდგომარეობა, ოღონდ ეს ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, რომ დეფიციტი არ გაიზარდოს.

5. საპენსიო გადასახადის შეჩერება ან გაუქმება დროებით და ამ ფულის დაბრუნება ხალხისთვის. (ბოკერია, 2020)

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი(EPRC). (2020 წლის მარტი). დაბრუნებული https://eprc.ge.-დან

3. აბსანაძე, თ. (2020 წლის 31 აგვისტო). ფაქტ-მეტრი(FactCheck). დაბრუნებული https://factcheck.ge/.-დან

4. ბოკერია, გ. (2020 წლის 29 მარტი). კორონავირუსის პანდემია და საქართველოს ეკონომიკა. (ა. ჩხიკვაძე, ინტევიუერი)

5. დუშუაშვილი, თ. (2020 წლის 04 მაისი). საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი(GPRC). დაბრუნებული http://www.parliament.ge/.-დან

7. მენქიუ, გ. (2000). ეკონომიკის პრინციპები. თბილისი: დიოგენე.

8. ნამჩავაძე, ბ. (2015 წლის 06 ოქტომბერი). ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი(IDFI). დაბრუნებული https://idfi.ge/.-დან

# STRATEGIC COOPERATION BETWEEN LITHUANIA AND POLAND IN THE CONTEXT TERRITORIAL DEFENSE 2014-2020. DEFENSE OF THE SUWALKI CORRIDOR

GRETĖ LUKOŠAITYTĖ
Supervisor: Prof. Dr. Irmina Matonytė
General Jonas Zemaitis Military Academy of Lithuania

ANNOTATION

Strategic cooperation between Lithuania and Poland in the field of defense is inseparable from ensuring security in the region. Lithuania and Poland have been developing bilateral relations in the military field since 1993. In 2018, the USA think-thank CEPA presented its report "Securing the Suwalki Corridor. Strategy, Statecraft, Deterrence, and Defense" where it identified the importance of the territorial integrity, NATO's contribution to the defense of Suwalki Corridor and the strategic importance of the Suwalki Corridor in regional security. In 2020, the Lithuanian and Polish Ministers of National Defense signed a joint communique and the Commanders of the Armed Forces of both countries signed the MND-NE Staff Act on enhanced cooperation in the context of territorial defense. However, broader deliberations on the strategic cooperation between Lithuania and Poland in territorial defense, in the Suwalki Corridor section are still lacking. It is relevant to analyze multiple aspects of Lithuania-Polish military cooperation in ensuring the defense of the Suwalki Corridor and to research how military experts, defense policymakers and military personnel assess and model the defense of the Suwalki Corridor.

The aim of the study – to analyze strategic cooperation between Lithuania and Poland in territorial defense, focusing on the defense of the Suwalki Corridor. The following tasks are designed to achieve this goal: to investigate how the bilateral alliance, strategic cooperation, security policy is described in the theory of neorealism; to define the defense problem of the Suwalki Corridor and present possible solutions to this problem in the perspective of strategic cooperation between Lithuania and Poland; to analyze how the issue of defense of the Suwalki Corridor is understood by Lithuanian and Polish military experts, military personal and defense policymakers.

The main thesis of the study – the defense of the Suwalki Corridor depends on the context of active territorial defense of Lithuanian-Polish Military cooperation.

The final bachelor's thesis is based on the qualitative research method. Analysis of scientific literature is used to describe the significance of neorealism in assessing cooperation between the sovereign states in ensuring regional security, semi-structured experts' interviews are used to understand how the defense of the Suwalki Corridor is envisioned by the political, military staff and academic experts on military issues. Analytical, descriptive, qualitative content and documents analysis methods are used to define the strategic importance and issues of the Suwalki Corridor defense.

## 1. STRATEGIC PARTNERSHIP BETWEEN LITHUANIA AND POLAND

A bilateral alliance of states, united by joint military capabilities, economic regulation, and development through joint political decisions are recognized as a joint action plan for possible aggression from neighboring states (Czechowska, 2013). The decision to implement strategic cooperation is determined by two factors: the political decisions made by both parties on the implementation of the goals and the recognition that the resources available to the states are sufficient to achieve the set strategic goals (Czechowska, 2013). In order to enable strategic cooperation, one priority that the state seeks to implement on a bilateral basis (Czechowska, 2013) is enough by ensuring security in the region. Poland is recognized as a leader in Central and Eastern Europe in terms of increasing defense and is considered as a major bridge between East and West. Poland is gaining important geopolitical significance in the NATO context. Lithuania, as a small country, gave priority to developing strategic cooperation with Poland - a country with a common historical context, positive political will among the countries' leaders, identical context of perception of threats and common border section - the Suwa ki Corridor. According to the balancing theory, Lithuania must give priority to increase cooperation with the strongest country in the region and choose external balancing: cooperating with the regional leader (Poland). Military cooperation means a coordinated defense policy pursued by a joint military force. This way, issues and actions of military integration are expanded. According to Waltz (1979), forming an alliance is one of the most important duties to focus on. Furthermore, acquiring and developing the military capabilities considered as priority tasks as well, in order to meet security needs such as

developing or acquiring modern armaments, mobilizing greater allied support in the region and adopting joint arms control agreements. In order to avoid the loss of power and to maintain territorial integrity, states tend to cooperate at the security level. It is a common tool for strengthening state power to ensure security in the region.

## 2. STRATEGIC IMPORTANCE OF THE SUWALKI CORRIDOR

The Suwalki corridor is a strategically important site and from a military point of view one of the most vulnerable land connections (Fetterman, 2018, p. 43). This is the 104 (border length) and 65 (straight line) kilometers of land that connects the Polish North-eastern border section with the Southern part of Lithuania (Hodges, Bugajski, Doran, 2018, p. 15). It is gaining strategic importance because it is the only land section connecting NATO with the rest of the Baltic States: Lithuania, Latvia, and Estonia. According to the CEPA report (2018), three reasons are given for the Suwalki corridor to be considered strategically important:

1. The Suwalki corridor geographically separates Russia and Belarus from the Kaliningrad enclave (there is no direct connection with mainland Russia). Kaliningrad is surrounded by NATO countries. Suwalki Corridor is threatened by Kaliningrad's NAVY Baltic Fleet Headquarters element.

2. The closure of the Suwalki corridor involves the circumcision of the three Baltic states, preventing the granting of NATO military reinforcements against a possible Russian attack.

3. With the closure of Suwalki Corridor, Moscow would increase its geographical area by accessing the Baltic Sea and a part of Ukraine. Moreover, it would identify Belarus' integration into increasing military power, thus increasing the threat to Poland's territorial integrity and sovereignty (Hodges, Bugajski, Doran, 2018, p. 22).

The Suwalki Corridor is a strategic place for the Baltic States. It is connected by a very narrow operational field among hostile states. Blocking this section of the border would cut off the three Baltic states making it difficult for Allies to take counter-action, as the land section is likely to be covered by the military capabilities of the two Allied states. According to the CEPA report (2018), in order to create an effective action plan against potential threats, it is necessary to understand the Kremlin's strategy, possible attack scenarios and vulnerabilities (Hodges, Bugajski, Doran, 2018, p. 23).

Lithuanian and Polish experts see that the issue of the Suwalki Corridor is important and inseparable from the planning and implementation of the current security policy. Representatives of the Lithuanian Armed Forces mention that the Suwałki Corridor is not defined as a separate element in the Armed Forces, as all territorial borders of the state are important. However, in military planning, the analysis highlights the most dangerous directions: "it is unequivocally Suwalki Corridor and it occupies an important place in defense policy. Strategic significance can be identified as it is one of the few places where reinforcement can come from where it is threatened " (Interview No. 1) which gained popularity due to local media, publications of foreign specialists, scientific discourses and connections

Pic. 1 strategic importance of the Suwalki Corridor




Sources: Hodges, Bugajski, Doran, 2018

with the Cold War (Fulda Gap). Representatives of the Polish army stated that the Suwalki Corridor is important to Poland from the political, economic, cultural and military point of view. However, it is emphasized as an operational problem and not a strategic one (in contrast to Lithuania (Interview No. 8). The Colonel of the Polish Armed Forces mentions that the Suwalki Corridor occupies an important place in the Polish national security and defense policy, as it is the only land route connecting Poland with the Baltic States. The Suwalki Corridor emphasizes the actualization after the Russian aggression against Ukraine, when NATO assessed the RF as a potential aggressor. The periods in which the strategic importance of the Suwalki corridor and the threat balance in the region have changed in practice have been highlighted by the Major of the Polish Armed Forces:

1. "February 2014, the annexation of Crimea.

2. Military operations in eastern Ukraine in May 2014. Proclamation of the Donetsk, Luhansk Republics.

3. Zapad 2017 exercises.

4. The blockade of "Kerch Strait" in November 2018.

5. Protests against the Presidential elections in Belarus (August 2020 to present) "(Interview No. 8).

The issue of the Suwalki corridor is mentioned in bilateral meetings, during the Defense Council meeting. At the political and military level, the defense of the Suwalki Corridor is gaining strategic importance because it is perceived as a problem of territorial defense and a narrow operational field in order to implement defense-type operations in it. The vulnerability of this section is determined by the geopolitical borders with Kaliningrad and Belarus. Development and modernization of military capabilities, equipment, electronic combat means, the system of access and regional blocking measures (A2 / AD), Russia Federation foreign and Belarusian domestic policy. The Suwalki corridor is inseparable from the current security policy of Lithuania and Poland. The aggressive

foreign policy of the Russian Federation has led to the perception of a practical threat that a similar scenario may occur in the Lithuanian-Polish region. The decision of the political elite strengthened the bilateral format of military cooperation. The Presidential Declaration (2019) mentions the strategic importance of the Suwalki Corridor as "enhance cooperation, defense planning and regular training between Armed Forces in particular along the Suwalki corridor».

## 3.BILATERAL RELATIONS BETWEEN LITHUANIA AND POLAND IN SECURITY FIELD

After assessing the growing intentions of the Russian Federation to rebuild the post-Soviet bloc and threat assessments, a meeting of the Presidents of Lithuania and the Republic of Poland took place in 2019, at which a declaration was signed strengthening Lithuanian-Polish defense cooperation. Geographical proximity, greater mobilization of military capabilities in Kaliningrad, hostile intentions, the war in Georgia and the annexation of Crimea led to the practical establishment of the concept of threats by Lithuanian and Polish experts, analysts and the political elite. The strategic partnership between Lithuania and Poland can be defined as states that have common interests in the field of security. They are formalized in declarations and agreements, which set out clear political goals. They establish institutional relations between the Ministries of National Defense, Governments, Presidents of the country and commanders of the army. The establishment of summits between the Ministers of Defense addresses common interests, challenges and specific issues in the field of security and defense which takes place alternately in the capitals of the two countries annually. During these summits, the Ministers of Defense develop relations between the military forces. The 15th Polish Brigade and the Lithuanian Iron Wolf Brigade are affiliated to the multinational headquarters structure of the North-Eastern Division and conduct joint exercises. It seeks to establish stronger economic relations in order to support the European Union's ongoing PESCO project on the implementation of military mobility (Tyushka, Czechowska, 2019, p. 19). This format proves that Lithuania and Poland pursue a strategic partnership through signed declarations and agreements. However, the established political goals in security and defense policy are implemented in the format of strategic cooperation. These bilateral agreements reflect a return to the coordination of a common defense policy in the region, enshrining the provision that Lithuania and Poland coordinate actions in security policy at the level of the political elite in a common neighborhood of threats. The format of the strategic partnership enables the institutions implementing strategic cooperation to cooperate which are the Council of Defense Ministers, the implementation of the foreign policy of the Ministry of Defense with the Polish Ministry of Defense, working groups, military cooperation at the military level, in the NATO context.

In summary, in 2014-2020 there is a revival of bilateral relations, a positive will among the representatives of the country's political elites, joint resolutions on the annual establishment of the Council of Defense Ministers, increasing interoperability between the Lithuanian and Polish Armed Forces, Military NAVY, increasing military cooperation in bilateral, NATO, enable early warning system, maritime surveillance system, strengthen air defense and missile defense capabilities, A2 / AD development, support EU PESCO project, upgrade existing infrastructure to improve military mobility, enable all countermeasures and countermeasures against Russian military capabilities, possible expansionary foreign policy. The states are linked by a strategic partnership in the field of security, political agreements enable forms of strategic cooperation: military cooperation, the establishment of the Council of Defense Ministers, the Iron Wolf and 15th Brigade to NATO's Northeast Division, military development and interaction, and armaments and technical modernization. The importance of military cooperation is also emphasized, but also the positive political will of the ruling elite, the common perception of the continent of threats and economic and infrastructure projects that materially enable the format of military cooperation: acquisition of modern armaments, equipment (increased mobility, military potential), GDP assignment to the armed forces (increasing the number of military personnel, improving the effective operation and empowerment of the intelligence system, early warning system in the responsible institutions, supporting the military transit project).

## 4. DEFENSE POLICY OF THE SUWALKI CORRIDOR IN THE CONTEXT OF BILATERAL MILITARY COOPERATION OF LITHUANIA AND POLAND

The defense capabilities of the Suwalki corridor are based on active military cooperation between Lithuania and Poland as well as NATO involvement in regional security which are EFP, air policing missions, high-readiness capabilities of the NATO VTJF, the presence of the US battalion in Orshi, cooperation between the Iron Wolf and the 15th Polish Army Brigades, territorial defense forces and SOF element. There is close co-operation, co-ordination and enforcement of defense policy in the region, as a counterweight to hostile states. However, military is not the only solid power that characterizes the defense of the Suwalki corridor. There is also an economic factor that determines the enabling and implementation of military mobility in this section of the border. It can be stated that the laws establish the provision that the element of civil resistance is important in the implementation of the country's defense, but there is a lack of interaction between the Lithuanian Armed Forces and the Armed Resistance Teams. This is an aspect of defense policy cooperation to be pursued in the future that is not currently defined. The area of responsibility for the Suwalki corridor lies with the Lithuanian and Polish states, as it is a common border section. The implementation of territorial defense is enabled by the territorial defense forces in Poland, the Lithuanian National Defense Forces, the regular army, the civilian component of the resistance and the LSC. The defense of the Suwalki corridor is based on close military cooperation in a bilateral NATO context. Lithuanian military doctrine states that "Defense, compared to attack, is a less decisive form of warfare. The aim of defense is for the enemy to reach the culmination (breaking point) before

having achieved its goals and / or objectives, and then to take the initiative and move on to attack ”(Lithuanian Military Doctrine, 2016, pp. 9-140. Turkey’s opposition to the Baltic Defense Plans as a member of the Alliance provides the strengthening of the bilateral format of military co-operation between the Lithuanian and Polish Armed Forces, SOPs and KASPs and the Territorial Defense Forces as interacting units in territorial defense. This is to integrate them into the defense, to enable military commanders as a local link with the local population, to educate the population, to deal with mobilization and war, and not to succumb to disinformation from the hostile state (Joint Expeditionary Force) who can contribute to the Suwa ki Corridor defense. Lithuania and Poland are actively cooperating politically and militarily on the defense of the Suwalki corridor through the annual Council of Defense Ministers, the NATO command structure in Elblag, the two brigades to the North-East Division headquarters, the SOP Alytus DK BUB and the Polish 15th Battalion as well as deployment of forces near the Suwalki corridor, air policing in the Baltic States, an agreement on the exchange of radar data, the establishment of a territorial defense force in Poland, ongoing international exercises in the context of NATO and bilateral-trilateral military exercises to develop synergies. Also mentioned is the 1st team of Dainava KASP which cooperates with the Polish military forces. Thus, Lithuania and Poland are linked by a strategic partnership and a strategic goal to ensure the security of the region and to achieve this is pursuing active military cooperation. Measures by which Lithuania and Poland are ready to defend the SK: MDN-NE HQ Elblage was established, Allied training in the region was coordinated through the NATO NFIU to ensure security and deterrence in the region. The NATO Force Group is deployed to Ožyš, Poland; Maintaining VJTF combat readiness in the region; air policing mission, establishment of territorial defense forces in Poland, cooperation of SOP components and joint exercises of KASP, US Americans, exchange of radar data, establishment of the Council of Defense Ministers.

In the current political situation, it is important to develop a bilateral military-political format between Lithuania and Poland, thus protecting against possible NATO paralysis (Statkus, Paulauskas, 2008). Therefore, this work proves that the initial effective defense of the SK before the arrival of NATO reinforcement depends on the agenda of active military cooperation between Lithuania and Poland. «The country is united by common commitments», «bilateral agreements» and «common border section», active military cooperation and positive political will. State security policy is inseparable from ensuring regional security. «The country cooperates in the common defense policy», «the first» Council of Defense Ministers took place in 2020 «,» the political elite of the countries «adopted bilateral agreements, declarations enabled by the Ministry of National Defense, ”Lithuanian-Polish Armed Forces Cooperation and Interaction”. This proves that the countries are seeking to safely gather a balance of threats against the Russian Federation and Belarus, which have domestic and foreign policies, without safeguarding Lithuania and Poland. Active military co-operation, the Territorial Defense Forces in Poland and the Lithuanian National Defense Forces are intended for the implementation of territorial defense in support of an army that is maneuverable and capable of carrying out conventional actions. Security policy includes basic territorial defense and territorial integrity. In this context, the Suwalki Corridor emerges, which is a strategically important object for Lithuania and Poland. The most important increase in the political borders of this section is with Kaliningrad, Belarus and it is the only land section that needs to be done with the strengthening of NATO. Enforcement of Article 5 empowerment and collective defense is important in a common neighborhood of threats. The defense of the Suwalki corridor is inseparable in the bilateral context of the defense issue in Lithuania and Poland. The next section discusses the possibilities and threats of defending the Suwalki corridor arising from the Kaliningrad enclave and Belarus.

**KEYWORDS:**
neorealism, academic military experts, defense policymakers, military staff, territorial defense, strategic cooperation, bilateral cooperation, Suwalki Corridor.

## LIST OF REFERENCES

1 Czechowska, L. (2013). The concept of strategic partnership as an input in the modern alliance theory. [žiūrėta 2020 m. spalio 11 d.]. Prieiga per internetą: https://repozytorium.umk.pl/bitstream/handle/item/1889/The_concept_of_strategic_partnership_as_an_input_in_the_modern_alliance_theory.pdf?sequence=1

2 Waltz, K. (1979). Theory of international politics. Addison-Wesley Publishing Company.

3 Fetterman, G. (2018). The Suwalki Gap: A Proving Ground for Cluster Munitions. Military Review, 98(4), 39.

4 Hodges, B., Bugajski, J., & Doran, P. B. (2018). Securing the Suwalki Corridor: strategy, statecraft, deterrence and defense. Center for European Policy Analysis.

5 “Declaration of the Presidents of Lithuania and the Republic of Poland Strengthening the Defense Partnership” (02 February 2019). Warsaw. [viewed in 2020 25 November]. Internet access: https://t.prezydent.pl/en/news/art,981,declaration-on-strengthening-the-lithuanian--polish-security-partnership-.html

6 Tyushka, A., ir Czechowska, L. (2019). Strategic partnerships, international politics and IR theory. In States, International Organizations and Strategic Partnerships. Edward Elgar Publishing. [žiūrėta 2020 m. spalio 15 d.]. Prieiga per internetą: https://www.researchgate.net/profile/Andriy_Tyushka/publication/334476386_Strategic_partnerships_international_politics_and_IR_theory/links/5d481a46299bf1995b6677b7/Strategic-partnerships-international-politics-and-IR-theory.pdf

7 Statkus, N. Paulauskas, K. (2008). Tarp geopolitikos ir postmoderno: kur link sukti Lietuvos užsienio politikai? Vilnius: Generolo Jono Žemaičio Lietuvos karo akademija.

# რუსეთის სამხედრო რეფორმები 2008 წლის შემდეგ.

**ვანო დვალიშვილი**
ხელმძღვანელი : ასისტენტ პროფესორი ლევან გეგეშიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

2008 წლის შემდგომ რუსეთის სამხედრო რეფორმებზე ჩატარდა სამაგიდო კვლევა. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა გახდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროში რეფორმების ჩატარების მიზეზი, რა პრობლემებს უპირისპირდებოდა რუსეთის არმია და რა მიზანს ემსახურება ჩატარებული რეფორმები. განხილულ იქნა ცვლილებები პერსონალის გადანაწილებაში, კერძოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება და წვევამდელთა რაოდენობის შემცირება. ამავდროულად გაიზარდა სამხედრო საკონტრაქტო სამსახრუში მიღებულ პირთა რაოდენობა. განხილულ იქნა ცვლილებები სამხედრო დანაყოფების მართვაში და კონტროლში და ახალი ეროვნული უსაფრთხოების მართვის ცენტის ჩამოყალიბება. ცვლილებები შეინიშვნება საკომუნიკაციო საშუალებებში, რაც ზრდის ქვედანაყოფების მობილობას. სტატიაში განხილულია უპილოტო საფრენი აპარატების, რობოტექნიკის წარმოების და გამოყენების საკითხები, რაც რუსეთისთვის მწვავე საკითხი იყო 21-ე საუკუნის დასაწყისში. სახმელეთო ძალებსა და ავიაციზე შედარებით ნაკლები ზეგავლენა იქონია ჩატარებულმა რეფორმებმა. საბჭოური წარმოების ტექნიკის ახალი სისტემებით აღჭურვის ტენდენციას ინარჩუნებს რუსეთი, რაც მიგვითითებს რუსეთის მაღალტექნოლოგიური წარმოების ინფრასტრუქტურულ სიმწირეზე. შეჯამებაში განხილულია ჩატარებული რეფორმების მიზანი. სად და როდის გამოჩნდა რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების სისტუსტე და რამ გამოიწვია სწორედ ამ მიმართულებებით ცვლილებების განხორციელება.

**საკვანძო სიტყვები:**
რუსეთი; სამხედრო რეფორმა; მოდერნიზაცია; ეროვნული უსაფრთხოების გაერთიანებული მართვის ცენტრი; რობოტექნიკა; რუსეთის სამხედრო ავიაცია; რუსეთის სამხედრო პერსონალი;

# RUSSIAN MILITARY REFORMS SINCE 2008.

**VANO DVALISHVVILI**
Head: Assistant Professor Levan Gegeshidze
Davit Agmashenebeli National Defense Academy

## ANNOTATION

A desk study on Russian military reforms since 2008 has been conducted. The purpose of the study was to find out the reason of reforms in the Russian Ministry of Defense, what problems the Russian army faced and what purpose the reforms serve. Changes in staff redeployment were discussed, in particular the reduction of time in conscript military service and the reduction of the number of conscripts in the army. At the same time, the number of people hired for military contract service has increased. Changes in the management and control of military units and the establishment of a new National Security Management Center were discussed. Changes are observed in the means of communication, which increases the mobility of the units. The article discusses the production and use of drones and other robotics, which was a hot topic for Russia at the beginning of the 21st century. Reforms have had a relatively small impact on ground forces and aviation. Russia maintains the tendency to equip Soviet-made vehicle and aircrafts with new systems, indicating the poor infrastructural of high-tech production in Russia. The purpose of the reforms is discussed in the summary. Where and when did the system of Russian military units appear weak and what led to the changes in these areas?

**KEYWORDS:**
Russia; Military reforms; modernization; National Security Management Center; Robotics; Military aviation; Russian military personel.

საუკუნეების განმავლობაში ტექნოლოგიური განვითარება იწვევდა და იწვევს ჩვენი ყოველდღიურობის ცვლილებას. შეიცვალა როგორც სოციალურ-კულტურული მახასიათებლები, ასევე ბრძოლის ველიც. სამხედრო ტექნოლოგიური განვითარება ყოველთვის ცვლიდა ბრძოლის ველს. დაწყებული დენთის გამოგონებიდან, დასრულებული სამხედრო კიბერ დანაყოფებით. ტექნოლოგიურმა პროგრესმა სწრაფად და რადიკალურად შეცვალა ქვეყნებს შორის დაპირისპირების სტილი. მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ რუსეთის სამხედრო

რეფორმებს, კერძოდ, როგორ შეცვალა მატერიალურმა მოდერნიზაციამ რუსეთის სამხედრო ტაქტიკა. განხილული იქნება რუსეთის დანახარჯები თავდაცვის სფეროში, კერძოდ, რა მიმართულებით ცდილობს იგი სამხედრო წარმოების განვითარებას. ასევე განვიხილავთ რუსეთის უახლოეს კონფლიქტებს, გამოყენებულ ტექნიკას და ტაქტიკას. აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამხედრო რეფორმების ტალღა დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, რაც აშკარად საუბრობს ამ კონფლიქტში რუსეთის მიერ დანახულ პრობლემებზე საკუთარ ძალოვან სტრუქტურებში. 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დანახული პრობლემების გადაჭრის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ შეინარჩუნა სამხედრო რეფორმების ტემპი და დღესაც ცდილობს „დაეწიოს" დასავლეთის ტექნოლოგიური განვითარების დონეს.

### რუსეთის ჯარი 21-ე საუკუნის დასაწყისში

რუსეთის სამხედრო ისტორია არის საბჭოთა კავშირის სამხედრო ისტორიის იდეოლოგიური გაგრძელება. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ რუსეთის მთავრობის მხრიდან გამოიწვია სამხედრო ტექნოლოგიური განვითარების მიმართ ინტერესის დაკარგვა. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო ქვეყნის საწარმო ინდექსი 50%-იან ზღვარს ქვემოთ ჩამოვიდა 1998 წელს (Федеральная служба государственной статистики 2020)[1]. 2000 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმება გამოიწვია რუსეთის ეკონომიკის რეანიმირება. 2008 წლის კრიზისამდე რუსეთის ეკონომიკა იზრდება ყოველწლიურად, მაგრამ 2008 წლის მოვლენების შემდეგ მკვეთრი ვარდნა შეინიშნება როგორც საწარმო ინდექსში, ასევე მშპ-ში, რაც მიგვანიშნებს ქვეყნის შესაძლებლობების სიმწირეზე. განმეორებითი კლება შეინიშნება 2014 წლის სანქციების შემდეგ (Федеральная служба государственной статистики 2020)[2]. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ეკონომიკის ყველაზე სწრაფი ზრდა სწორედ 2008 წლამდე შეინიშნება, ამ პერიოდში მთავრობის ინეტერესი სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების მიმართ იყო მიზერული.

მოგეხსენებათ, რომ 2008 წლის კონფლიქტის დროს რუსეთის სამხედრო დანაყოფების ტაქტიკა მოიცავდა დიდი ოდენობის ტექნიკის, სამხედრო პერსონალის და მატერიალური საშუალებების გამოყენებას. მოცემული ტაქტიკა არ შეესაბამებოდა ახალ გეოპოლიტიკურ გარემოებას, რომელშიც რუსეთი აღმოჩნდა. ასევე მოცემული ტაქტიკის გამოყენება წარუმატებელი იქნებოდა, რადგან 1991 წლის შემდგომი რუსეთის არმიისთვის ასეთი მასშტაბური ოპერაციების განხორციელება შეუძლებელი იყო. მცირე და მობილური ძალების გამოყენება ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდებოდა როგორც საომარ, ასევე მშვიდობის პირობებში. (COLONEL GEORGE T. DONOVAN. 2009. RUSSIAN OPERATIONAL ART IN THE RUSSO-GEORGIAN WAR OF 2008. გვ. 21-23)

### 2008 წლის რეფორმები

2008 წლის 14 ოქტომბერს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ რუსეთის ჯარი მიიღებს ახალ სახეს. მისი თქმით, 2012 წლისთვის რუსეთის სამხედროები უნდა აღიჭურვონ თანამედროვე ტექნოლიგიების შესაბამისად, მაღალი პროფესიონალიზმით და მობილურობით უნდა იყვნენ გამორჩეული. იგეგმებოდა სამხედრო პერსონალის შემცირება 1,130,000-დან 1,000,000-მდე. საომარი ვითარების პირობებში 1,7 მილიონი (საშტატო რაოდენობა). ჩანაფიქრში იყო შემდგომი მიდგომა - ერთ ოფიცერზე უნდა ყოფილიყო 15 ჯარისკაცი; 1 გენერალზე 1100 ჯარისკაცი. არგუმენტი ასეთი გადანაწილების იყო, რომ ასე არის ყველა განვითარებულ, თანამედროვე ჯარში. (Соловьев 2008)[3]

ამით რუსეთმა დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა საკუთარი ძალების მოდერნიზაციისკენ. ხაზგასასმელია, რომ 2010 წლიდან იზრდება სამხედრო ინდუსტრიული გაყიდვები. რუსული სამხედრო ტექნიკის ყველაზე დიდი მყიდველები 1998-2014 წლებში გახლავთ - ინდოეთი (30%); ჩინეთი (28%); ალჟირი (8%); ვიეტნამი (5%); ვენესუელა (4%); ირანი (2%) და სხვა (23%). (Crane, Oliker and Nichiporuk 2019, გვ.18) ასევე აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ გაყიდული სამხედრო ტექნიკის გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად - ავიაცია (48%); სარაკეტო სისტემები (16%); ხომალდები (12%); დაჯავშნული ტრანსპორტი (10%); საჰაერო თავდაცვა (9%) და სხვა (5%). (Crane, Oliker და Nichiporuk 2019, გვ. 19)

რუსეთის სამხედრო ინდუსტიულმა წარმოებამ არა მხოლოდ საექსპორტო მაჩვენებლებით გამოიჩინა თავი უკანასკნელ ათწლეულში. რუსეთმა დაიწყო საკუთარი ტექნოლოგიური პროგრესი და ყველანაირად ცდილობს არ ჩამორჩეს დასავლელ კონკურენტებს.

### ცვლილებები პერსონალის გადანაწილებაში

რუსეთის სამხედრო რეფორმების ერთ-ერთი უდიდესი ნაბიჯი იყო სამხედრო პერსონალის რეფორმები. მიუხედავად კანონისა, რომელიც კრძალავდა სავალდებულო სამხედრო პერსონალის გაგზავნას კონფლიქტურ რეგიონში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ამან გამოიწვია უარყოფითი რეაქცია მოსახლეობისგან. რუსეთმა საბოლოოდ შეამცირა სამხედრო სავალდებულო სამსახურის დრო 2 წლიდან 1 წლამდე და საერთო სამხედრო პერსონალის შემცირებასთან ერთად შეამცირა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულთა რიცხვი. 2008 წლის მონაცემებით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მსახურობდა 450 000 ადამიანი, ხოლო 2017 წლისთვის ეს რიცხვი 276 000-მდე შემცირდა. (Lavrov 2018, გვ. 3) სამაგიეროდ, გაიზარდა საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულთა რიცხვი. 2008 წლის მონაცემებით, საკონტრაქტო სამსახურში 180 000 ადამიანი ირიცხებოდა და ეს რიცხვი 2017 წლისთვის

---

[1] https://rosstat.gov.ru/bgd/free/b00_24/IssWWW.exe/Stg/d000/I001700R.HTM
[2] https://rosstat.gov.ru/bgd/free/b00_24/IssWWW.exe/Stg/d000/I001700R.HTM
[3] https://nvo.ng.ru/forces/2008-12-12/1_reform.html

384 000 მდე გაიზარდა (Lavrov 2018, გვ. 3) აქ ცალსახად გამოჩნდა, რომ რუსეთმა პროფესიულ სამხედროებსა და სავალდებულო სამხედროებს შორის არჩევანი გააკეთა. გაზრდილი საკონტრაქტო შემადგენლობა სავალდებულო სამხედრო მომსახურეთა ხარჯზე ნიშნავდა ბევრად უფრო პროფესიონალურ სამხედრო დანაყოფებს.

აღსანიშნავია, რომ გაიზარდა სამხედროთა ხელფასები. 2007 წლის მონაცემებით, რიგითის ხელფასი იყო 9034 რუბლი. საშემოსავლო გადასახადების ჩამოჭრის შედეგად ხელზე იღებდნენ 7,860 რუბლს. (Giles 2007, გვ. 7) 2011 წლის მონაცემებით, ხელფასების ოდენობა იყო შემდგომი: რიგითი - 25000 რუბლი; ლეიტენანტი - 30000 რუბლი; ვიცე-პოლკოვნიკი - 40000 რუბლი. (GORENBURG 2011)[4] 2019 წლის 1 ოქტომბრიდან ხელფასი ოდენობა შემდეგნაირად არის განაწილებული: პირველი კლასის რიგითი - 28 476 (ხელზე - 16 272); სერჟანტი 15-20 წლამდე ნამსახურეობით - 64 922 (ხელზე - 27 661) (Министерство обороны Российской Федерации)[5] ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ეტაპობრივად ზრდის ანაზღაურებას, რათა გაზარდოს ინტერესი საკონტრაქტო სამსახურის მიმართ. აშკარაა, რომ 2007 წლიდან 2019 წლამდე რუსული რუბლის და ზოგადად რუსეთის ეკონომიკის დეგრადაციის მიუხედავად, ანაზღაურება რუსეთის თავდაცვით ჯარებში ქვეყანაში არსებულ სხვა სამსახურებთან შედარებით არის საშუალო. (Федеральная служба государственной статистики 2020)[6].

ერთ-ერთი ცვლილება პერსონალთან დაკავშირებით არის ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფების ოდენობა. ბოლო მონაცემებით, რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები მუშაობენ 2/3- ის მუდმივი მზადყოფნის პრინციპით. რუსეთის ქვედანაყოფების 2/3 იმყოფება მზადყოფნაში, რათა შეძლონ სწრაფი რეაგირება საფრთხის წარმოქმნის პირობებში. (Lavrov 2018, გვ. 3-4) მზადყოფნის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიგვანიშნებს იმაზე, რომ რუსეთის დამოკიდებულება საფრთხეების არსებობის და მათი ობიექტურობის მიმართ ცივი ომის პერიოდის შემდგომ დიდად არ შეცვლილა.

მზადყოფნის ასეთი მაღალი მაჩვენებელის გარდა, რუსეთის სამხედროების წრთვნებში მოხდა რადიკალური ცვლილებები. გაიზარდა ფართომასშტაბური წრთვნების სიხშირე, ხარისხი და რაც მნიშვნელოვანია, ზომა. ხშირ შემთხვევაში წრთვნებში ერთვებიან ყველა სახის ქვედანაყოფები - ქვეითი, არტილერია, ავიაცია, ჯავშანტექნიკა, სპეც. დანიშნულების რაზმები, კავშირგამბულობის და კიბერუსაფრთხოების სამსახურები, ასევე საზღვაო ფლოტიც, თუ ამის საშუალებას წრთვნების გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა (Lavrov 2018, გვ. 4-5)

ხაზგასასმელია რუსეთის საერთაშორისო წრთვნებიც, სადაც მისი პარტნიორი ქვეყნები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. მაგ : „Caucasus 2020” - სადაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ქვეყნებმა: სომხეთი, ბელარუსი, ირანი, პაკისტანი, მიანმარი და ჩინეთი. (AP News 2020)[7]

## მართვა და კონტროლი

როგორც საბჭოური, ასევე რუსული სამხედრო ქვედანაყოფების უდიდესი პრობლემა სწორედ მართვა და კონტროლი იყო. მაგალითად, ქვეითი ქვედანაყოფებისთვის სირთულეს წარმოადგენდა კომუნიკაციის დამყარება და ნავიგაცია, განსაკუთრებით, უცხო ტერიტორიებზე. ეს თავიდან დადასტურდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც რუსულმა ქვედანაყოფებმა არაჯეროვნად მოახდინეს სიტუაციური რეაგირება და მუდამ ჰქონდათ პრობლემები კომუნიკაციაში. ასევე თვალშისაცემი იყო პრობლემა სხვადასხვა სახეობის სამხედრო დანაყოფების კორდინაციაში ბრძოლის ველზე. (Lavrov 2018, გვ. 6)

ზემოდ მოცემული პრობლემების მოგვარების მიზნით, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 2014 წელს გადაწყვიტა მაღალტექნოლოგიური ეროვნული უსაფრთხოების მართვის ცენტრის ჩამოყალიბება, რომელმაც ჩაანაცვლა საბჭოთა კავშირის დროინდელი სამეთაურო ცენტრი თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში. (Crane, Oliker and Nichiporuk 2019, გვ 60-63) მართვის ცენტრმა გააერთიანა ყველა სამხედრო სარდლობები ერთ სივრცეში, რამაც უფრო ეფექტური გახადა ინფორმაციის ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება. ამ ორგანოს მეთაურობს გენერალ-პოლკოვნიკი მიხაილ მიზინცევი. (Министерство обороны Российской Федерации )[8]

2017 წლისთვის რუსეთმა შეიძინა 4 000-მდე სტრატეგიული და 49 000 მდე ტაქტიკური დონის ახალი საკომუნიკაციო ეკიპირება, რომელიც დღევანდელი დღისთვის საშუალებას იძლევა ეროვნული უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან აკონტროლოს ყველა დარტყმა სირიის კონფლიქტში. თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის განცხადებით, საკომუნიკაციო აღჭურვილობის 58% არის თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური. სახელმწიფომ შექმნა მსგავსი, მაგრამ შედარებით პატარა მართვის ცენტრები ოთხ სამხედრო ოლქში, რომლებიც დამხმარე ინსტიტუციას წარმოადგენს. (Lavrov 2018, გვ. 6 )

2008 წლის აგვისტოს ომში სამხედრო დანაყოფები ერთმანეთს მობილური ტელეფონებით უკავშირდებოდნენ. დაფიქსირებულ იქნა ფაქტი, როდესაც რუსეთის 58 არმიამ ვერ დაამყარა კონტაქტი ზემდგომ მეთაურობასთან და იძულებული იყო ჟურნალისტის სატელიტური ტელეფონით დაკავშირებოდა ზემდგომს. (KOFMAN 2017)[9] დღევანდელი დღისთვის რუსეთის ელიტური სამხედრო დანაყოფები აღჭურვილნი არიან პერსონალური საკომუნიკაციო ეკიპირებით სახელად „სტრელეც“, რომელიც აძლევს საშუალებას გადასცეს და მიიღოს ინკრიპტირებული აუდიო შეტყობინებები. ოცეულის დონის მეთაურებს შეუძლიათ გადააგზავნონ თავიანთი გეოლოკაცია, კოორდინაციაში შევიდნენ სხვა გვარეობის ჯარებთან და ჰქონდეთ სატელიტური კავშირი. ეს ყველა ინფორმაცია პირდაპირ მიეწოდება მართვის ცენტრს მოსკოვში. (Lavrov 2018, გვ. 6)

[4] https://russiamil.wordpress.com/2011/04/04/a-quick-summary-of-russian-military-pay-increases/
[5] https://recrut.mil.ru/career/soldiering/social_guarantees.htm
[6] https://rosstat.gov.ru/labor_market_employment_salaries
[7] https://apnews.com/article/pakistan-belarus-iran-myanmar-russia-0d2f7ebbf673fccf3f2c643cc495a177
[8] https://structure.mil.ru/structure/ministry_of_defence/details.htm?id=11206@egOrganization
[9] https://warontherocks.com/2018/09/russian-performance-in-the-russo-georgian-war-revisited

### რობოტექნიკა

რუსეთის ცენტრალური საკომუნიკაციო ცენტრის ეფექტურ მუშაობას ხელს უწყობს მცირე ზომის უპილოტო სადაზვერვო აპარატების ფართო გამოყენება. დღევანდელი დღისთვის, დრონები არის რუსეთის ყველაზე სწრაფად მზარდი სამხედრო შესაძლებლობების სფერო. ჯერ კიდევ 2008 წლის ომის დროს, რუსეთის მიერ გამოყენებული უპილოტო საფრენი აპარატი "Pchela-1T" იყო მოძველებული და არაეფექტური, რაზეც თავად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო წყაროებიც მეტყველებდა. ამავდროულად, საქართველო წარმატებით იყენებდა უპილოტო სადაზვერვო საფრენ აპარატს „Hermes 450", რომელიც ისრაელიდან იყო შეძენილი. (Lavrov 2018, გვ. 8)

2009 წლისთვის რუსეთის ხელისუფლებამ გამოყო 160 მილიონი დოლარი, რომელიც დახარჯულ იქნა ახალი უპილოტო საფრენი აპარატების განვითარებისათვის, რაც საბოლოოდ უშედეგო აღმოჩნდა. 2013 წლისთვის რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო რამდენიმე უპილოტო საფრენი აპარატების დაფინანსება გაუმჯობესების და მათი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. 2015 წლისთვის დრონების რაოდენობა საბრძოლო ქვედანაყოფებში რამდენიმე ათეულიდან გაიზარდა 1720-მდე. (globalsecurity 2020)[10] ხაზგასასმელია, რომ რუსეთის მიერ წარმოებული დრონების ძირითადი ნაწილი არის "Orlan-10" რომლის შემადგენელი ნაწილები არის იმპორტირებული. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთს არ გააჩნია ინფრასტრუქტურა საკუთარ ქვეყანაში ასეთი წარმოების დასაფუძნებლად. (informnapalm 2018)[11]

აღსანიშნავია, რომ ყველა მოტომსროლელი და სატანკო ბრიგადა აღიჭურვა ცალკეული სადაზვერვო უპოლოტო ქვედანაყოფებით. ასევე საარტილერიო ქვედანაყოფებმა მიიღეს შეიარაღებაში უპილოტო საფრენი აპარატები, რომელთა დახმარებით აწარმოებენ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას. უპილოტო საფრენმა აპარატებმა გაზარდა საარტილერიო ქვედანაყოფების მობილურობა და მათი ცეცხლის სიზუსტე. ზოგადად, ქვეითი ძალების უპილოტო საფრენი აპარატებით აღჭურვამ, გაზარდა მათი სადაზვერვო შესაძლებლობები და საველე სწავლებებზე მათმა გამოყენებამ აჩვენა, რომ რეალურ დროში სიტუაციის აღთქმისა და გადაწყვეტილების მიღების დრო ბევრად შემცირდა. (Lavrov 2018, გვ. 9-10)

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ცდილობს განავითაროს საკუთარი სახმელეთო უპილოტო აპარატების წარმოება. სირიის კონფლიქტში გამოყენებულ იქნა რამდენიმე "Uran-9", 11 ტონის სიმძიმის უპილოტო სახმელეთო მანქანა. მოცემულმა რობოტექნიკამ არ გაამართლა. ხშირი იყო პრობლემები კავშირთან და მართვასთან, ხოლო საველე პირობებში მისი შეკეთება- რთული. 1.25 მილის სიშორეზე მოწინააღმდეგის დადგენა შეუძლებელი ხდებოდა. ბევრი კრიტიკის შემდეგ, რობოტექნიკის გამოყენება შემცირდა ბრძოლის ველზე და იგეგმება მისი მოდერნიზირება. (Roblin 2019)[12]

### სახმელეთო ძალები

რუსეთის სამხედრო სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი იყო მისი სახმელეთო ჯარები. საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, რუსეთის სამხედრო დოქტრინის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა სახმელეთო ქვედანაყოფები. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ყველაზე დაბალი პროცენტი მოდერნიზაციის იყო სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში (42%). (Салюков 2017)[13]

საბრძოლო ტექნიკის განახლებაზე საუბარი რთულია, რადგან უმეტესწილად ძველი ტექნიკის ბაზაზე დამატებულ იქნა ახალი საბრძოლო სისტემები. 2011 წელს განახლებული T-72B3 -ის ტანკმა უარყოფითი შეფასება მიიღო, რადგან გამოირჩეოდა ნაკლები დაცულობით. სირიის და უკრაინის კონფლიქტში ამ ტექნიკის გამოყენებამ ბევრი სხვა უარყოფითი მაჩვენებელი გამოავლინა. სირიის კონფლიქტში გამოყენებული T-90A ასევე უარყოფითად შეფასდა. 2018 წლისთვის იგეგმებოდა ამავე ტანკის ახალი T-90M მოდერნიზირების ტიპის ტანკებით პირველი სატანკო ბატალიონის აღჭურვა (Lavrov 2018, გვ. 11-12)

ყველა სარაკეტო სისტემა, რომელიც არის რუსეთის შეიარაღებაში უნდა აღიჭურვოს „Iskender-M" -ის ტიპის რაკეტებით, რომლებიც შეცვლიან მოძველებულ „Tochka-U"-ს. ამ რაკეტების შეცვლით გაიზრდება სარაკეტო სისტემების მოქმედების არეალი. მოძველებული „Tochka-U"-ს 120 კილომეტრიანი რადიუსის მაგივრად თანამედროვე სისტემა შეძლებს 500 კილომეტრამდე მოქმედებას. (Lavrov 2018, გვ. 13)

საარტილერიო ქვედანაყოფების მოდერნიზირების საკითხს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მიუდგა შემდეგნაირად. ზემოთ აღნიშნული დრონებით აღჭურვასთან ერთად, ძველ ტექნიკას (122 მმ. BM21 Grad MRLS), რომლითაც იყო აღჭურვილი რუსეთის საარტილერიო ქვედანაყოფების ძირითადი ნაწილი, ჩაანაცვლებს ახალი 122 მმ-იანი "Tornado-G MRLS"-ი. ამ მოდერნიზირებით საარტილერიო ქვედანაყოფების მოქმედების არეალი გაიზრდება 20 კილომეტრიდან 40 კილომეტრამდე. ასევე იგეგმება ქვედანაყოფების აღჭურვა 220 მილიმეტრიანი "Uragan MRLS"-ით, რომლის მოქმედების არეალი 90 კილომეტრამდეა. ხაზგასასმელია, რომ 3 საბრძოლო ქვეით ქვედანაყოფს მხარდაჭერას უწევს 3 საარტილერიო ქვედანაყოფი. სახმელეთო არტილერიის მიხედვით რუსეთის ჯარის სიძლიერე აღემატება NATO-ს სამხედრო ძლიერებას. (Army recogniton 2020)[14]

როგორც სირიის და უკრაინის კონფლიქტებმა აჩვენა, 122მმ-იანი და 152მმ-იანი არტილერია შედარებით სუსტი აღმოჩნდა დასმული ამოცანის შესასრულებლად. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უპირატესობა მიანიჭა შედარებით უფრო ძლიერ შეიარაღებას, როგორიც არის ლაზერული დამიზნების ნაღმტყორცნი "Smelchak". (Lavrov 2018, გვ. 12).

---

10 https://www.globalsecurity.org/military/world/russia/aircraft-uav.htm

11 https://informnapalm.org/en/russian-drone-orlan-10-consists-of-parts-produced-in-the-usa-and-other-countries-photo-evidence/

12 https://nationalinterest.org/blog/buzz/russias-uran-9-robot-tank-went-war-syria-it-didnt-go-very-well-40677

13 https://iz.ru/651606/oleg-saliukov/sukhoputnye-voiska-vykhodiat-na-novyi-uroven

14 https://www.armyrecognition.com/russia_russian_army_vehicles_system_artillery_uk/tornado-g_122mm_mlrs_multiple_launch_rocket_system_technical_data_sheet_specifications_pictures.html

აშკარაა, რომ უპილოტო საფრენი აპარატების და ძლიერი, შორსმსროლელი არტილერიის კომბინაცია წარმოქმნის სერიოზულ ძალას, რომლის გამოყენება შესაძლებელია ბევრად უფრო ეფექტურად, ვიდრე ეს ადრე იყო.

### ავიაცია

2008 წლის ომში რუსულმა ავიაციამ მოიპოვა დიდი უპირატესობა, რაც რუსეთის აგრესიის წარმატებაში ერთ-ერთი ფაქტორი იყო. რუსული ავიაციის დაბომბვების შედეგად განადგურდა სამხედრო აეროდრომები, სარადარო-სალოკაციო სისტემები და დაზიანდა სამხედრო ინფრასტრუქტურაც. (ყარყარაშვილი 2009, გვ. 68-72) მოდერნიზაციის დიდი ნაწილი არის ძველი, საბჭოური ხომალდები აღიჭურვა თანამედროვე სისტემებით. რუსეთის მხრიდან 2008 წლის ომის დროს უმეტესწილად გამოყენებულ იქნა მოძველებული, არაზუსტი დამიზნების ჭურვები. რუსეთი სამხედრო ავიაციის სარდლობის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ზუსტი დამიზნების ძლიერი შეიარაღების დანერგვა. ასევე 2008 წლის ომის დროს გამოყენებული ბომბდამშენი „Tu-22M3“, რომელსაც იყენებდნენ სამხედრო ბაზების, სამხედრო აეროდრომების და სარკინიგზო კვანძების დასაბომბად, იქნა მოდერნიზირებული. ძველი ბომბდამშენის არაეფექტურობაზე საუბრობს 2008 წლის ომის დროს ქართველების მხრიდან მისი განადგურების ფაქტიც. (Lavrov 2018, გვ. 16)

დაიგეგმა 500 მეტი თვითმფრინავის და 500-მდე შვეულმფრენის შესყიდვა. ახალი ტექნიკა აღჭურვილი იქნება თანამედროვე სისტემებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობენ თავიანთი ამოცანის შესრულებაში. გამანადგურებლების შეიარაღება იგეგმება “R-77”-ის ტიპის ჭურვებით, რომლებსაც აქვთ აქტიური რადარის ჩახშობის ფუნქციაც. ამ ტიპის შეიარაღებით აღჭურვილი 200-მდე ხომალდი სირიის კონფლიქტში მონაწილეობს რუსეთის მხრიდან. (Majumdar 2017)[15]

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზირების ათვლის წერტილი არის 2008 წლის აგრესია საქართველოს მიმართ. ამ კონფლიქტის შედეგად რუსეთმა დაინახა თავისი სამხედრო დანაყოფების შეცდომები- დაწყებული მართვისა და კონტროლის საკითხებიდან, დასრულებული ახალი რობოტექნიკის შემუშავებით. მოცემული იმპერიული მონაცემებიდან აშკარაა, რომ რუსეთის მოდერნიზირების უმთავრესი ასპექტები სწორედ 2008 წლის ომის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა გახდა.

მიუხედავად რუსეთის მცდელობისა ტექნოლოგიებით „დაეწიოს“ დასავლეთს, ის ჯერ კიდევ არ არის ამისთვის მზად. ზემოთ აღნიშნული ტექნიკის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ მოძველებული საბჭოური ტექნიკაა, რომელიც აღიჭურვა ახალი სისტემებით. მიუხედავად ყველა მოდერნიფიკაციისა, ის მაინც რჩება მოძველებულ ტექნიკად, რომელიც ბევრად ჩამოუვარდება დასავლურ ანალოგებს.

უპილოტო საფრენი აპარატები და რობოტექნიკა სრულიად აღჭურვილია იმპორტირებული ნაწილებისგან, რაც რუსეთში ინფლაციის და რუსული რუბლის გაუფასურებასთან ერთად ართულებს და აძვირებს ამ ტექნიკის წარმოებას. რუსეთის მხრიდან ნაწილების იმპორტირება მიგვანიშნებს მაღალი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სიმწირეზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არაერთხელ მხილებულ იქნა კიბერ-შეტევებში, რაც მიგვანიშნებს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხში მათ გააჩნიათ ექსპერტები, რუსეთი მაინც ვერ ახერხებს ახალი ტექნოლოგიების წარმოებას ქვეყნის შიგნით.

რუსეთმა არაერთხელ დაანახა მსოფლიოს, რომ ის 21-ე საუკუნის ბრძოლის ველისთვის მზად არის. სირიის კონფლიქტში გამოყენებული ახალი ტექნიკა და ტაქტიკა ჯერ კიდევ აუთვისებელია რუსეთის სამხედრო დანაყოფების ძირითადი ნაწილისათვის. ბრძოლის ველზე რობოტექნიკის და უპილოტო საფრენის საშუალებების გამოყენების დიდი გამოცდილება გააჩნია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და ა.შ.შ-ს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ის მოდერნიფიკაცია, რასაც დღეს რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები გადიან, არის უკვე საბრძოლო ვითარებაში დაგროვებული გამოცდილება. რუსეთის ხელისუფლება არაერთხელ იქნა მხილებული საკუთარი ტექნოლოგიური განვითარების გაზვიადებაში.

დღეისთვის რუსეთი აღარ იბრძვის ძველი საბჭოური დოქტრინის მიხედვით. მათ დატოვეს სანგრები და პოზიციური ბრძოლები, რათა ახალი, დასავლური ტაქტიკის დახვეწა და საკუთარ შესაძლებლობებზე მორგება შეძლონ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ამ ახალ ბრძოლის ველზე ისინი ბევრად ჩამორჩებიან NATO-ს როგორც ტექნოლოგიურ-მატერიალურ საკითხში, ასევე ტაქტიკასა და გამოცდილებაში.

---

[15] https://nationalinterest.org/blog/the-buzz/russias-lethal-su-35-was-just-spotted-armed-new-missile-nato-19080

## გამოყენებული ლიტერატურა:


AP News. China, others to join military exercises in Russia. 2020 წლის 10 09. https://apnews.com/article/pakistan-belarus-iran-myanmar-russia-0d2f7ebbf673fccf3f2c643cc495a177 (წვდომილი 2020 წლის 01 12).

2. Army recogniton. TORNADO-G 122MM MLRS. 2020 წლის 02 05. https://www.armyrecognition.com/russia_russian_army_vehicles_system_artillery_uk/tornado-g_122mm_mlrs_multiple_launch_rocket_system_technical_data_sheet_specifications_pictures.html (წვდომილი 2020 წლის 01 12).

3. COLONEL GEORGE T. DONOVAN, JR. RUSSIAN OPERATIONAL ART. Carlisle: U.S. Army War College, Carlisle Barracks, PA 17013-5050, 2009.

4. Crane, Keith, Olga Oliker, და Brian Nichiporuk. Trends in Russia's Armed Forces. Santa monica, Calif.: RAND Corporation, 2019.

Giles, Keir. Pay and allowence in Russian armed Forces : A Guidance Note. Swindon,Watchfield: Defence Academy of the United Kingdom , 2007.

5. globalsecurity. globalsecurity. 2020 წლის 13 09. https://www.globalsecurity.org/military/world/russia/aircraft-uav.htm (წვდომილი 2020 წლის 01 12).

6. GORENBURG, DMITRY. russiamil.wordpress. 2011 წლის 4 April. https://russiamil.wordpress.com/2011/04/04/a-quick-summary-of-russian-military-pay-increases/ (წვდომილი 2020 წლის 01 12).

7. informnapalm. Russian drone Orlan-10 consists of parts produced in the USA and other countries – photo evidence. 2018 წლის 02 06. https://informnapalm.org/en/russian-drone-orlan-10-consists-of-parts-produced-in-the-usa-and-other-countries-photo-evidence/ (წვდომილი 2020 წლის 01 12).

8. KOFMAN, MICHAEL. RUSSIAN PERFORMANCE IN THE RUSSO-GEORGIAN WAR REVISITED. 2017 წლის 04 09. https://warontherocks.com/2018/09/russian-performance-in-the-russo-georgian-war-revisited/ (წვდომილი 2020 წლის 01 12).

9. Lavrov, Anton. Russian military reforms from Georgia To Syria. Washington: CSIS, 2018.

10. Majumdar, Dave. Russia's Lethal Su-35 Was Just Spotted Armed with a New Missile NATO Should Fear. 2017 წლის 17 01. https://nationalinterest.org/blog/the-buzz/russias-lethal-su-35-was-just-spotted-armed-new-missile-nato-19080 (წვდომილი 2020 წლის 01 12).

11. Roblin, Sebastien. Russia's Uran-9 Robot Tank Went to War in Syria (It Didn't Go Very Well). 2019 წლის 06 01. https://nationalinterest.org/blog/buzz/russias-uran-9-robot-tank-went-war-syria-it-didnt-go-very-well-40677 (წვდომილი 2020 წლის 01 12).

12. Министерство обороны Российской Федерации. < Главная < Карьера < Служба по контракту < Соцгарантии. თ. გ. https://recrut.mil.ru/career/soldiering/social_guarantees.htm (წვდომილი 20 წლის 01 12).

13. Национальный центр управления обороной Российской Федерации. თ. გ. https://structure.mil.ru/structure/ministry_of_defence/details.htm?id=11206@egOrganization (წვდომილი 2020 წლის 01 12).

14. Салюков, Олег. izvestia. 2017 წლის 1 10. https://iz.ru/651606/oleg-saliukov/sukhoputnye-voiska-vykhodiat-na-novyi-uroven (წვდომილი 2020 წლის 01 12).

15. Соловьев, Вадим. Военная реформа 2009–2012 годов. 2008 წლის 12 12. https://nvo.ng.ru/forces/2008-12-12/1_reform.html (წვდომილი 2020 წლის 1 12).

16. Федеральная служба государственной статистики. Обновлено - 30.10.2020г. 2020 წლის 30 10. https://rosstat.gov.ru/bgd/free/b00_24/IssWWW.exe/Stg/d000/I001700R.HTM (წვდომილი 2020 წლის 01 12).

17. ყარყარაშვილი, გიორგი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის. თბილისი: გია ყარყარაშვილი, 2009.

# ᲔᲗᲘᲙᲣᲠᲘ ᲰᲐᲙᲘᲜᲒᲘ


## ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲛᲐᲮᲐᲠᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა არაბული

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



### ᲐᲜᲝᲢᲐᲪᲘᲐ

ნაშრომში განხილულია  კიბერ სივრცის არსი და  რამდენად მნიშვნელოვანია პირადი ინფორმაციის დაცვა მზარდი კიბერ დანაშაულის ფონზე. მიმოვიხილავთ კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროებს, თავდასხმის ტიპებს და ამ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიებსა და ტაქტიკებს.  განხილულია, თუ ვინ არიან ჰაკერები,  რა განსხვავებაა მათ შორის, რა არის მათი მოტივი და რამდენად საფრთხის შემცველია მათი არსებობა. ნაშრომში საუბარია ისეთ მავნე პროგრამებზე,  როგორიცა ვირუსები, ვორმები,  ტროას ცხენები და მათი მუშაობის პრინციპი, თუ  რა ზიანის მოტანა შეუძლიათ მათ როგორც რიგითი მოქალაქეების, ასევე კომპანიებისა და დიდი ორგანიზაციებისთვის.  წარმოდგენილია მათგან თავდაცვის თანამედროვე მექანიზმები, რადგან  თავდაცვის მექანიზმების განვითარების კვალდაკვალ ვითარდება კიბერ დამნაშავეების სამყაროც.  ნაშრომში ნაჩვებენია, თუ რა დანიშნულება აქვთ ეთიკურ ჰაკერებს, მათი მოვალეობები, საქმიანობა და ის  გზა, რომელიც უნდა გაიარონ განვითარებისთვის.



**ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲫᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:**

კიბერდანაშაული, მავნე ვირუსები, მათი წარმოშობის წყაროები, ბრძოლის ტაქტიკა


# ETHICAL HACKING


## MALKHAZ MAKHAROBLISHVILI

Head: Associated Professor Nana Arabuli

Davit Agmashenebeli National Defence Academy of Georgia



### ANNOTATION

The paper discusses the essence of cyberspace And how important it is to protect personal information in the face of growing cybercrime. We review the sources of cyber threats, types of attacks, and strategies and tactics to combat these threats. It discusses who the hackers are, what the difference is between them, what their motive is, and how dangerous their existence is.Review malicious programs such as viruses, worms, Trojan horses, how they work, What harm can they do to ordinary citizens as well as to companies and large organizations and their defense mechanisms. The world of cyber criminals is also evolving in the wake of the development of defense mechanisms. The paper shows what the purpose of ethical hackers is, their duties, activities and the path they must take to develop.



**KEYWORDS:**

Cybercrime, Harmful viruses, their sources, Combat tactics


არსებობს ტერმინის „კიბერსივრცის“ განმარტების ბევრი ვარიანტი და ყველა მათგანი იძლევა თავისებურ განსაზღვრებას. თუმცა ყველა განმარტებაში აღნიშნულია, რომ „კიბერსივრცე“ წარმოადგენს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს. ინტერნეტის შემქმნელები ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ ინტერნეტ-ტექნოლოგიების მზარდი განვითარება წარმოშობდა ისეთ მასშტაბურ სისტემათა სისტემას, რომლის უსაფრთხოება ესოდენ მნიშვნელოვან გამოწვევად გადაიქცეოდა. ამ ახალმა მეცნიერულმა მიღწევამ ბევრ სიკეთესთან ერთად, ასევე წარმოშვა ახალი საფრთხეები და საბრძოლო სივრცის ახალი ველი. ყოველდღიურად ხდება კიბერდანაშაული ინდივიდების, სხვადასხვა ბიზნესისა თუ მთავრობის წინააღმდეგ. დღეს კიბერთავდასხმები წარმოადგენს საფრთხეს, რომლის წინააღმდეგაც ეროვნული უსაფრთხოების ექსპერტები ეძებენ უფრო ეფექტურ, თანმიმდევრულ კიბერპოლიტიკას, ქმნიან სტრატეგიულ დოკუმენტებს და თავდაცვის მეთოდებს. ქვემოთ მიმოვიხილავთ კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროებს, თავდასხმის ტიპებს, ამ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგიებსა და ტაქტიკას. ასევე ვისაუბრებთ ჰაკერთა ნაირსახეობებზე და მავნე პროგრამებზე.  კიბერ სივრცეს  თავისი მნიშვნელობით და გავლენით დღეს მეხუთე ხელისუფლებასაც კი უწოდებენ. ეს ნაშრომი დაეხმარება მკითხველს ინფორმაცია მიიღოს კიბერ და ინფორმაციული სივრციდან მომდინარე ახალ გამოწვევებზე.

კიბერუსაფრთხოების სამყაროს საწყის წლებში ტიპიური კიბერდამნაშავეები იყვნენ თინეიჯერები ან ჰობისტები, რომლებიც მუშაობდნენ სახლის პერსონალური კომპიუტერიდან და მათი შეტევები ძირითადად შემოიფარგლებოდა გახუმრებითა და ვანდალიზმით. დღეს კიბერდამნაშავეების სამყარო უფრო სახიფათო გახდა. თავდამსხმელები არიან ფიზიკური პირები ან ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ სისუსტეების (vulnerabilities) გამოყენებას პირადი ან ფინანსური მოგებისთვის. კიბერდამნაშავეები დაინტერესებულნი არიან ყველაფრით, საკრედიტო ბარათიდან დაწყებული, პროდუქტის დიზაინით დამთავრებული, ნებისმიერი რამით, რაც ღირებულია. მოყვარულებს ანუ „სცენარის ბიჭებს (scriptkiddies)" აქვთ მცირე უნარი, ან საერთოდ არ აქვთ. ხშირად ისინი შეტევებისთვის იყენებენ არსებულ უტილიტებს ან ინსტრუქციებს, რომლებსაც პოულობენ ინტერნეტში. ზოგიერთი მათგანი უბრალოდ მოყვარულია, ხოლო სხვები ცდილობენ თავიანთი უნარების დემონსტრირებას და ზიანის გამოწვევას. ისინი შეიძლება იყენებენ ბაზისურ უტილიტებს, მაგრამ შედეგი შეიძლება იყოს დამანგრეველი.

ჰაკერები - დამნაშავეების ეს ჯგუფი „ტეხავს" კომპიუტერებს ან ქსელებს, რათა მიიღოს წვდომა სხვადასხვა მიზნებისათვის. გატეხვის მიზანი განსაზღვრავს ამ თავდამსხმელების კლასიფიკაციას, როგორიცაა თეთრი, ნაცრისფერი ან შავქუდიანები. თეთრქუდიანი თავდამსხმელები აღწევენ ქსელებში ან კომპიუტერულ სისტემებში, რათა აღმოაჩინონ სუსტი ადგილები იმისათვის, რომ გაზარდონ ამ სისტემების უსაფრთხოება. სისტემის მფლობელები აძლევენ უფლებას შეღწევის შესრულებისთვის და ისინი იღებენ ტესტის შედეგებს. მეორეს მხრივ, შავქუდიანი თავდამსხმელები სარგებლობენ ნებისმიერი დაუცველობით, არალეგალური პირადი, ფინანსური ან პოლიტიკური სარგებლისთვის. ნაცრისფერქუდიანი თავდამსხმელები არიან თეთრსა და შავქუდიან თავდამსხმელებს შორის. ნაცრისფერქუდიანმა თავდამსხმელებმა შეიძლება იპოვონ სისუსტეები და შეატყობინონ ის სისტემის მფლობელებს, თუ ეს მოქმედება შესაბამისობაში იქნება მათ დღის წესრიგთან. ზოგიერთი ნაცრისფერქუდიან ჰაკერი აქვეყნებს სისუსტეების შესახებ ფაქტებს ინტერნეტში, რათა ის სხვა თავდამსხმელებმა გამოიყენონ. თანამედროვე კიბერდამნაშავეების ყველაზე დიდი მოტივაცია არის ფინანსები. კიბერდანაშაული გახდა უფრო მომგებიანი, ვიდრე ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა.

ვირუსი არის საზიანო გამოყენებადი კოდი, რომელიც მიბმულია სხვა გამოყენებად ფაილთან, როგორიცაა ლეგიტიმური პროგრამა. ვირუსების უმეტესობა საჭიროებს საბოლოო-მომხმარებლის ინფიცირებას და შეუძლია გააქტიურება განსაზღვრულ დროსა თუ თარიღში. კომპიუტერის ვირუსები, როგორც წესი, ვრცელდება სამიდან ერთ-ერთი გზით: მოსახსნელი მედია საშუალებიდან, ინტერნეტ გადმოწერებიდან და ელექტრონულ ფოსტაზე მიბმული ფაილებიდან. ვირუსებს შეუძლიათ:

- შეცვალონ, დააზიანონ, წაშალონ ფაილები ან მთლიანად მყარი დისკის მონაცემები თქვენს კომპიუტერზე.
- დაბლოკონ კომპიუტერის ჩატვირთვა, ხელი შეუშალონ აპლიკაციების გაშვებას ან მათ გამართულ მუშაობას.
- გამოიყენონ მომხმარებლის ელ. ფოსტის ანგარიშები სხვა კომპიუტერებზე ვირუსების დასაგზავნად.
- იყვნენ უმოქმედოდ, სანამ მათ არ გააქტიურებს თავდამსხმელი (ჰაკერი).
- დააფიქსირონ (ჩაიწერონ) კლავიატურის კლავიშებზე დაჭერები, ისეთი კონფიდენციალური ინფორმაციის ხელში ჩაგდების მიზნით, როგორიცაა პაროლები და საკრედიტო ბარათის ნომრები და შემდგომ გააგზავნონ მონაცემები თავდამსხმელთან (ჰაკერთან).

ვორმები არის მავნე კოდი, რომლებიც ვრცელდებიან ქსელში არსებული სისუსტეების დამოუკიდებლად გამოყენების გზით. ვორმები, როგორც წესი, ანელებენ ქსელის მუშაობას. იმ დროს, როცა ვირუსი მოითხოვს ჰოსტის პროგრამას გასაშვებად, ვორმებს თავისით შეუძლიათ გაშვება. საწყისი ინფიცირების გარდა, ვორმები აღარ საჭიროებენ მომხმარებლის ჩარევას. მას შემდეგ, რაც ვორმი მოახდენს ზეგავლენას ჰოსტზე, მას შეუძლია ძალიან სწრაფად გავრცელება ქსელში. ვორმები პასუხისმგებლები არიან ზოგიერთ ყველაზე დამაზიანებელ შეტევებზე ინტერნეტში. მაგალითად, 2001 წელს Code Red (წითელი კოდი) ვორმმა დაინფიცირა 658 სერვერი. 19 საათის განმავლობაში ვორმმა დაინფიცირა 300,000-მდე სერვერი.

ტერმინი ტროას ცხენი (Trojan horse) მოდის ბერძნული მითოლოგიიდან. საბერძნეთის მეომრებმა ტროას ხალხს (ტროელები - Trojans) შესთავაზეს გიგანტური ცარიელი ცხენი როგორც საჩუქარი. ტროელებმა გადაიტანეს გიგანტური ცხენი თავიანთ გალავანშემორტყმულ ქალაქში, მათ არ იცოდნენ, რომ ბევრი ბერძენი მეომარი იმყოფებოდა შიგნით. ღამით, როდესაც ტროელების უმრავლესობამ დაიძინა, მებრძოლები ამოვიდნენ ცხენიდან და დაიპყრეს ქალაქი. ტროას ცხენი არის პროგრამა, რომელიც ახორციელებს მავნე ოპერაციებს

სასურველი ოპერაციის საფარქვეშ, როგორიცაა, ონლაინ თამაში. ეს მავნე კოდი იყენებს იმ მომხმარებლის პრივილეგიებს, რომელიც უშვებს მას. ტროას ცხენი განსხვავდება ვირუსისგან, რადგან ტროიანი თვითნებურად ებმევა არა შესრულებად ფაილებს, როგორიცაა, ფოტო ფაილები, აუდიო ფაილები ან თამაშები.

Trojan horse როგორც წესი გამოიყურება ისე, როგორც საჭირო პროგრამა, მაგრამ ის არის საზიანო პროგრამული კოდის მატარებელი. მაგალითად, Trojan horses (ტროას ცხენები) ხშირად მოწოდებულია უფასო ონლაინ თამაშებით. მოცემული თამაშები იწერება მომხმარებლის კომპიუტერზე, მაგრამ ასევე შეიცავს Trojan horse (ტროას ცხენი) ვირუსს. სანამ თამაშს თამაშობთ, ტროას ცხენი ინსტალირებულია მომხმარებლების სისტემაში და განაგრძობს მუშაობას მანამ, სანამ თამაში არ დაიხურება. არსებობს ტროას ცხენების რამდენიმე ტიპი.

ეთეკური ჰაკერი არის კვალიფიკაცია, რომლის საშუალებითაც ხდება კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების შეფასება, სისტემაში მიზნობრივი სისუსტეების ძიება და მათი აღმოფხვრა. თეთრი ჰაკერი იყენებს იგივე საშუალებებს, რასაც მავნე ჰაკერი, მაგრამ ლეგიტიმურად შეფასების მიზნით. ეთიკური ჰაკინგის ინსტრუმენტების ათვისების მიზნით, შემოიღეს კვალიფიკაციის სერთიფიკატი C|EH, რომელიც

აფასებს ჰაკერის შესაძლებლობას. ის შემუშავდა 2018 წ მარტში. სერთიფიკატით ფასდება შეღწევადობის უნარი ლაბორატორიულ გარემოში, სადაც კანდიდატმა უნდა აჩვენოს ტექნიკის გამოყენების უნარი და გამოიყენოს შეღწევადობის ტესტირების საშუალებები.

ეთიკური ჰაკერები დასაქმებული არიან დიდ ორგანიზაციებში, რათა აღმოფხვრან უსაფრთხოების ხარვეზები. Pc საბჭო გვთავაზოვს კიდევ ერთ სერთიფიკატს Certified Network Defence Architect (CNDA). ეს სერთიფიკატი განკუთვნილია აშ შ ს მთავრობის სააგენტოებისთვის და ხელმისაწვდომია მხოლოდ სააგენტოს რჩეული წევრებისთვის, ზოგიერთი მთავრობის კერძო კონტრაქტორისთვის.

Ccna აფასებს შენს ცოდნას შექმნა უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, რათა თავი აარიდო საფრთხეებს, ანვითარებს უნარებს ქსელის მოწყობაში, პრობლემების აღმოფხვრაში, მონაცემთა მონიტორინგში, კონფიდენციალურობაში. ამ სერთიფიკატის მისაღებად მსურველმა უნდა ჩააბაროს 210-260 IINS.

კიბერ თავდასხმების მოსაგერიებლად განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს: სისტემის ცნობილი სისუსტეებისა და შეტევების ხელწერების (ინფორმაციის უნიკალური კლასიფიკაცია, რაც გამოიყენება თავდამსხმელის იდენტიფიცირებისათვის, რომელიც ცდილობს გამოიყენოს ცნობილი სისუსტეები) დაწვრილებითი მონაცემთა ბაზის შექმნა. ორგანიზაციები ავრცელებენ ამ მონაცემთა ბაზებს მთელ მსოფლიოში, რათა დაგვეხმარონ ბევრი გავრცელებული შეტევების მოგერიების მომზადებაში. წინასწარი გაფრთხილების სენსორების და ქსელების გამაფრთხილებელის მოწყობაში. ყველა ქსელის მონიტორინგის ხარჯების და შეუძლებლობის გამო, ორგანიზაციები ახდენენ მაღალი-მნიშვნელობის სამიზნეების მონიტორინგს ან ქმნიან ყალბებს, რომლებიც გამოიყურება ისე, როგორც მაღალი-მნიშვნელობის სამიზნეები. რადგან ეს მაღალი მნიშვნელობის სამიზნეები დიდი ალბათობით განიცდიან შეტევებს, ისინი გააფრთხილებენ სხვებს პოტენციური შეტევების შესახებ.

ხდება კიბერ სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარება. ბიზნესი, სახელმწიფო სტრუქტურები და ქვეყნები თანამშრომლობენ, რათა გაცვალონ საჭირო ინფორმაცია კრიტიკულ სამიზნეებზე სერიოზული თავდასხმების შესახებ იმ მიზნით, რომ აკრძალულ იქნეს მსგავსი თავდასხმები სხვა ადგილებში. ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბდა კიბერ სადაზვერვო სააგენტოები, რომლებიც თანამშრომლობენ მსოფლიოსთან მთავარ კიბერ შეტევებთან ბრძოლაში. ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სტანდარტების ჩამოყალიბება ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ISO27000 არის ამ საერთაშორისო ძალისხმევის კარგი მაგალითი. ახალი კანონების დადგენა კიბერშეტევებსა და მონაცემთა დაზიანებაზე ხელის აღებისთვის. ამ კანონებს აქვთ მკაცრი სანქციები, რათა დაისაჯონ კიბერდამნაშავეები, რომლებიც იქნებიან არალეგალური მოქმედებების შესრულების დროს დაფიქსირებულნი.

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების და კომუნიკაციების ერაა. ტექნოლოგიები ისე სწრაფად ვითარდება, რომ მალე მურის კანონი აღარ იმუშავებს. არსებობს მრავალი კომპიუტერული კონცეფცია, როგორიცაა კვანტური კომპიუტერი და ნეირონული სისტემები. დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელია ტექნოლოგიების გარეშე, ამიტომაც დღესდღეობით ინფორმაციის გაცვლა და მისი უსაფრთხოება აქტუალურია. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ეთიკური ჰაკინგი გვეხმარება აღმოვფხვრათ ქსელური და სისტემური სისუსტეები, რაც საშუალებას მოგვცემს გავხადოთ ჩვენი მომაცემები უფრო დაცული. კიბერ დამნაშავეებისთვის ხელის შეშლა არის რთული დავალება და არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა „ვერცხლის ტყვია“. თუმცა კომპანიებმა, მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს კოორდინირებული მოქმედებები კიბერდამნაშავეების შესაზღუდად ან მოსაგერიებლად. კოორდინირებული ქმედებები მოიცავს: სისტემის ცნობილი სისუსტეებისა და შეტევების ხელწერების (ინფორმაციის უნიკალური კლასიფიკაცია, რაც გამოიყენება თავდამსხმელის იდენტიფიცირებისთვის, რომელიც ცდილობს გამოიყენოს ცნობილი სისუსტეები) დაწვრილებითი მონაცემთა ბაზის შექმნას. ორგანიზაციები ავრცელებენ ამ მონაცემთა ბაზებს მთელ მსოფლიოში, რათა დაგვეხმარონ ბევრი გავრცელებული შეტევების მოგერიების მომზადებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ვლადიმერ სვანაძე 6/131 Copyright © 2015 Vladimer Svanadze ვლადიმერ სვანაძე 8/131 Copyright © 2015 Vladimer Svanadze | All Rights Reserved | Privacy Policy კრებული, „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“

2. ვლადიმერ სვანაძე 8/131 Copyright © 2015 Vladimer Svanadze კრებული, „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“

3. CCNA 200-301 Official Cert Guide Library 1st Edition

4. Walker, Matt; CEH Certified Ethical Hacker All-In-One Exam Guide, The McGraw-Hill Companies, 2011. ISBN 978-0-07-177229-7

5. Oriyano, Sean-Philip; CEH: Certified Ethical Hacker Version 8 Study Guide, Sybex Publishing, 2014. ISBN 978-1-118-64767-7

6. Gregg, Michael; Certified Ethical Hacker Exam Prep, Que Publishing, 2006. ISBN 978-0-7897-3531-7

7. "Defining Malware: FAQ". technet.microsoft.com. Retrieved 10 September, 2009.

# სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში


**ტარიელ სანიკიძე**
მაგისტრანტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი



## ანოტაცია

ნაშრომი ეხება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე პროცესებს, მის მნიშვნელობას საჯარო ფინანსების მართვის კონტექსტში. განხილულია სახელმწიფო შესყიდვების განვითარების ეტაპები და გამოწვევები, რომლებიც დგას მის წინაშე, ასევე განხილულია რა მნიშვნელობა აქვს შესყიდვების საჯაროდ წარმათვასა და განხორციელებას, საჯარო შესყიდვების განვითარების ეტაპები და წინგადადგმული ნაბიჯები, რომელიც გადაიდგა პროცესის გამჭირვალობის უზრუნველყოფისათვის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურები, პროცესებთან დაკავშირებული პრობლემები და პრობლემის მიზეზები, სახელმწიფო შესყიდვების როლი ეკონომიკაში და ის ახალი გამოწვევები, რის წინაშეც დგას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.



**საკვანძო სიტყვები:**
სახელმწიფო შესყიდვები, ელექტრონული სისტემა, საჯარო ფინანსები, გამჭირვალობა, ელექტრონული ტენდერი, შესყიდვების განხორციელების პროცედურები


# IMPROVING STATE PROCUREMENT IN PUBLIC FINANCE ADMINISTRATION


**TARIEL SANIKIDZE**
Master's Student
Georgian National University



## ANNOTATION

The paper deals with the ongoing processes in the field of state procurement and its significance in the sense of public financial management. The stages and challenges of the development of state procurement are addressed, as well as the importance of the progress and implementation of public procurement, the stages in the development of state procurement and the measures taken to ensure transparency of the process, as well as the procedures for state procurement, the issues of processes and the causes of problems. , The role of state procurement in the economy and the new challenges faced by the public procurement agency.



**KEYWORDS:**
Public Procurement, Electronic System, Public Finance, Transparency, Electronic Tender, Procurement Procedures.


ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ ეკონომიკურ საქმიანობაზე განხორციელებული საქმიანობის წარმართვა და შედეგების გამჭირვალობაა. საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა და საიმედო შეფასება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისა და წინსვლისთვის გამოწვევაა, რადგან აღნიშნული ფაქტორი ავტომატურად უარყოფს ისეთ მავნე ზეგავლენას სახელმწიფოზე, როგორიცაა კორუფცია, ერთპიროვნული მართვა, დისკრიმინაციული და არაპროპორციული ქმედებების განხორციელება, რადგან საიმედოდ შეფასებული და გასაჯაროებული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფოს ინტერესებს, მუდმივად ჯანსაღი კრიტიკის შეფასებითა და მეტი პასუხისმგებლობით არის გამოწვეული.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია შემაჯამებელი ინფორმაცია, რამდენად საჯაროა სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და რამდენად მნიშვნელოვანია სისტემის განვითარება. „საჯარო ფინანსები სხვა არაფერია, თუ არა რთული კამათი ინდივიდისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ. საჯარო ფინანსები კვალიფიკაციის ამაღლების საუკეთესო სკოლაა." (ვაცლავ კლაუსი, ჩეხეთი ყოფილი პრემიერ მინისტრი)

ზოგადად საჯარო ფინანსებს უამრავი დანიშნულება აქვს, მაგრამ თუ მოკლე მიმოხილვით წარმოვიდგენთ საჯარო ფინანსები არის სახელმწიფოს მიერ შემუშავებული საგადასახადო და ხარჯვის პოლიტიკა, სწორედ ეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი წარმოადგენს ინდივიდებსა და სახელმწიფოს მიერ ურთიერთობის მთავარ სახეს, რადგან

სწორედ ამ გზით შემუშავებული პოლიტიკა გამოხატავს ეკონომიკურ სფეროში შეხედულებებს სახელმწიფოს საქმიანობის შესახებ.

იდეოლოგია, რომელიც სახელმწიფოს სამოქმედო არეალს წარმოადგენს სრულად ვერ ახდენს ზეგავლენას ინდივიდებზე. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულმა იდეოლოგიამ იმუშავოს, ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და მიწოდებაა საჭირო: თუ რაზე ხარჯავს ფულს სახელმწიფო? საიდან გამოიყო ამ დანახარჯებზე გამოყოფილი თანხა? რამდენად მნიშვნელოვანია ამ სამოქმედო გეგმის განხორციელება? რამდენად მიზანშეწონილია და რაციონალური იმ თანხის რაოდენობა, რაც იხარჯება?

საქართველომ საჯარო ფინანსების გამჭირვალობისა და ეფექტურობის კუთხით ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, რადგან დემოკრატიული მმართველობის თვალსაზრისით, ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, ეს ეხება: ბიუჯეტის შევსებას, სახარჯო პოლიკის გამჭირვალობას, ფუნქციონირებას კანონის ფარგლებში და მის დაცვას. ბიუჯეტში შემოსავლებთან ერთად ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ხარჯვის პოლიტიკას, რადგან სახელმწიფოს საქმიანობის ფუნქციონირებასთან ერთად საჭიროა მისი უზრუნველყოფა. სახელმწიფოს ბიუჯეტით სახსრებით ხდება იმ საქმიანობის წარმართვა, რომელიც ეხება სახელმწიფო შიდა და გარე უსაფრთხოებას, განათლებას, კულტურული მემკვიდრეობას, ჯანმრთელობის დაცვას და ა.შ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის ანგარიშში ირკვევა, რომ ჯამში 20 მილიონი ქაღალდის დოკუმენტები დაგროვდა, საიდანაც საჭირო ინფორმაციის მიღება დროულად, დამუშავება და ანალიზის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. იმისათვის, რომ მსგავსი შედეგები არ მიეღო სახელმწიფოს შემდეგ წლებში, არაფექტურმა ქაღალდის ტენდერებმა აუცილებელი საჭიროება წარმოშვა, რათა შესყიდვები განხორციელებულიყო ელექტრონულად, რაც მიზნად ისახავდა: გამჭირვალობას, არადისკრიმაციულობას, სამართლიან შერჩევას, გამარტივებული პროცედურების და ქაღალდებისაგან თავის დაღწევას. თავდაპირველად განიხილებოდა ორი ვარიანტი: პირველი- ეს იყო უკვე არსებული ელექტრონული პლატფორმის შეძენა, რომელსაც იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყნები, ხოლო მეორე- საკუთარი რესურსებით შექმნა და დანერგვა. რა თქმა უნდა, უპირატესობა მიენიჭა ახალი პროგრამის შექმნას სახელმწიფო სახსრებით, რომელიც 10-ჯერ ნაკლები დანახარჯით შესრულდა. 2010 წელი სახელმწიფო შესყიდვების გარდატეხის პერიოდად იქცა, რადგან იანვრიდან დაიწყო სისტემის ჩამოყალიბება და საკანონმდებლო სისტემების მორგება. აგვისტოში სისტემა ჩაეშვა სატესტო რეჟიმში, ოქტომბერში ჩატარდა პირველი ელექტრონული ტენდერი, ხოლო 2010 წლის 1 დეკემბრიდან სრულად აიკრძალა ქაღალდის ტენდერების ჩატარება.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონულმა შესყიდვებმა ბევრად გაამარტივა პროცედურები ქაღალდის ტენდერებისაგან თავის დაღწევით, მრავალწლიანი განვითარების ეტაპზე წინა წლების პრაქტიკასთან ერთად ბევრად დახვეწა და განავითარა შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა ეტაპი. 2011 წლიდან მხოლოდ ელექტრონულად იყო შესაძლებელი ტენდერში მონაწილეობის მიღება, ამისთვის კი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია იყო საჭირო. ამავე წელს უკვე შესაძლებელი იყო მომხმარებელს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე მიეღო ყველა საჭირო ინფორმაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წელს ჩატარებული ტენდერების მართლზომიერების, კანონის დაცვის პრინციპის ხელშესაწყობად და საზოგადოების ნდობის უფრო მეტად ასამაღლებლად შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების განხილვის დავების საბჭო, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ ელექტრონულად გაასაჩივრონ სატენდერო დოკუმენტაცია. გასაჩივრების შემთხვევაში ტენდერი 10 დღის ვადით შეჩერდება და განიხილება დავების საბჭოს მიერ, ხოლო  შედეგი აისახება სატენდერო დოკუმენტაციის შედეგებში. ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, დიდი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფოს კუთვნილი თანხების ხარჯვის გამჭირვალობაში ელექტრონული პორტალის შექმნითა და მისის დანერგვით. ასევე აღსანიშნავია 2011 წლის შემდეგ 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობდა მომხმარებლების ინფორმირებასა და უკეთ რეაგირებას, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი და შესყიდვების კიდევ უფრო სრულფასოვნად განხორციელების გზით, 2013 წელს პროცედურებისა და მომსახურების გაუმჯობესებით ბევრად მარტივი გახდა შესყიდვების განხორციელება, კერძოდ, ეს ეხება:

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაემატა ახალი მოდული (e-PLAN), სადაც შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ ვალდებულება წარმოადგინონ თავიანთი წლიური საბიუჯეტო გეგმა მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე, რისი საუშალებითაც მომხმარებლები შეძლებენ უკეთ იდენტიფიცირებას, თუ რა სახის შესყიდვებია დაგეგმილი წლის განმავლობაში, რათა უკეთ შეძლონ მომავალში შესყიდვებთან დაკავშირებული მზადყოფნა.
- დაემატა ახალი CMR მოდული, სადაც ასახულია ყველა გამარტივებული შესყიდვა შესაბამისი ზღვრების ფარგლებში, რომლებიც ასახულია წლიურ საბიუჯეტო გეგმაში და განხორციელების შედეგად აისახება გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგებთან ერთად.
- 2015 წელს საიტზე განთავსდა „SMP” მოდული, სადაც აისახება ყველა ის შესყიდვა, რომელიც გულისხმობს გამარტივებული შესყიდვის განხორციელებას არა მხოლოდ იმ მონეტარული ზღვრების დაცვით, რომელიც „CMR“ მოდულშია განთავსებული, არამედ შემდეგი საფუძვლით: ექსკლუზიური უუფლებამოსილება, გადაუდებელი აუცილებლობა, ხარისხის გაუარესება, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება და წარმომადგებლობითი ხარჯები.

უმოკლეს დროში სახელმწიფოს რესურსებით შესაძლებელი გახდა შესყიდვების ელექტრონული პორტალის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესყიდვები გახდა ეფექტური, გამჭირვალე, პროპორციული და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მარტივი პროცედურების საშუალებით ხდება. ცხადია, ელექტრონულად დანერგილმა შესყიდვება დიდი აღიარება და შეფასება მიიღო, რომელიც ვითარდება მომხარებლთა მოთხოვნის შესაბამისად.

შესყიდვების გამარტივებული პროცედურებით განხორციელებას ელექტრონული საიტის საშუალებით ხელს უწყობს ეგრედწოდებული „CPV კოდები“-ს გამოყენება, რომელიც ძირითადად შედგება 9 450-მდე ჩანაწერისაგან, რომლის თითოეული ჩანაწერი შედგება 8 ციფრისგან და გადანაწილებულია შესყიდვების 3 სახეობაზე: მომსახურება, საქონელი და სამშენებლო სამუშაო.

გამოყენებული კლასიფიკატორის სისტემა ხელს უწყობს შემსყიდველ ორგანიზაციებს მარტივად დააჯგუფონ ერთგვარონი შესყიდვის ობიექტი, რათა სწორად იყოს წლიურ საბიუჯეტო გეგმაში ასახული იმ თანხის ჯამური რაოდენობა, რისი საშუალებითაც განხორციელდება შესყიდვა და არ მოხდეს შესყიდვების ხელოვნურად დაყოფა. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის წარდგენის შემდეგ შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს შესყიდვები შესაბამისი მონეტარული ზღვრებისა და კომპეტენციის ფარგლებში. თუ გეგმაში არსებულ ნებისმიერ CPV კოდზე ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების ჯამური ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს, შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს უფლება გამოაცხადოს ელექტრონული ტენდერი ან გამოცხადების გარეშე, მოლაპარაკებისა და შეთანხმების საშუალებით გააფორმოს ხელშეკრულება, რაც აისახება ელექრონულ საიტზე გამარტივებული შესყიდვების მოდულში. განსხვავებული მეთოდით გამოიყენება შესყიდვები იმ შემთხვევაში, თუ CPV კოდზე შესყიდვების ჯამური ღირებულება აღემატება 5 000 ლარს, კერძოდ, შემსყიდველი ვალდებულია შესყიდვა განახორციელოს ელექტრონული ტენდერის გამოცხადებით.

**დიაგრამა N1.** გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა სტატუსების მიხედვით[1].




დიაგრამაში აღნიშნული მონაცემები ასახავს, თუ რამდენად ხშირია გამოცხადებული შესყიდვის განხორციელება გამარჯვებულის გარეშე, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში ერთი და იმავე შესყიდვის თავიდან განხორციელება ხდება საჭირო. საშუალო მონაცემებით, ყოველ წელს გამოცხადებული შესყიდვების 30%-ს არასასურველი შედეგი შეადგენს. ერთი შეხედვით, ამ მონაცემებზე დაყრდნობით საკმაოდ დიდი პრობლემა ჩანს შესყიდვების წარმართვაში, თუმცა მიზეზი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ასევე მიმწოდებლის ქმედებიდან გამომდინარე.

სახელმწიფო შესყიდვებს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკაში, რადგან სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში განხორციელებასთან და განვითარებასთან ერთად მატულობს იმ მომხმარებლების სია, რომლებიც ჩართულნი არიან შესყიდვებთან დაკავშირებულ წარმართვის მეთოდებსა და მიწოდებაში.

**დიაგრამა N2.** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტირებული მიმწოდებლების რაოდენობა წლების მიხედვით[2]




2010-2011 წლის მონაცემებთან შედარებით, 2019 წელს სისტემაში რეგიტრირებულ მიმწოდებელთა სია 5.63-ჯერ არის გაზრდილი. ეს შედეგი იმის დამადასტურებელი ინფორმაციაა, რომ ს ა ბ ა ზ რ ო ეკონომიკის პირობებში მიწოდება ხდება თავისუფალ კერძო კომპანიებსა და ინდივიდუალურ მეწარმეთა ურთიერთქმედებით. ამასთან ერთად, იზრდება მიმწოდებლებს შორის კონკურენცია.

**დიაგრამა N3.** პრეტენდენტთა საშუალო რაოდეობა შესყიდვის ობიექტის მიღებით 2018[3] და 2019[4] წლის მონაცემების მიხედვით:




სისტემაში რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობის მატებასთან ერთად მცირდება ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა. დიაგრამის საშუალებით ნათლად ჩანს, რომ შესყიდვის ობიექტების დაყოფის მიხედვით, მონაწილეთა რაოდენობა შედარებით მცირეა ან იგივე. რეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის ტემპთან ერთად შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენი უმოქმედო ან შეჩერებული კომპანია არის ბაზაში, რადგან ელექტრონული სისტემა ვერ ახდენს მათ იდენტიფიცირებას. შესაძლოა, ახალ რეგისტრიებულთა სიაში იყვნენ ის მიმწოდებლები, რომლებიც მოხვდნენ შავ სიაში, ან იმ კომპანიის მფლობელები, რომელიც უკვე რეგისტრირებულია ბაზაში და გარკვეული მიზეზის გამო აღარ ფუქციონირებენ. ამ ფორმით იცვლება რეგისტრირებულთა რაოდენობა, ხოლო რეალურად შესაძლო მიმწოდებლების რაოდენობა უცვლელია, ან უფრო ნაკლები.

---

1 ინფორმაცია მოპევებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011-2019 წლის საქმიანობის ანგარიშებიდან.
2 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2019 წლის საქმიანობის ანგარიში
3 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2018 წლის საქმიანობის ანგარიში
4 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ეკონომიკაში სახელმწიფო შესყიდვების როლი მთლიან შიდა პროდუქტში გვხდება და ყოველწლიურად საშუალოდ 10%-დან 12%-მდე შეადგენს გახარჯული თანხის საშუალებით.

სწორედ მსგავსი მიდგომა წარმოშობს საკითხს, რამდენად კარგად არის შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საჯარო ფინანსების თვალსაზრისით, რადგან შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ წილად სხვადასხვაა და ყოველთვის ურთიერთწინააღმდეგობაშია, ხოლო მონაცემების საჯაროობის თვალსაზრისით, საქართველოში არსებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა გარკვეულწილად შედეგის მომტანია, რადგან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამ მოგვცა საშუალება თვალყური ვადევნოთ, რამდენად ეფექტურად ხორციელდება პროცესები, ამის მაგალითია „დიაგრამა N6“-ში არსებული ონფორმაცია:

**დიაგრამა N4.** ყოველწლიური საბიუჯეტო თანხა, გამოყენებული თანხის რაოდენობა და მისი ეკონომია[5]




დღესდღეობით (2020 წლის მონაცემებით) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა მოიცავს საიტის ფუნქციონირების დღიდან 10 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის საინფორმაციო ბაზას. ერთი შეხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის საშუალება საჯაროობის თვალსაზრისით საკმაოდ ღიაა და ხელმისაწვდომი, თუმცა ინფორმაციის საჯაროობა მხოლოდ იმას არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული საძიებო სისტემის საშუალებით შეგვიძლია ვნახოთ ყველა განხორციელებული ტენდერის პროცედურები. საუბარია სისტემაში არსებულ იმ დახურული ფაილების იდენტიფიცირებაზე, რომლის ნახვასაც საძიებო სისტემაში არსებული ფილტრის რესურსი არ გვაძლევს მარტივად მოპოვების შესაძლებლობას. საუბარია სატენდერო დოკუმენტის მსვლელობისას ატვირთულ ფაილების იდენტიფიცირებაზე. სატენდერო დოკუმენტაციებში ატვირთული ფაილის გახნა მხოლოდ კონკრეტული ტენდერის გახსნით არის შესაძლებელი. შესაბამისად, სისტემაში არსებულ მომხმარებელს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ანალიზის შედგენის მეთოდი მსგავს ფაილებთან წვდომას თუ მოსთხოვს, ეს საკმაოდ დროში გაწელილ პროცედურას უკავშირდება. ინფორმაციის საჯაროობა მაშინ არის გამართლებული, როცა საჭირო ინფორმაციის დროულად მიღება, დამუშავება და ანალიზის გაკეთებაა შესაძლებელი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი გამოწვევების უგულებელყოფა გამოიწვევს დაახლოებით ისეთ შედეგს, რაც ქაღალდის ტენდერების შემთხვევაში მივიღეთ, სადაც უამრავი დაგროვებული მასალის შედეგად დროულად შეუძლებელი იყო სათანადო ანალიზის მომზადება.

რატომ არის ეს მთავარი გამოწვევა? პირველ რიგში, სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს საშუალება ექნებათ უფრო სწრაფად, მარტივად დაადგინონ არა მხოლოდ ტენდერებთან დაკავშირებული პროცედურები, არამედ განხორციელების შედეგად გამოვლენილი შედეგები.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა ნამდვილად არ იმსახურებს ცუდ შეფასებას. უფრო მეტიც, ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა სახელმწიფოში საკუთარი რესურსებით საკმაოდ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად ითვლება, რადგან გარკვეული ინფორმაცია საჯარო და ხელმისწვდომია. როგორც შესავალში ვახსენეთ, „საიმედოდ შეფასებული და გასაჯაროებული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფოს ინტერესებს, მუდმივად ჯანსაღი კრიტიკის შეფასებითა და მეტი პასუხისმგებლობით არის გამოწვეული.“ სწორედ ამ წინადადებიდან გამომდინარე, გასაჯაროვებული ინფორმაციის საშუალებით იქმნება ახალი გამოწვევები, რაც ჯანსაღი კრიტიკის ფონზე წამოიჭრა.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საჯაროდ წარმართვის პროცედურებისა და გამჭირვალობისათვის.

2010 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაინერგა ელექტრონულად განხორციელების პროცედურები, შესყიდვებთან დაკავშირებით საზოგადოების ნდობის შენარჩუნება და გაღრმავება ბევრად საფუძვლიანი გახდა. ელექტრონული სისტემის დანერგვასთან ერთად, მრავალი წლის განმავლობაში ხდებოდა სისტემის დახვეწა და გამარტივება, რამაც საკმაოდ კარგი შედეგი მოგვიტანა.

საიტის საშუალებით სისტემაში რეგისტრირებულ მომხარებლებს საშუალება აქვთ მოიპოვონ ინფორმაცია შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცედურებზე. პროცესის განხილვის დროს ეტაპობრივად თვალსაჩინო პრობლემებს ჰქონდა ადგილი, რისი დანახვაც სტატისტიკური მონაცემების საშუალებით გახდა ცნობილი. პრობლების გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია, სხვადასხვა სახის გაურკვევლობასთან იყოს დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სისტემით სახელმწიფო შესყიდვების წარმართვამ დიდი აღიარება მოიპოვა და მასზე ყველა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს მიუწვდება ხელი, სახელმწიფო შესყიდვების სისტემას სჭირდება განვითარება, რათა უფრო უკეთ წარიმართოს პროცედურები. ჩვენს ნაშრომში არაერთხელ არის ნახსენები, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა გარკვეულწილად საჯაროა. შეიძლება ეს ასეც შეფასდეს, რომ ყველა ინფორმაციაზე მიგვიწვდება ხელი და სწორედ ამიტომ არის საჯარო, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით, შესყიდვების წარმატებით განსახორციელება დროულად უფრო დეტალური ინფორმაციის მოპოვებითა და გაანალიზებით არის შესაძლებელი, რასაც ელექტრონული სისტემა სრულად ვერ ახერხებს. აღნიშნული ხარვეზი მთლიანობაში ახალ გამოწვევას უფრო წარმოადგენს ვიდრე პრობლემას. ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უპასუხებს ახალ გამოწვევებს და მუდმივ მზადყოფნაში იქნება განვითარებისთვის.

[5] ინფორმაცია მოპევებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011-2019 წლის საქმიანობის ანგარიშებიდან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. როუზი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, თბილისი, 2006 წ. / ხანთაძე გ., ცაავა გ., 2.
2. საჯარო ფინანსები, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წ.

ინტერნეტ რესურსები:

1. სახელმწიფო შეყიდვების სააგენტოს ვებ გვერდი http://procurement.gov.ge
2. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2011-2013 წლების საქმიანობის ანგარიშები
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2014-2019 წლების საქმიანობის ანგარიშები
4. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

# ციფრული მარკეტინგი და მისი მნიშვნელობა პანდემიის პირობებში

**ქუჩიკო აბაშიძე**
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რუსუდან დალაქიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

ციფრული მარკეტინგი დღეს მსოფლიოში უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა ერთის მხრივ, ციფრული მარკეტინგის განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ, მისი გამოყენების შესაძლებლობა. პანდემიის პირობებში, როდესაც თითქმის ყველაფერი, დისტანციურ და ონლაინ მუშაობაზე გადავიდა, ციფრული მარკეტინგი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მოცემულ ნაშრომში შევეცდებით მოკლედ ვაჩვენოთ, რა არის ციფრული მარკეტინგი, როგორ განვითარდა იგი და რა მნიშვნელობა აქვს მას დღევანდელობაში. ასევე, ვაჩვენებთ განსხვავებას ტრადიციულ მარკეტინგსა და ციფრულ მარკეტინგს შორის, დავასაბუთებთ ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებს პანდემიასთან ბრძოლაში. ვისაუბრებთ, თუ რა გამოწვევების წინაშე დაგვაყენა პანდემიამ, რა შეიცვალა და როგორ შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ონლაინ პლათფორმები მასთან ბრძოლაში

**საკვანძო სიტყვები:**
ციფრული მარკეტინგი, პანდემია, ტექნოლოგიური პროგრესი

# DIGITAL MARKETING AND ITS IMPORTANCE IN A PANDEMIC

**KUCHIKO ABASHIDZE**
Head: Associated Professor Rusudan Dalakishvili
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

## ANNOTATION

Nowadays, we all are aware that digital technologies are one of the most popular topics. Today, technology has come a long way and every organization is trying to keep up with processes, digital marketing is a very good device, since most of the global population uses internet and it's offers and advertisements will bring success to organization, especially in todays situation. During this pandemic, when most of the companies, transferred to remote regime, digital marketing became even more important than ever. In the existing work, I will try to show you what is digital marketing, how did it evolve and how important is digital marketing today. Then I will to show differences between traditional and digital marketing. And lastly I will express importance of digital marketing and opportunities to handle this pandemic: What obstacles it brought, what it changed and how we can successfully use online platforms to fight against it.

**KEYWORDS:**
digital marketing, pandemic, technological progress

ბაზარი ის ადგილია, სადაც მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს ხვდებიან. მარკეტინგი კი არის პრინციპების ერთობლიობა, რომელიც მყიდველსა და გამყიდველს ერთმანეთს ახვედრებს, იგი არის ცოდნა ბიზნესის ფასეულობების და იმის შესახებ, თუ რას და რატომ ყიდულობს ხალხი.

მარკეტინგი მოიცავს ძალიან ბევრ პროცესს, მაგალითად: რეკლამირებას, ბაზრების შესწავლას, პროდუქტისთვის გასაღების ხელშეწყობას, მომხმარებლების მომსახურებას, მათ მოზიდვას და შენარჩუნებას. მარკეტინგი ცდილობს ჰარმონიული გარემო შექმნას. მოკლედ რომ ვთქვათ, მარკეტინგი მოიცავს ყველაფერს, რაც ბიზნესს ეხება და აუცილებელია ბიზნესისთვის. ციფრული მარკეტინგი კი პროდუქტების და ბრენდების პრომოციას სხვადასხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ახდენს და ტრადიციული მარკეტინგისგან განსხვავებით იძლევა სხვადასხვა პროცესების, კამპანიების მიმდინარე რეჟიმში დაკვირვებისა და განხორციელების საშუალებას, იგი იკვლევს პროცესს აუდიტორიასთან შეხებიდან მის მომხმარებლად გარდაქმნამდე, ითვლის, თუ რას ნახულობენ უფრო ხშირად მომხმარებლები, რა სახის პროდუქტები მოსწონთ მათ, მაგალითად, ნახვები და ლაიქები ფეისბუქზე, იუთუბზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, იგი არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი კომუნიკაციაა. ციფრული მარკეტინგის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ პირველ რიგში ყველაფერი იზომება და სწორედ ციფრები გვაძლევს ზუსტი პროგნოზების გაკეთების საშუალებას. 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა და სულ უფრო მეტი ადამიანი ყიდულობს პროდუქტსა და მომსახურებას,

ასევე იღებენ გადაწყვეტილებას ყიდვასთან დაკავშირებით ინტერნეტში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ციფრული მარკეტინგის როლი კიდევ უფრო იზრდება, რადგან ეს არის საშუალება იმისა, რომ ზემოქმედება მოვახდინოთ მომხმარებლის ქცევასა და გადაწყვეტილებებზე. დღესდღეობით ციფრულმა მარკეტინგმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა ბიზნესის მომხმარებელთან დასაკავშირებლად. კიდევ უფრო აქტუალური გახდა მარკეტინგი და მარკეტერები, რომლებმაც კარგად იციან ციფრული არხების მართვა და ისინი კომპანიის მნიშვნელოვანი რგოლი გახდნენ.

ნახევარი საუკუნეა გასული მას შემდეგ, რაც პირველად ერთმანეთს ქსელში ჩართული ორი სერვერი დაუკავშირდა და პირველი ინტერნეტ კავშირი შედგა. მაშინ რამდენიმე სიმბოლოს გადაგზავნაც კი შთაბეჭდილებებს ახდენდა, ახლა კი ეს ყველაფერი ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. დღეს დედამიწაზე მცხოვრები 7.7 მილიარდი ადამიანიდან 4.2 მილიარდს ინტერნეტთან წვდომა აქვს და 3.9 მილიარდი რომელიმე სოციალურ ქსელს მაინც იყენებს. მცირე და საშუალო ბიზნესების 81% იყენებს სოცალურ პლატფორმებს, მხოლოდ 2018 წელს სოციალურ მედიაში რეკლამების განთავსებისთვის 40 მილიონი დაიხარჯა, ორგანიზაციების სურვილი გაზარდონ ბიუჯეტი ინტერნეტით რეკლამირებაში დღითიდღე იზრდება. ციფრულ მარკეტინგში მუშაობა არც ისე მარტივია, ბლოგების წერა, ციფრული პლატფორმების მართვა, სამიზნე აუდიტორიასთან ურთიერთობა მოითხოვს ბევრ დროს და ენერგიას, ასევე სპეციალურ ცოდნას, თუმცა ზრდის კონკურენციას. მისი საშუალებით ასევე შეგვიძლია მოვახდინოთ პიროვნების პერსონიფიკაცია, უფრო მეტად გავიცნოთ ჩვენი მომხმარებლები, მივაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია და დავაკმაყოფილოთ მათი ფასეულობები.

## ციფრული მარკეტინგი ტრადიციულის წინააღმდეგ

ციფრული მარკეტინგი ნიშნავს პროდუქტისა და მომსახურების პოპულარიზებას ციფრული პლატფორმების გამოყენებით, ძირითადად ინტერნეტით და სხვა ელექტრონული მედია საშუალებებით. ციფრული მარკეტინგი ტრადიციულისგან იმით განსხვავდება, რომ ის იძლევა საშუალებას რეალურ დროში მოვახდინოთ მონაცემების, ნახვების, მომხმარებელთა ჩართულობისა და სხვა აქტივობების ანალიზი. ერთ-ერთი პირველი, ვინც ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტები გამოიყენა იყო გულარმო მარკონი, რომელმაც 1986 წელს პირველმა გადასცა უკაბელო სიგნალი საჯაროდ. მანვე გამოიყენა რადიოს საწყისები, რამდენიმე წლის შემდეგ კი, 1990 წლის 13 იანვარს საინტერესო რამ მოხდა- ნიუ-იორკში მეტროპოლიტენის ოპერიდან რადიო მაუწყებლობა განხორციელდა, წარმოიდგინეთ, მე -20 საუკუნეა და ხალხი ქუჩაში სეირნობის დროს ოპერას უსმენს, ამ ფაქტმა კი ის გამოიწვია, რომ ხალხმა ოპერის ბილეთები იყიდა. ამ დროს გაჩნდა ციფრული მარკეტინგის ერთ- ერთი საშუალება- რადიო და ნელ ნელა დაიწყო განვითარება. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან კი მან შეცვალა ბიზნესებისა და ბრენდების დამოკიდებულება ტექნოლოგიების მიმართ. ის აღიარეს მარკეტინგის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად და დღესდღეობით არც ერთი ბიზნესი არ არსებობს ციფრული პლატფორმების გამოყენების გარეშე.

ხშირად ისმის კითხვა, რა განასხვავებს ციფრულ მარკეტინგს ტრადიციულისგან? ციფრული მარკეტინგი ტრადიციულთან შედარებით უფრო ნაკლებ ხარჯიანია. მაგალითად, წამყვან ტელეარხებზე რეკლამების გაკეთება ათი ათასობით ლარი ღირს, ინტერნეტსივრცეში კი იმავე შედეგის მიღება ათასჯერ უფრო ნაკლები დანახარჯებით შეგვიძლია. წლების წინ დიდმა კომპანიებმა, საწარმოებმა და ბიზნესებმა უამრავი დრო და რესურსი დახარჯეს, რათა თავიანთი პროდუქტი ბრენდად ექციათ. ციფრულმა მარკეტინგმა კი გზა გაუხსნა საშუალო და მცირე ბიზნესებს ბაზარზე საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. მათთვის ახლა არაერთი ციფრული პლატფორმაა ხელმისაწვდომი და რეკლამირებაც უპრობლემოდ, თითქმის უფასოდ შეუძლიათ. ციფრული მარკეტინგი ასევე საშუალებას გვაძლევს ხმა მივაწვდინოთ კონკრეტულ სეგმენტს, მათ, ვისზეც ორიენტირებულნი ვართ და ჩვენი პროდუქტი და მომსახურება სჭირდება. ასევე მნიშვნელოვნად გავზარდოთ სარეკლამო კამპანიის შედეგები. ტრადიციული რეკლამები, სატელევიზიო იქნება ეს თუ საგაზეთო, ვერ ირჩევს აუდიტორიას და შემთხვევითი მსმენელებიდან ან მკითხველებიდან შეიძლება მხოლოდ 10 ან 15% დააინტერესოს. ციფრული არხებით გაკეთებულ რეკლამას კი მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე აუდიტორია ჰყავს, მაგალითად, თუ გვაქვს სანადირო და სათევზაო ინვენტარის ბიზნესი, შეგვიძლია რეკლამა მხოლოდ იმათ ვაჩვენოთ, ვინც ნადირობითა და თევზაობითაა დაინტერესებული. იგივე სატელევიზიო ან საგაზეთო რეკლამისგან განსხვავებით, ციფრული არხებით გაკეთებულ რეკლამებში ზუსტად გავიგებთ რამდენმა ადამიანმა ნახა იგი, რამდენი დაინტერესდა და საბოლოოდ, მათგან რამდენი გახდა ჩვენი მომხმარებელი. ამ ყველაფრის დათვლა და ანალიზი შემდეგში უფრო წარმატებული სარეკლამო კამპანიის ჩატარებაში დაგვეხმარება. ტრადიციული მარკეტინგი გულისხმობდა მონოლოგს, ციფრული კი ერთგვარი დიალოგია მომხმარებელთან. ტრადიციული რეკლამის დროს ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ, ვინ ნახავს მას ტელევიზიით, ვინ წაიკითხავს მას გაზეთებში, მაგრამ ციფრულ არხებში განთავსებული რეკლამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, ვინ ნახა იგი, რას ფიქრობენ ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ და გვაძლევს საშუალებას გავითვალისწინოთ მომხმარებლის შეხედულება. მომხმარებლის შეხედულების გათვალისწინება კი ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი წყაროა.

ციფრული მარკეტინგის ძირითადი არხი ინტერნეტია, თუმცა ციფრული მარკეტინგი ინტერნეტ მარკეტინგისგან იმით განსხვავდება, რომ იყენებს როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ არხებს და იგი ბევრის საშუალებას იძლევა, მაგალითად: შეგვიძლია გამოვიყენოთ E-mail მარკეტინგი, ვებ გვერდები, სოციალური მედია, ონლაინ რეკლამა, მობილური აპლიკაციები, ბლოგები და ბევრი სხვა ინსტრუმენტი, მაგრამ მათი ეფექტურობისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია კომპანიის მიზანი, ამოცანები, ფინანსური შესაძლებლობები და აუცილებლად ოპტიმალურად უნდა შევარჩიოთ ისეთი არხი, რომელიც გამოგვადგება მარკეტინგული გეგმის განხორციელებაში.

## პანდემია და ციფრული მარკეტინგი

როგორც აღვნიშნეთ, ციფრული მარკეტინგი სათავეს მე-20 საუკუნის ბოლოსკენ იღებს და დღეს, 21-ე საუკუნეში ბიზნესის ერთ- ერთი ძირითადი და სტრატეგიული იარაღია. მის გარეშე ბიზნესები ფაქტობრივად არც არსებობენ, მაგრამ დღესდღეობით სიტუაცია კიდევ

უფრო შეიცვალა პანდემიის პირობებში და იგი კიდევ უფრო მოთხოვნადი გახდა. მოთხოვნადთან ერთად სავალდებულოც არის დაწესებული რეგულაციებიდან და ახალი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე. პანდემიის დაწყებამდე კომპანიებს შეეძლოთ უარი ეთქვათ ინტერნეტ მარკეტინგზე. მაგალითად, იმ მიზეზით, რომ „მე ისედაც საკმარისი მყიდველი მყავს“. საკმაოდ ძლიერი არგუმენტის კომპანია არც ცდილობს გაფართოვებას და კმაყოფილია იმით, რაც აქვს, მაგრამ დღეს მისი მომხმარებლები „სახლში არიან გამოკეტილნი“ და ყველაფრის გაკეთება ონლაინ უწევთ. კომპანიას შეეძლო თავის აზრი გაემყარებინა იმით, რომ „ჩემი გაყიდვები ყველა ოფლაინში ხდება“, რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია, კომპანია ოფლაინ მომხმარებლებს იზიდავს და ანხორციელებს გაყიდვას, მაგრამ ახლა, როდესაც ყველა ონლაინ მოხმარებაზე გადავიდა და გუგლში მილიარდობით მომხმარებელი ეძებს ინფორმაციას პროდუქტების შესახებ, ონლაინ გაყიდვები აუცილებელია. კომპანიებს შეიძლება არგუმენტად მოეყვანათ, რომ ინტერნეტ მარკეტინგი არ დაეხმარა, ძვირი ჯდება, აზრი არ აქვს მის განხორციელებას ან მისი არაფერი ესმით და ამიტომ არ იყენებენ მას. მაგრამ დღევანდელობაში იმის მაგივრად, რომ ფარ-ხმალი დავყაროთ და დავნებდეთ, ახალი სტრატეგიები უნდა შევიმუშავოთ, ბიუჯეტები გამოვყოთ და შევისწავლოდ ეს ყველაფერი, რომ მომხმარებელი არ დავკარგოთ და პანდემიის დასრულების შემდეგაც აქტიურად გავაგრძელოთ მათთან მუშაობა მოპოვებული ნდობისა და ფასეულობების საფუძველზე.

რაც შეეხება იმ კომპანიებს, რომლებიც ციფრულ მარკეტინგს პანდემიამდეც აქტიურად მიმართავდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მომხმარებელთა მოლოდინები შეიცვლებოდა. დღეს ინტერნეტთან წვდომა მილიარდობით ადამიანს აქვს და მათი უმრავლესობა რაიმე ბიზნესთან დაკავშირებული მეტი ინფორმაციის მოსაძიებლად ცდილობს, რომ ამ ბიზნესის ვებ გვერდებს და ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციას მოეჭიდოს. მისი ვერნახვის შემთხვევაში, იგი სანდოობაში დაეჭვდება და შეიძლება ბიზნესის არსებობაშიც კი ეჭვი შეიტანოს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მთელი მსოფლიო დისტანციურ რეჟიმზე გადადის, კომპანიებმა დროულად უნდა მოახდინონ ონლაინ რეჟიმზე გადაწყობა. იმ კომპანიებს კი, რომლებიც უკვე ასეთი სერვისებით სარგებლობდნენ, საქმე ნამდვილად გაუადვილდებათ. თუ ზოგიერთი კომპანიები ფიქრობენ, რომ ციფრული მარკეტინგის გამოყენება არ სურთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი კონკურენტებიც იგივეს ფიქრობენ. ამით კომპანიები კარგავენ პოტენციურ მომხმარებელს, კონკურენტები კი მას ყურადღებას აქცევენ. დღესდღეობით კი იმისთვის, რომ ბიზნესმა იფუნქციონიროს აუცილებელია ონლაინ პლატფორმების ათვისება მაშინ, როდესაც კონკურენტები ამ მხრივ ძლიერები არიან ამ სფეროში, რადგან მათთვის კონკურენციის გაწევა რთული გახდება.

მართალია, კომპანიები თავიანთ კარს ხურავენ პანდემიის გამო, მთავრობები შინ დარჩენისაკენ მოგვიწოდებენ, პანდემია გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე და, რა თქმა უნდა, კომპანიებზე, რომლებიც რეკლამასა და მარკეტინგზე არიან დამოკიდებულნი. გადაიდო ან გაუქმდა საკმაოდ ხმაურიანი მარკეტინგული ღონისძიებები მაგალითად: World Congress Barcelona, Facebook's Global Marketing Summit-ი, და ბევრი სხვა. ეს კომპანიები ამ ზარალს ვეღარ აინაზღაურებენ, მაგრამ მათ პანდემიის დროსაც კი უნდა დაინახონ პერსპექტივები. მაგალითად, ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ გუგლს შემოსავალი პირველ კვარტალში 15% შეუმცირდება, რომელსაც ტურისტული რეკლამების მნახველებისგან იღებდა, მაგრამ მეორე კვარტალში მისი შემოსავალი 20% გაიზრდება პანდემიის გამო. კიდევ ერთი მარკეტინგული ცვლილება ვირტუალურ ღონისძიებებზე გადასვლაა. მაგალითად, Microsoft- მა გადაწყვიტა თავისი წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება- Build-ის დეველოპერების კონფერენცია ვირტუალურად გადაექცია და გამოიყენოს ისეთი პლათფორმები როგორიცაა Zoom-ის სტილის პლათფორმები, რომელიც გათვლილია ჯგუფებისთვის და ერთი ერთზე სასაუბროთაც. საბანკო ბიზნესიც კი ცდილობს, რომ მომსახურება ციფრული გახადოს. მაგალითად, ერთ-ერთი სამხრეთ აფრიკული Nedbank-ი უმოკლეს ვადებში გეგმავს თავისი ციფრული სტრატეგიის განხორციელებას მთელ აფრიკაში. იმისთვის, რომ კლიენტებთან უშუალო მომსახურებას თავი აარიდოს და პანდემიის გავრცელებას შეუშალოს ხელი, ბანკს სურს რომ გაყიდვების 75% ციფრულად შეასრულოს და მისი მომხმარებლის 70% ციფრულად აქტიური გახადოს.

პანდემიის პირობებში აუცილებლად განსახილველია ელექტრონული კომერციის შესაძლებლობა. მთელ მსოფლიოში მაღაზიებში აქტივობის შემცირება ელექტრონული კომერციის აქტიურობის ზრდას იწვევს. მაგალითად, ჩინეთში მომხმარებლები ონლაინ სასურსათო მაღაზიებს იყენებენ. ჩინური JD.com-ის უმსხვილესი ინტერნეტ საცალო მოვაჭრის ყოველდღიური სამომხმარებლო ნივთების გაყიდვის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით ოთხჯერ გაიზარდა. სულ უფრო მეტი მომხმარებელი არიდებს თავს გადავსებულ ადგილებში ვიზიტებს და ცდილობს ყოველდღიური მოხმარების პროდუქტები ინტერნეტის საშუალებით შეიძინოს.

„მაგრამ ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლა კიდევ უფრო აქტიურად მოხდება“, ამბობს სტიუარტ მაკკეი, Reprise Dubai-ის გენერალური დირექტორი, ეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი კრიზისია, რომელიც, საბედნიეროდ, ნამდვილ ციფრულ ეპოქაში მოხდა. ასეთ ბნელსა და გაურკვეველ დროს როგორიც დღესაა, უკიდურესად მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებმა სწრაფად შეძლონ ადაპტირება და ზრდის ახალი შესაძლებლობები გამოძებნონ. საცალო მოვაჭრეებს დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს მომხმარებლის ქცევის ცვლილება ციფრულ ეპოქაში“.

იმედია, რომ ქართული კომპანიები და ბიზნესები შეძლებენ მოერგონ დღევანდელობას, მოახდინონ ადაპტირება პანდემიასთან, აქტიურად გამოიყენონ ონლაინ პლატფორმები და გააგრძელონ ეკონომიკური საქმიანობა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1) ციფრული მარკეტინგი, გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე, თბილისი, 2018.

2) https://spec.ge/%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/

3) https://www.ginventor.ge/%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D/?v=ba5bf7b327a4

4) https://lemons.ge/ka/blog/52-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/149-%E1%83%A1%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%A3-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%91%E1%83%98

5) https://kanchaveli.ge/2019/01/what-is-a-digital-marketing/

# პანდემიის გავლენა მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე

**ცოტნე ქაცარავა**
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რუსუდან დალაქიშვილი
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

ნაშრომი ასახავს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პანდემიის გავლენას მომხმარებლებსა და მათ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, შევეხებით საზოგადოებაზე პანდემიის გავლენას, რამაც გამოიწვია მომხმარებლის ქცევის ცვლილება. არ არსებობს სფერო, რომელზეც პანდემიამ არ იქონია გავლენა და არ შეცვალა მისი ყოველდღიურობა. აღნიშნული შეეხო, რა თქმა უნდა, ბიზნესებსაც. მომხმარებელმა შეცვალა მისი გადაწყვეტილება ბევრ საკითხთან მიმართებაში და კომპანიები აღმოჩნდნენ ახალი რეალობის წინაშე. სანამ მსოფლიო იარსებებს მარკეტინგული სამყარო შეეცდება განჭვრიტოს მომხმარებელთა არსებული და პოტენციური მოთხოვნები, თუმცა გარემოს გავლენა არსებულ სიტუაციაში იმდენად დიდია, რომ ბევრი კომპანიისთვის შეუძლებელი გახდა საკუთარი მომხმარებლის ქცევის პროგნოზირება. უფრო მეტიც, თვით მომხმარებლებსაც კი მოუწიათ წინასწარ შემუშავებული გეგმების შეცვლა. მოცემულ ნაშრომში საუბარია ერთის მხრივ, იმ კონკრეტულ ფაქტორებზე, რამაც მოახდინა მომხმარებელზე ზემოქმედება და მეორეს მხრივ, რა გზებს იყენებენ კომპანიები არსებული პრობლემების დასაძლევად.

# THE IMPACT OF THE PANDEMIC ON USER DECISION

**COTNE KATSARAVA**
Head: Associated Professor Rusudan Dalakishvili
David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

## ANNOTATION

The paper reflects the impact of the current pandemic on consumers in the modern world. In particular, I will touch on the impacts of the pandemic on society that have led to changes in user behavior. Consumer decisions have become a new environment and a new challenge for marketers. There is no active environment in which the pandemic has not affected and changed its daily routine. Turned out to be the same issue for marketing, of course, where the consumer changed his decision on many issues and faced a new reality. Until the world exists the marketing world will try to anticipate the future needs of the customer, but when the pandemic, of course suddenly, appeared it managed to make a number of turning points in the mind of the customer. In this paper I will try to convey specifically what factors of the pandemic have managed to impact consumers and what the marketing world is doing to adapt to change. I will also try to make clear the significance of the changes in the consumer's decision and the reasons for these changes. Social obligations and safety measures have taught us the pandemic.

თანამედროვე მსოფლიოში მარკეტინგი უდიდეს და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ეს არის სფერო, რომლის საშუალებითაც კომპანიას შეუძლია მომხმარებელზე მოახდინოს ზეგავლენა და ჩაერიოს მის გადაწყვეტილებაში.

მომხმარებლის გადაწყვეტილება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ესენია: სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური, ინდივიდუალური. თუმცა, ასევე გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია მომხმარებლის განწყობა, ვინაიდან მომხმარებელზე ზეგავლენას ახდენს ისეთი გარე ძალები როგორიცაა, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული. ყიდვასთან დაკავშირებული მისი განწყობა დაბალია. შესაბამისად, მომხმარებელი თავს იკავებს რაიმეს შეძენისგან. სწორედ ეს გარემოება შექმნა პანდემიამ. მომხმარებელთა ერთმა ნაწილმა თვითნებურად მიიღო გადაწყვეტილება, არ განახორციელოს შესყიდვები, ანუ მათ არ აქვთ განწყობა. მეორე ნაწილი თავს იკავებს იმის შიშით, რომ შესაძლებელია, შემოსავალი შეუმცირდეს და ამჯობინებს თავი შეიკავოს შეძენისგან. ხოლო მესამე ნაწილი იძულებულია უარი თქვას რაიმეს შეძენაზე, ვინაიდან მათ დაკარგეს სამსახურები და მათი შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა. ერთად ერთი, რამაც შეიძლება შეცვალოს მომხმარებლის დამოკიდებულება ასეთ დროს, ეს არის კომპანიების მიერ განხორციელებული სხვადასხვა მარკეტინგული სტრატეგიები, რაც მომხმარებელს დაეხმარება მარტივად გადაწყვეტილების მიღებაში.

გლობალურმა პანდემიამ, რომელმაც ერთნაირად მოიცვა მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მიუხედავად მათი ეკონომიკური მდგომარეობისა, პოლიტიკური მრწამსის,

თუ კულტურული თავისებურებებისა, ყველა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. უბიძგა ადამიანებს, შეცვალონ ქცევა და ადაპტირდნენ ახალ გარემო პირობებთან.

მომხმარებელს პირველ რიგში სჭირდება ის პროდუქტი და მომსახურება, რაც აუცილებელია სასიცოცხლოდ. პანდემიამდე მომხმარებელი გადაწყვეტილებებს იღებდა საკუთარი სურვილების, გემოვნებიდან გამომდინარე. ის პროდუქტები, რასაც მომხმარებელი პანდემიამდე ყიდულობდა, ასე თუ ისე დღესაც ხელმისაწვდომია. თუმცა, თუ ადრე კომპანიების მარკეტინგული ძალისხმევები მიმართული იყო იქითკენ, რომ მომხმარებლისთვის შეექმნათ განსხვავებული მარკეტინგული შეგრძნებები დღეს უკვე მომხმარებელთა მოთხოვნილებები შეიზღუდა და ერთფეროვანი გახდა.

მომხმარებლის გადაწყვეტილება პანდემიამდე მიმართული იყო როგორც ყოველდღიურ, ასევე იმ პროდუქტებზე, რისი გამოყენებაც ყოველდღიურობაში ნაკლებად უწევდა. ფართო იყო პროდუქტის მრავალფეროვნება, საიდანაც მომხმარებელს შეეძლო გაეკეთებინა არჩევანი. ამ გარემოებების გათვალისწინებით, კომპანიები იძულებული გახდნენ სრულ ელექტრონულ კომერციაზე გადასული იყვნენ. პანდემიის დაწყებასთან ერთად ადვილი მისახვედრი გახდა ფაქტი, რომ მომხმარებელს მისი გადაწყვეტილებების შეცვლა აუცილებლად მოუწევდა. ეს ყველაფერი მარკეტოლოგთათვის ადვილი მისახვედრი გახდა, მაგრამ მაინც რა არაძირითად ცვლილებებს გამოიწვევდა პანდემია მომხმარებლის გონებაში, ამის მისახვედრად მრავალი თვე გახდა საჭირო. ცალსახა იყო ფაქტი, რომ მომხმარებელი აქცენტს გააკეთებდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, ადვილად ხელმისაწვდომ და ყოველდღიურ ჰიგიენურ პროდუქტებზე.

მარკეტოლოგები მალევე მიხვდნენ, რომ გადამდებ დაავადებაზე მომხმარებელს გაუჩნდებოდა ძლიერი და ახალი რეაქციები. პანდემიის პირობებში მარკეტინგული სამყარო არ იყო მუშაობას მიჩვეული. ადაპტირება ამ პროცესთან უსწრაფესად იყო საჭირო როგორც ერთი, ასევე მეორე მხარისთვის. პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ელექტრონული კომერციის ბაზარი. საჭირო გახდა ბიზნეს პროცესების ციფრულად განხორციელება.

პანდემიის დაწყებისთანავე მომხმარებელთა ის ნაწილი, რომელსაც, მაგალითად, თანხა მოგზაურობისთვის ჰქონდა, დაუფიქრებლად გადაწყვიტა მოგზაურობის სიამოვნება გადაეცვალა მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. ჩვენ ყველანი მალევე მივხვდით, რომ ეს არ იყო პროცესი, რომელიც მალე ჩაცხრებოდა და ამიტომაც მოგვიწევდა უარი გვეთქვა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ჩვენს ფუფუნებაზე იყო გათვლილი. ასევე მრავალმა პროდუქტმა დაკარგა მისი უმთავრესი დანიშნულება. ამის მიზეზი მათი უსარგებლობა გახდა. ჩვენ დღეს საერთოდ არ გვჭირდება მომსახურება, სადაც მრავალი ადამიანი ერთ სივრცეში შეიკრიბება, მაგალითად: კინო, სპორტული ღონისძიებება, კლუბი და კიდევ მრავალი ადგილი, სადაც ხალხს ურთიერთობა უწევდა. არც ერთს ჩამოთვლილთაგან თავისით არ შეუწყვეტია მუშაობა, მაგრამ მომხმარებლის-თვის მათმა მნიშვნელობამ ცოტა ხნით გვერდზე გადაიწია. მომხმარებლის გადაწყვეტილებების ცვლილება 100%-ით მისი დამსახურება არ არის. ის გატარებული რეგულაციები, რაც დღეს მსოფლიოს მასშტაბით და ჩვენს ქვეყანაში არის განხორციელებული, მომხმარებელს აუცილებლად უბიძგებს ცვლილებებისკენ.

მთავარი, რაც მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას არის შიში და დაწესებული ნორმები მოცემულ სიტუაციაში. გარდა სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებისა, მრავალ ადამიანს გაუჩნდებოდა სურვილი გადაწყვეტილება შეეჩერებინა ისევ იმ პროდუქტსა და მომსახურებაზე, რაზეც ადრე აკეთებდნენ არჩევანს. დღეს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე, რომ რაიმე შეიძინოს ნაკლებად მოქმედებს სტიმულირება, რადგან მომხმარებლის გონებაში უკვე მკაფიოდ ჩაიწერა, თუ რა არის მისთვის უპირველესი და რა- მეორეხარისხოვანი.

ასევე მეცნიერებმა ყურადღება გაამახვილეს, თუ როგორ გავლენას მოახდენდა პანდემია კვებაზე და გამოიწვევდა თუ არა დიდ ცვლილებებს მომხმარებლის კვების რაციონში. ისინი ვარაუდობდნენ, რომ გაიზრდებოდა მოთხოვნა ჯანსაღ პროდუქტზე და ხალხს უფრო მოუნდებოდა კვება ნატურალური საკვებით. ეს აზრი არ გამართლდა, რადგან მომხმარებლის ქცევის ცვლილება არ შეეხო არაჯანსაღ საკვებს. პანდემიის გავლენამ ამ საკითხთან მიმართებაში ვერ გაამართლა მეცნიერების იმედები. ის ხალხი, რომელიც სარგებლობდა სწრაფი კვების ობიექტებით, ფაქტობრივად, ისევ დარჩა სწრაფი კვების ხარჯზე, რადგან მათი აზრით, ბრენდის ცნობადობა ბრენდის მაღალ ხარისხსაც ნიშნავს.

მომხმარებლის გადაწყვეტილება პანდემიის პირობებში საკმაოდ შეზღუდულია. ეს არის ის დრო, როცა იშვიათია ინოვაციები. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დღეს მომხმარებლების უდიდესი ნაწილი უფრთხის სიახლეეებს. მომხმარებლები მოითხოვენ ნაცნობ პროდუქტს და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მათ ყველაზე მეტად აფასებენ.

მაშასადამე, პანდემიის პირობებში მსოფლიომ ისეთი გამოცდილება შეიძინა, რომლის შესახებაც მომავალ თაობას, იმედია, წარსულის მაგალითზე მოუწევს სწავლა. ამბობენ, მედალს ორი მხარე აქვსო, ამიტომ ყველა და მათ შორის კომპანიები უნდა ეცადონ ისწავლონ და მიიღონ გამოცდილება არსებული ვითარებიდან. რაც იმას გულისხმობს, რომ ისე უნდა დაგეგმონ თავისი საქმიანობა, რომ მსგავს სიტუაციებში არ მოუწიოთ იმის გადატანა, რაც პანდემიის შემთხვევაში მოხდა. დაგეგმონ ისე, რომ სწორად გაიარონ ადაპტაცია და მარტივად მოერგონ ახალ გარემო ფაქტორებს. გაითვალისწინონ, რომ მომხმარებელთა ქცევის შესწავლა და გათვალისწინება ხელს უწყობს მომხმარებლებს და კომპანიებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, რაც ერთის მხრივ, მომხმარებელთა კმაყოფილების და მეორეს მხრივ, კომპანიების წარმატების საწინდარია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ციფრული მარკეტინგი, გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე, თბილისი, 2018

2. https://www.ginventor.ge/%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D/?v=ba5bf7b327a4

# საქართველოს ინტერესები შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში


**ირაკლი ოყრეშიძე**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლაშა მარკოზაშვილი

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



## ანოტაცია

შავი ზღვის რეგიონი საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი მდგენელია. წინამდებარე მოხსენებაში მიმოვიხილეთ დიდი სახელმწიფოების როლი რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირებაში, მათი ინტერესები და ქმედებები. ვიმსჯელეთ, რა როლს ასრულებს, რა გამოწვევებს და შესაძლებლობებს ხვდება საქართველო ამ პროცესებში და რა ნაბიჯები უნდა გადადგას მომავალი წარმატებისთვის. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მიერ არჩეული დაბალანსების პოლიტიკა ქვეყანას პარტნიორებზე დამოკიდებულს ხდის და თავისი პოზიციების უკეთესად წარმოსაჩენად მას სატრანზიტო ქვეყნის როლის კიდევ უფრო გაღრმავება მოუწევს.



**საკვანძო სიტყვები:**
საქართველო, უსაფრთხოება, შავი ზღვა, ნატო, რუსეთი, ევროკავშირი.


# GEORGIA 'S INTERESTS IN THE CONTEXT OF BLACK SEA SECURITY


**IRAKLI OKRESHIDZE**

Head: Professor Lasha Markozashvili

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia



## ANNOTATION

The black Sea region is one of the main determinants of the formation of Georgia`s geostrategic interest. In following paper, we review the role of international actors in shaping the security architecture of the region, their interests and actions. Raserch aimed understand what kind of role plays Georgia, what challenges and opportunities faces in these processes and what steps in should take for future success. As a result of the analysis: balance policy chosen by Georgia makes the country dependent on its partners and to gain better positions, it will have to further deepen the role of the transit country.



**KEYWORDS:**
Georgia, Security, Black Sea, NATO, Russia, European Union.


ცივი ომის დასრულების შემდგომ, შავი ზღვის რეგიონი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული კონფლიქტური ინტერესების გადაკვეთის სივრცედ იქცა. პატარა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უწევთ იმ გეოპოლიტიკური დინებების და შედეგების გათვალისწინება, რომელიც აღნიშნული დაპირისპირების პირობებში დგინდება. ამის ნათელი დადასტურება იყო რუსეთის მიერ უკრაინაში დაგეგმილი და განხორციელებული ჰიბრიდული ოპერაცია და ის აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს მისამართით ახორციელებს.

განვითარებული პროცესებიდან ცხადი ხდება, საქართველოს, იმისათვის რომ გადარჩეს უწევს ერთი მხრივ, დასავლეთთან ალიანსში დააბალანსოს რუსეთიდან მომავალი საფრთხეები, ხოლო მეორე მხრივ- ეკონომიკური ფუნქციის მოძებნით გახდეს აქტუალური საერთაშორისო პოლიტიკურ რუკაზე. ამ უკანასკნელი ამოცანის შესასრულებლად შავი ზღვა შესაძლებელია მნიშვნელოვანი საშუალება იყოს, თუმცა, რამდენად გამოიყენებს შეზღუდული ძალის და რესურსების მქონე ქვეყანა საზღვაო სივრცეს, რთული სათქმელია. წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ამ გამოწვევებისა და შესაძლებლობების მოკლე ანალიზია. გვესმის, რომ მსგავსი კომპლექსური თემა სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს, მაგრამ იმედი გვაქვს, ეს ნაშრომი დისკუსიის წახალისებასა და დამატებითი მოსაზრებების გაჩენას ხელს შეუწყობს.

## აქტორთა ინტერესები შავი ზღვის რეგიონში და მათი გადაკვეთა საქართველოს ინტერესებთან

შავი ზღვა ინტერესთა გადაკვეთის წერტილი საუკუნეების მანძილზე იყო. რეგიონის დიდი ქვეყნები, ისეთები როგორებიც არიან რუსეთი და თურქეთი, გავლენების მოსაპოვებლად ხანგრძლივ ომებს, პოლიტიკურ და დიპლომატიურ მანიპულაციებს აქტიურად მიმართავდნენ. ცივი ომის დროს, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ნაწილებში, გავლენათა ცენტრი ორ ზე-სახელმწიფოს შორის, რკინის ფარდაზე გადიოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს შავ ზღვაზე აღმოსავლეთის ბლოკის გავლენა უფრო დიდი იყო, თუმცა 90-იანებიდან მოყოლებული აღნიშნული ბალანსი რამდენჯერმე შეიცვალა. ყირიმის ოკუპაციით კრემლმა ორმხრივი მესიჯი გაგზავნა, ერთი მხრივ, დასავლეთს უთხრა, რომ საკუთარი

გავლენის სფეროების დათმობას არ აპირებს, ხოლო უკრაინას, საქართველოს და სხვა შედარებით სუსტ ქვეყნებს შეახსენა, ცნობილი რეალისტური ფორმულა: „ძლიერი იღებს იმას, რაც სურს, ხოლო სუსტი, იტანჯება ისე როგორც უნდა დაიტანჯოს."

დღეის მდგომარეობით, შავი ზღვის აუზში მყიფე ბალანსია. ნატოსა და ევროკავშირში აცნობიერებენ, რომ რუსეთისთვის ასპარეზის მთლიანად დათმობა დასავლეთის სტრატეგიული მიზნებისთვის დამღუპველი იქნება, თუმცა, ასევე ხვდებიან, რომ მათ ზემოქმედების მხოლოდ შეზღუდული ბერკეტები გააჩნიათ.

ამ გზაგასაყარზე საქართველოს არჩევანი კიდევ უფრო მცირდება. პოლიტიკის შემოქმედნი თბილისში კარგად აცნობიერებენ, რომ მათი თითოეული ქმედება შესაძლებელია კრემლმა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს, ხოლო შესაძლო აგრესია, რომელიც რუსეთმა მომავალში გამოიყენოს, ალბათ ვერ მოიტანს დასავლელი პარტნიორების თანაზომად მხარდაჭერას. ამის ნათელი მაგალითები იყო 2008 წლის ხუთდღიანი ომი და უკრაინაში მოგვიანებით განვითარებული პროცესები.

პრობლემური იქნება რეგიონში მესამე აქტორის, ჩინეთის გამოჩენაც, ვინაიდან რუსეთის მომიჯნავე რეგიონების სტრატეგია, ისევე როგორც აშშ-ის ხისტი პოლიტიკა პეკინის წინააღმდეგ აღნიშნულს შეეწინააღმდეგება. ამდენად, თბილისს რომც სურდეს დიდი რაოდენობით ჩინური კაპიტალისა და ტვირთის საქართველოში შემოტანა და შემდგომ შავი ზღვის გავლით ევროპაში გატანა, ეს ალბათ ძალიან რთული ამოცანა იქნება.

## აქტორთა ინტერესები შავი ზღვის რეგიონში და მათი გადაკვეთა საქართველოს ინტერესებთან

„2004 წელს ბულგარეთისა და რუმინეთის ალიანსში გაწევრიანების შემდეგ ნატო შავი ზღვის რეგიონულ აქტორად იქცა, ხოლო რეგიონის უსაფრთხოება ნატოს დღის წესრიგის პრიორიტეტი გახდა."[1] ნატოსთვის შავი ზღვის აუზმა სამხედრო თვალსაზრისით, გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ყირიმის მოვლენებმა დასავლეთის ყურადღება კიდევ უფრო გაზარდა. აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ნატოს შავი ზღვის აუზისადმი მრავალი სამხედრო ინიციატივა ჰქონდა. მათ შორის, ხაზგასასმელია „ნატოს სურვილი შავი ზღვის აუზში ემოქმედა Operation Active Endeavour (OAE)-ის ფარგლებში,"[2] საქართველო, როგორც კავკასიის „ჩემპიონი დემოკრატიაში", ალიანსის ბუნებრივ მეკავშირედ მოიაზრებოდა, რაც კონცეპტუალურ დონეზე ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დამატებითი წამახალისებელი ფაქტორია. გეოგრაფია ამ შემთხვევაში ოფიციალური თბილისისთვის სტრატეგიული მხარდამჭერია, რომელზეც შეიძლება უსაფრთხოების არქიტექტურა აიგოს.

უნდა აღინიშნოს საქართველო-ნატოს მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ქვეყნის ჩართულობა ალიანსის ეგიდით გამართულ სხვადასხვა სამხედრო სწავლებაში. სასურველი იქნება, თუ მომავალში წვრთნების ფოკუსი შავი ზღვის აუზზე იქნება ორიენტირებული. პოზიტიური ძვრები უკვე შეინიშნება, 2014 წლის შემდგომ, ამ მიმართულებით ნატოს წვრთნების ინტენსივობა საგრძნობლად გაიზარდა.[3]

ნატოს 2017 წლის რეზოლუციაში ღიად არის დაფიქსირებული ალიანსის საქართველოსადმი მხადაჭერა, რაც აუცილებლად გულისხმობს შავი ზღვის რეგიონში რუსეთის აგრესიული ქმედებების შეკავებას. იმავე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დასავლელ პარტნიორებს რუსეთიდან მომავალი საფრთხეების დასაბალანსებლად პარტნიორთა წრის გაძლიერება ესაჭიროება, საქართველო კი ამ წრის ბუნებრივი ნაწილია.[4]

სამომავლოდ ევროკავშირის როგორც რეგიონში ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკური აქტორის როლი უმნიშვნელოვანესი იქნება. ენერგო და სავაჭრო პროექტების წარმატება, რომლებიც შავ ზღვაში ხორციელდება, ან მომავალში განხორციელდება დიდწილად სწორედ ევროკავშირის მონაწილეობის დონეზე იქნება დამოკიდებული. ამდენად, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი, შესაძლებელია, ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარისხზე იყოს დამოკიდებული.

შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მიერ განხორციელებული უპრეცედენტო მილიტარიზაცია, რაც გამოიხატება როგორც ფლოტის მოდერნიზაციით, ისე სევასტოპოლის პორტის განახლებითა და სარაკეტო სისტემების გაძლიერებით, კრემლის სტატეგიული ზრახვების სერიოზულობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. ამ სტრატეგიის უმთავრესი ამოცანა დასავლეთის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენების შესუსტება და ევროატლანტიკურ სისტემებში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების დემოტივირებაა.[5]

არსებული ტენდენციით, მუდმივი სამხედრო დაძაბულობის შექმნით, რუსეთი რეგიონის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში არასტაბილურობის შეგრძნებას აჩენს. შედეგად მცირდება ქვეყანაში ინვესტირების მსურველთა რაოდენობა, ეკონომიკური გამოწვევები კი საზოგადოებას კრემლიდან წამოსული ჰიბრიდული საფრთხეებისადმი მოწყვლადს ხდის.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საერთაშორისო აქტორის, ჩინეთის ინტერესები რეგიონში. ეს ინტერესები პეკინის გლობალური „სარტყლისა და გზის" სტრატეგიის ფარგლებში უნდა განვიხილოთ, რომელშიც შედის როგორც სახმელეთო, ისე საგზაო კომპონენტები. ჩინური სახელმწიფო კომპანიები საქართველოში რამდენიმე ინფრასტრუქტურულ პროექტს უკვე ახორციელებენ, გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ჩინური კომპანია „ფოვერ ჩაინა"

[1] ანა ჩიტალაძე. ,,შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება:თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე", საქართველოს პოლიტკის ინსტიტუტი, გამოცემა No.7, (2018) გვ.3

[2] ანა ჩიტალაძე. ,,შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება:თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე", საქართველოს პოლიტკის ინსტიტუტი, გამოცემა No.7, (2018) გვ.4

[3] ანა ჩიტალაძე. ,,შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება:თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე", საქართველოს პოლიტკის ინსტიტუტი, გამოცემა No.7, (2018) გვ.4

[4] NATO Parliamentary Assembly. ,,NATO PA backs resolute response to security challenges on eastern and southern borders" (2017) url: https://www.nato-pa.int/news/nato-pa-backs-resolute-response-security-challenges-eastern-and-southern-borders

[5] შოთა ღვინერია. ,,შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში", საქართველოს სტარატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთიერთობათა კვლევის ფონდი, (2016) გვ.6

იყო ანაკლიის პორტიის აშენების მთავარი პრეტენდენტი, სანამ მის ადგილს მოულოდნელად ამერიკული კონსორციუმი არ დაიკავებდა. ჩინურმა ინტერესებმა რეგიონში მაღალი ალბათობით როგორც რუსეთის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების უკმაყოფილება უნდა გამოიწვიოს, ამდენად, ეს ორი მხარე ყველანაირად ეცდება, პეკინს თავისი გეგმების განხორციელების საშუალება არ მისცეს.

## საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება და შავი ზღვის რეგიონი

რიჩარდ ულმანი, თავის ცნობილ ესსეში სვამს ასეთ კითხვებს: ,,რისი დათმობისთვის ვართ მზად მეტი უსაფრთხოების მისაღებად? როგორ ვაფასებთ კომპრომისის შესაძლებლობას უსაფრთხოებასა და სხვა ღირებულებებს შორის?"[6] ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ერთადერთი გზა იყოს იმისთვის, რომ საქართველოს მსგავსმა პატარა ქვეყანამ საერთაშორისო სისტემაში თავი დაცულად იგრძნოს.

როგორც აღვნიშნეთ, შავი ზღვა საქართველოსთვის შესაძლებლობაც არის და გამოწვევაც. საქართველოს თავისი ეკონომიკური სურვილების დაკმაყოფილებისთვის შესაძლებელია, პოლიტიკური ინტერესის გაწირვა მოუხდეს და პირიქით. მაგალითად, უნდა შემოუშვას საქართველოს მთავრობამ დიდი რაოდენობით ჩინური ინვესტიცია ეკონომიკის განვითარებისთვის, თუ ამით დასავლელ პარტნიორებს გაანაწყენებს? კითხვაზე პასუხი ცალსახა არ არის, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთი საქართველოს ეკონომიკურ მოწყვლადობას საკუთარი მიზნებისთვის იყენებს, ხოლო დასავლელი პარტნიორები კრემლის აგრესიული პოლიტიკის დაბალანსებაში გვეხმარებიან.

ოკუპირებულ აფხაზეთს შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ორმაგი დატვირთვა აქვს. პირველი, რუსებმა აგრესიის აქტით და დე-ფაქტო აფხაზეთის აღიარებით, საქართველოსა და დასავლეთ პარტნიორებზე მანიპულაციის მექანიზმი გაიჩინეს. მეორე, შავი ზღვის აუზზე გასასვლელი კიდევ ერთი ანკლავი შექმნა. როგორც ცნობილია, ,,რუსეთს ოკუპირებული გალის რაიონში საზენიტო რაკეტები აქვს განთავსებული, რითაც სრულად აკონტროლებენ შავი ზღვის აკვატორიის აღმოსავლეთს. კრემლი იტოვებს საშუალებას განათავსოს სარაკეტო კომპლექსი „ბასტიონი", რისი საშუალებითაც შეეძლებათ სანაპიროდან 300 კილომეტრის მანძილზე ნებისმიერი წყალზედა დანადგარის განადგურება. ასევე ყურადსაღებია „ბომბორას" აეროპორტიც, სადაც სარაკეტო დანადგარების განთავსების შედეგად მთელი შავი ზღვის აუზის გაკონტროლებას შეძლებს."[7]

შავი ზღვის რეგიონში დღეს არსებული სტატუს-ქვო საქართველოს რთულ მდგომარეობაში აყენებს. ცხადია, დასავლელი პარტნიორების აქტიურობის გარეშე, ქვეყნის განვითარება როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით რთული იქნება. თვითნებურ ნაბიჯებს, მაგ. თავდაცვის ძალების მოდერნიზებას, შესაძლებელია, რუსეთის მხრიდან პროვოკაციული ქმედებები მოჰყვეს. ამ პროვოკაციებზე პასუხის გაცემა კი აშშ-ნატოს ჩართულობის გარეშე შეუსრულებელი ამოცანაა. ეს კარგად გამოჩნდა 2008 წელს. ამ მხრივ ბევრი რამ აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის საერთაშორისო სისტემაში პოზიციონირებაზე იქნება დამოკიდებული. წინა ორი ადმინისტრაცია რეგიონის მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენდა და შინაარსით უფრო იზოლაციონისტური პოლიტიკის მომხრე იყო. თუ პრეზიდენტი ბაიდენი გადაწყვეტს ამერიკას „მსოფლიო პოლიციელის" როლი დაუბრუნოს, მაშინ საქართველოს მეტი აქტიურობა მართებს, რათა პარტნიორს შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საკუთარი მნიშვნელობა დაანახოს.

არსებული მოცემულობით, საქართველომ ენერგო რესურსების გამტარი ქვეყნის ფუნქციური როლი მოირგო. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ფოთის და ბათუმის პორტის როლი. ასევე დიდი პოტენციალი ექნებოდა ანაკლიის პორტს, რომლის აშენების შემთხვევაშიც შესაძლებელი გახდებოდა აუზის სხვა ღრმაწყლოვანი პორტებისთვის კონკურენციის გაწევა. რუსეთს რომ აღნიშნული პორტის აშენების შესაძლებლობა არ ხიბლავდა, თავიდანვე ცნობილი იყო, თუმცა, რამდენად ჯდებოდა მისი მშენებლობა აშშ-ის ინტერესებში, რომლის პრინციპული ამოცანებიდან ერთ-ერთი, ევროკავშირში ჩინური ტვირთის შედინების შემცირება უნდა ყოფილიყო (ხოლო ანაკლია მას გაზრდიდა), ასევე საკითხავია. საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე გაზსადენი და ნავთობსადენი, ისევე როგორც რკინიგზა და კრიტიკული მნიშვნელობის სხვა გზაგამტარი გადის. შესაბამისად, უახლოეს მომავალში სატრანზიტო ქვეყნის როლის გამტკიცება და კიდევ უფრო გაღრმავება ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიულ ამოცანად უნდა დარჩეს. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციას და მის შედეგს, რომელიც სომხეთ-აზერბაიჯანს შორის საშუალო და შორეულ პერსპექტივაში მინიმუმ სატრანზიტო თანამშრომლობის შესაძლებლობის ფანჯარას ხსნის.

ამრიგად, ნაშრომში შევეცადეთ შავი ზღვის უსაფრთხოებაში საქართველოს ადგილი წარმოგვეჩინა. ანალიზის შედეგად, კონტექსტის მდგენელი რამდენიმე ძირითადი ფაქტორი გამოიკვეთა. აღინიშნა, რომ რუსეთის თავგასულ პოლიტიკას დასავლეთმა პროპორციული პასუხი ვერ გასცა, შესაბამისად, საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნები სტრატეგიულ გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ინტერეგნუმის პერიოდი ამ გაურკვევლობას კიდევ უფრო ამძაფრებს. თბილისში, ისევე როგორც სხვა დედაქალაქებში ელიან, რა სტრატეგიას აირჩევს ახლადარჩეული პრეზიდენტი ჯო ბაიდანი, როგორი იქნება მისი დამოკიდებულება რუსეთთან და ჩინეთთან, იქნება ის უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკაში, თუ საპრეზიდენტო ვადის ძირითად დროს შიდა პოლიტიკურ საკითხებს დაუთმობს. აშშ-რუსეთის დამოკიდებულება განაპირობებს საქართველოს მომავალ სამხედრო და პოლიტიკურ განვითარებას, ხოლო აშშ-ჩინეთის ურთიერთობა საქართველოს ეკონომიკური ვექტორის ერთ-ერთი ძირითადი მსაზღვრელი იქნება. ევროკავშირის კონტექსტში მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს როგორც ტრანზიტული ქვეყნის როლის გაღრმავება. უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური სურვილების დაბალანსება მომავალშიც დარჩება შავი ზღვის აუზის კონტექსტში საქართველოს მნიშვნელოვანი გამოწვევა.

---

[6] Ullman, Richard H. "Redefining Security." International Security 8, no. 1 (1983): 129-53. Accessed November 29, 2020. doi:10.2307/2538489.

[7] ირაკლი ალადაშვილი. ,,ოკუპირებული აფხაზეთი და ყირიმი შავი ზღვის გასაკონტროლებლად..." (2014)

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჩიტალაძე ანა, ,,შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება:თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N.7 (2018)

2. ალადაშვილი ირაკლი, ,,ოკუპირებული აფხაზეთი და ყირიმი შავი ზღვის გასაკონტროლებლად...” (2014)

3. Ullman, Richard H. "Redefining Security." International Security 8, no. 1 (1983): 129-53. Accessed November 29, 2020. doi:10.2307/2538489.

4. NATO Parliamentary Assembly. ,,NATO PA backs resolute response to security challenges on eastern and southern borders“ (2017) url: https://www.nato-pa.int/news/nato-pa-backs-resolute-response-security-challenges-eastern-and-southern-borders

5. ღვინერია შოთა, ,,შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში“, საქართველოს სტარატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთიერთობათა კვლევის ფონდი, (2016)

6. კურტანიძე ნინო, ,,შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება’’ YATA Georgia (2018)

7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. „შავი ზღვა - სამხედრო ბალანსი და თანამშრომლობა“ (2015) url: https://mod.gov.ge/ge/news/read/4270/shavi-zgva-samxedro-balansi-da-tanamshromloba

8. Europe For Georgia. ,,შავი ზღვის უსაფრთხოება - შანსი საქართველოსთვის თუ მშვიდობის შორეული პერსპექტივა (2017) url: http://eugeorgia.info/ka/article/635/shavi-zgvis-usafrtxoeba---shansi-saqartvelostvis-tu-mshvidobisshoreuliperspeqtiva/?fbclid=IwAR25Fsbz8L7q2sFIJadWZs4FCDZeH8Yd2TUV51s4zepuMLXZKhCl6gzXQ0

9. რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი. ,,საერთაშორისო ურთიერთბები მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელემწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, (2011)

# მოტივაციის პრობლემა ქართულ საჯარო უწყებებში

**ბუხუტი ჩადუნელი**
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შალვა ჯულაყიძე
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

## ანოტაცია

ადამიანური რესურსების მართვა, შერჩევა და შერჩეულებისთვის მოტივაციის შენარჩუნება საჯარო სექტორმა აუცილებლად უნდა შეძლოს, რადგან მოტივაცია არის ფენომენი, მოქმედების ბიძგი, რაც ყოველთვის საჭიროა საქმის განსახორციელებლად. მოტივაცია საჯარო სექტორს შესძენს მდგრადობას, ყოვლისმომცველობას, მეტ სამუშაო ეფექტურობას და შედეგს მაქსიმალურად მცირე ხანში დადებს. მნიშვნელოვანია რეფორმა, რაც განსახორციელებელია ქართულ საჯარო სტუქტურულ ერთეულებში. იგი დასაქმებულებს შესძენს მეტ თავისუფალ სივრცეს და მზაობას ინოვაციებისკენ. მოტივაცია არის მენეჯერის მართვა და მიდგომა, რომელმაც თანამშრომელებზე დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს და არა პირიქით, დემოტივატორი გახდეს. მოტივაცია არის დღევანდელი საქართველოს საჯარო უწყებების პრობლემა, რაც ფიქრს, გადაჭრის გზებს და საშუალებებს მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:**
მოტივაცია, საჯარო სტუქტურული ერთეულები, ბიუროკრატია, კერძო სექტორი, მენეჯერი, დემოტივატორი, სახელმწიფო პოლიტიკა, საჯარო მოხელე, კონკურენცია, განათლება, ადამიანური რესურსები, პროფესიული ცოდნა, კვალიფიკაცია.

# THE PROBLEM OF MOTIVATION IN GEORGIAN PUBLIC AGENCIES

**BUKHUTI CHADUNELI**
Head: Associate Professor Shalva Julakidze
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

## ANNOTATION

The public sector must be able to manage human resources, select employees and maintain motivation in the selected ones, because motivation is a phenomenon, the impetus for action, which is essential to do business. Motivation will give the public sector sustainability, inclusiveness, greater work efficiency which will be achieved in the shortest possible time. The Reform, which is implemented in Georgian public structural units, is important. This reform will give employees more free space and readiness for innovation. Motivation greatly depends on the management approaches which manager applies towards the employees .The management approach should have a positive impact on employees, it should not become the cause for the employees demotivation.

**KEYWORDS:**
Motivation, Public structural units, Bureaucracy, private sector, manager, DE motivator, State policy, Public servant, Competition, Education, Human Resources, Professional knowledge, Qualification.

დღეისათვის ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოტივირებული თანამშრომელი. რაც უფრო მაღალია თანამშრომლის მოტივაციის დონე, მით მეტია სამუშაოთი კმაყოფილება და მომგებიანობის ხარისხი. ადამიანზე სხვადასხვა მოტივები, სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორები ახდენს გავლენას, ამიტომაც მოტივაციის ერთი კონკრეტული განსაზღვრება არ არსებობს. მოტივაცია არის ის, რაც მოქმედებისკენ უბიძგებს ადამიანს, იგი არის ადამიანის ფსიქოლოგიური და გარე ფაქტორების საფუძველზე წაქეზება. არ არსებობს ერთი ისეთი საუკეთესო სტრატეგია მოტივაციის, რომელიც ყველას მოქმედებისკენ და სამუშაოს სრულად შესრულებას აიძულებს. რადგან სიტყვა „იძულება" ვახსენეთ, ვიტყვით იმასაც, რომ მოტივაციის როგორც იძულების პრობლემა, საჯარო სტრუქტურული ერთეულებისთვის ძალზე დამახასიათებელია. ჩვენი ნაშრომის მთავარ პრობლებას სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს. რატომ არის მოტივაციის პრობლემა უფრო მეტად საჯარო სექტორში, ვიდრე კერძო სექტორში? საფიქრებელია, რომ საჯარო სექტორი არის დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობა, საჯარო სექტორი ასევე წარმოადგენს რუტინულ საქმესაც და სწორედ ეს დამოკიდებულება უქმნით დისკომფორტს მომუშავეებს და დიდ დემოტივატორად გვევლინება ქართულ საჯარო სტრუქტურებში. ქართულ საჯარო სამსახურში დასაქმებულებს აქვთ უამრავი ისეთი გამოწვევა, როგორიც არის ცოდნის, კვალიფიკაციის, მძიმე სამუშაო გრაფიკის, პოზიციის შეუსაბამობის და სხვა მსგავსი პრობლემები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საჯარო უწყებებში ყოველთვის არის მოტივაციის

ხელშემწყობი რესურსების ძებნა და ნახვა უფრო რთული, ვიდრე ეს კერძო სექტორშია. შევეცდებით დეტალურად წარმოვადგინოთ ის პრობლემები და გამოწვევები, რაც ქართულ საჯარო სექტორში მოტივაციის პრობლემას შეეხება და ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე ვისაუბროთ.

სანამ უშუალოდ საჯარო და კერძო სექტორში მოტივაციის განმასხვავებლებს წარმოვადგენდეთ, მანამდე მთავარია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ კერძო და საჯარო სექტორი. მათი განმარტება შემდეგნაირად გამოიყურება: საჯარო სექტორი ეს არის ორგანიზაციები, რომლებიც შედიან სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემადგენლობაში. ეს ყველაფერი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით და იმართება სახელმწიფოს ვერტიკალის მიერ. ხოლო კერძო სექტორი ეს არის ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავს კერძო მმართველები და ისინი ორიენტირებულნი არიან პირად მოგებაზე. ამ განმარტებებიდან ვხვდებით, რომ საჯარო და კერძო სტრუქტურებს აქვთ განსხვავებული მიზნები, მოტივები, მმართველობითი მიდგომები და რაც მთავარია, განსხვავებული შედეგები. კერძო სექტორში ორგანიზაციებს აქვთ მეტი თავისუფლება იმოქმედონ სიტუაციაში არსებული თავიანთი შეუზღუდავი მოქმედებებით, ხოლო საჯარო სექტორში არსებული ორგანიზაციებში მართვა წარმოებს წესდებით, კანონებით და სტრუქტურული ბიუროკრატიული ანგარიშგებით. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ კერძო სექტორში არ ემორჩილებიან წესებს და კანონებს, უბრალოდ, იქ ნაკლებად ხდება წესებსა და კანონებზე ყურადღების მიპყრობა, მთავარი მომგებიანი შედეგის მიღებაა. ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ შედეგი საჯარო სექტორშიც მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ხშირად შედეგი შესაძლოა არ დადგეს, მაგრამ ეს გამოცდილების და ახალი რეფორმების გააზრების აუცილებლობას დაგვანახებს საჯარო უწყებებში. რადგანაც საჯარო სექტორი მეტად ჩაკეტილია და ნაკლებ თავისუფლებას მოიაზრებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამუშაოთი კმაყოფილება და მოტივაცია განსხვავებულია კერძო სექტორში დასაქმებულებსა და საჯარო სექტორში მომუშავეებს შორის. რა განსხვავებებიც და მახასიათებლებიც უნდა ჰქონდეს კერძო და საჯარო სექტორს, ეს ორივე სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია და მათი მთავარი ამოცანაა ქვეყანაში არსებული დოვლათის გაზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება. საჯარო სექტორის მისია, ფართოდ რომ გავშალოთ, არის ადამიანების სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა. ამიტომაც არის, რომ საჯარო სექტორი უფრო სიღრმისეულად და დეტალურად სწავლობს საკითხს და მის მნიშვნელობას უფრო უღრმავდება, ვიდრე ეს კერძო სექტორშია. საქსტატის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2018 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 1 694. 2 ათასი პირი შეადგინა[1], აქედან საჯარო სექტორის წილი 17,7%-ია, ეს ციფრებში ასე გამოიყურება 299,8 ათასი კაცი, ხოლო დანარჩენი 82,3% კი - კერძო სექტორშია დასაქმებული. თუმცა, კერძო სექტორში დასაქმებულთა ნახევარი თვითდასაქმებულია, თვითდასაქმება კი საოჯახო მეურნეობაში უსასყიდლოდ მუშაობას გულისხმობს. 2018 წელს საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის (15 და მეტი წლის პირების) - 9,88% შეადგინა, ხოლო მთლიანი მოსახლეობის 8,05%-ია. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ არამარტო მოტივაციის პრობლემაა საჯარო სექტორში, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვაა საჭირო, რადგან 8,05% მოსახლეობაზე გაანგარიშებით რომ ვიანგარიშოთ, 3,7 მილიონ ადამიანზე ეს არის 298 960 ადამიანი. ვფიქრობთ, ეს მონაცემი მხოლოდ ციფრები არ არის, სახელმწიფო არ უნდა ცდილობდეს, რომ კერძო სექტორი წაახალისოს, მან უნდა დააბალანსოს კერძო და საჯარო სექტორს შორის წახალისება. მეტიც, შესაძლებელია, ნაკლები წახალისება გაუწიოს კერძო სექტორს გარკვეული დროით. ეს, რა თქმა უნდა, არც ასეთი მარტივია, რადგან მთელ რიგი ეკონომიკურ პროცესების ფორმირება გახდება საჭირო. სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულების წახალისება და მოტივირება ქვეყნის ხვალინდელი დღის კეთილდღეობის მომტანია, რადგან საჯარო სექტორი ნიშნავს ხალხს, ხალხზე ზრუნვას და ხალხის დიდი რაოდენობა, რომელიც ერთმანეთზე ზრუნავს, საჯარო სექტორს მეტად აამუშავებს, მისცემს ბიძგს, მოტივაციის გამყარების თეორიას საჯარო სტრუქტურულ ერთეულებში.

ქვეყნის მეთაურობა ნიშნავს იყო უმაღლესი რგოლის მენეჯერი. მენეჯერი უნდა მიხვდეს, რომ თანამშრომელი, ანუ საჯარო მოხელე უნდა იყოს კარგად და ეს იქნება მისი მოტივაცია. რადგან სახელმწიფო ზრუნავს მასზე, მას გაუჩნდება უკუგების შეგრძნება და მოტივაციის შემცველი ვალდებულება, რომ იმუშაოს კარგად. ამით მივცემთ მოტივაციას საჯარო მოხელეს და ავამუშავებთ კარგად. ეს ერთგვარი ბანკის მაგალითს ჰგავს. ბანკის მთავარი მისია არის, რომ ხარსხიანად მოემსახუროს მომხმარებელს. ბანკის მენეჯერს კვლევის საფუძველზე დაუსვეს კითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია, კლიენტის (მომხმარებლის) მომსახურება თუ თანამშრომლების კარგად ყოფნა? მენეჯერის პასუხი სწორი აღმოჩნდა, რადგან მან თანამშრომლების კარგად და მოტივირებულად ყოფნა აირჩია. სწორედ ასეა საჯარო სექტორშიც, ეს ერთგვარი მარკეტინგული სვლაა - შენ ზრუნავ შენს მომუშავეებზე და ისინიც ზრუნავენ შენზე. საქართველოში[2] (2018 წლის მონაცემებით) აქტიური საჯარო საწარმოების რაოდენობა დაახლოებით 3402 ერთეულს შეადგენდა, აქედან 2852 სახელმწიფო საწარმოა, ხოლო 551- მუნიციპალური. ამ მონაცემებიდან ჩანს, თუ როგორი ყურადღება ეთმობა საჯარო სექტორს. რომ ვიმსჯელოთ საჯარო სექტორის შრომის ანაზღაურებაზე, 2018[3] წლის მონაცემებით ასე გამოიყურება: მან 2104,0 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 5,12%-ია.

როგორც აღვნიშნეთ, მოტივაციის პრობლემა საჯარო სექტორში იმიტომ შეიმჩნევა, რომ ბევრი დემოტივატორი მოქმედებს სამუშაო გარემოზე. სამუშაოთი უკმაყოფილება, რა თქმა უნდა, დემოტივატორია მომუშავესთვის. საჯარო სექტორი ვერ არეგულირებს, რა სურს და რისთვის მუშაობს მასთან დასაქმებული. მაგალითად: დასაქმებულისთვის შესაძლო მოტივაციას ხელფასი, კარგი გარემო, სამსახურებრივი მოგზაურობა, განათლება, განვითარება, მუდმივი სამუშაო პროცესი, აღიარება, ოჯახი, დაწინაურება, ურთიერთობები, სტატუსი, მადლობა, ფასიანი საჩუქრები და კიდევ უამრავი რამ შეიძლება წარმოადგენდეს. მთავარია,

[1] საქსტატის მონაცემები http://www.tabula.ge/ge/story/155038-dasaqmeba-sajaro-seqtorshi-ramdenad-didia-biurokratia.
[2] საქსტატის მონაცემები:მონაცემები http://www.tabula.ge/ge/story/155038-dasaqmeba-sajaro-seqtorshi-ramdenad-didia-biurokratia.
[3] საქსტატის მონაცემები: ერთიანი ბიუჯეტის შრომის ანაზღაურება (მლნ ლარი, %)

მენეჯერებმა გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ ადამიანთა მოთხოვნები ერთმანეთისგან განსხვავებულია და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომებს. საქართველოში კი ამის კონტროლის მექანიზმი თითქმის არ არსებობს. ბევრი მენეჯერი იტყვის, რატომ უნდა დაიწყოს ინდივიდუალური მიდგომა, თუ შედეგი მაინც აქვს, მაგრამ აქ მთავარია ის, თუ რის ხარჯზეა შედეგი, მოტივაციაზე თუ იძულებით სამუშაოზე. ავიღოთ მარტივი მაგალითი: საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. მეც მასში შემავალი პატარა საჯარო მომუშავე პირი გახლავართ. რა არის ჩემთვის მოტივაცია? დღეს აკადემიაში სწავლისთვის, პირველ რიგში მზაობა უკვე მოტივაცია იყო ჩემთვის. აქ სწავლისთვის მთავარი მოტივაცია ჩემთვის არის ვიყო ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, რაშიც აკადემიამ ნამდვილად მოტივაცია მომცა. ასევე ყველასთვის, ისევე როგორც ჩემთვის მოტივაციაა ატარო ღირსეული სახელი და გერქვას იუნკერი. ეს ყველაფერი მოტივაციაა იმისა, გიყვარდეს შენი ქვეყანა და ემსახურებოდე მას. აკადემიაში მოტივაციის ასამაღლებლად დაწესებულია მადლობის სიგელები, სხვადასხვა ფასიანი და ღირებული საშუალებები, მაგრამ ეს ყველასთვის მოტივაცია არ არის. ზოგადად ყველა ადამიანი განსხვავებული მიზნით არის მოსული აკადემიაში, ზოგს ოფიცრობა და სამხედრო კარიერა, ზოგსაც მატერიალური უზრუნველყოფა, ზოგს სტატუსი, ზოგს დიპლომი აძლევს მოტივაციას. აკადემიაში მოტივაციის საკითხი მეტ-ნაკლებად დარეგულირებულია და მუშაობის პროცესშია, მენეჯმენტი ცდილობს ეს საჯარო სტრუქტურა მეტად მოტივირებული გახადოს. ვფიქრობ, ჩემი გამოცდილებითა და განათლებით ყველა ქართული საჯარო სტრუქტურის დემოტივატორი მომუშავესთვის არის მატერიალური სარგო, რა თქმა უნდა, ამ სარგოს გაზრდა არ უნდა იყოს არაადეკვატური. ვფიქრობთ, მეორე პრობლემას დასაქმებულებისთვის საჯარო სივცრეში სამუშაო გარემო წარმოადგენს. ასევე, საჯარო სექტორის პრობლემას წარმოადგენს ჩაკეტილობა და შეზღუდულობა, ანუ საჯარო სექტორი ადამიანს, მომუშავეს გარკვეულ ჩარჩოებს უწესებს. ეს, რა თქმა, უნდა მოტივაციას ვერ აუმაღლებს დასაქმებულს. ვფიქრობთ, მას მეტი საშუალება უნდა მიეცეს განვითარებისთვის. მენეჯერის მოსაზრებით, ის აძლევს საშუალებას, რომ განვითარდეს, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ აძლევს გზას და არა საშულებას. ეს გზა შესაძლოა, დასაქმებულისთვის არ გადის განვითარებაზე, მან თავად ნახოს საშუალება განვითარების, (ეს კანონიერ და მოწესრიგებულ საშუალებას გულისხმობს.) არ ვამტკიცებთ, რომ თავისუფლება ყველაფერში უნდა გაიზარდოს, არ უცდიათ საჯარო სივრცეში მსგავსად იმუშაონ დასაქმებულებმა როგორც კერძო სექტორში? - არა, არ უცდით, რადგან შიში იმისა, რომ ეს სისტემური მკაცრი ბიუროკრატია დაიმსხვრეს, ვიღაცისთვის არაკომფორტულია. ამიტომ დროულად უნდა მივხვდეთ, რომ ისეთი ერისთვის როგორც საქართველოა, მკაცრი და უზომო ბიუროკრატია დამღუპველია. ბიუროკრატიისთვის დამახასითებელია ქრთამი და ნეპოტიზმი. რა თქმა უნდა, ეს კერძო სექტორშიც არის, მაგრამ თუ კარგი მენეჯერი ჰყავს კერძო სექტორს, ის მაშინვე ამბობს, რომ მისთვის მოგებაა მნიშვნელოვანი და ისეთი ნათესავი არ სჭირდება, რომელიც მოგებას გაუნახევრებს. საჯარო სექტორში კი რა ხდება - რადგან იცი, რომ ეს შენი საკუთრება არაა, ინტერესიც ნაკლებია. სწორედ ესაა საჯარო სექტორის ე.წ. ,,აქილევსისი ქუსლი"- ვერ მიხვდა, რომ ეს ყველაფერი გაითავისოს როგორც საკუთარი. მენეჯერების მთავარი მისია საჯარო სექტორში უნდა იყოს, რომ მომუშავეს აგრძნობინოს, რასაც აკეთებს, სადაც მუშაობს, არის მისი, თუნდაც ნაწილობრივ. ვახსენეთ მეტი თავისუფლება და არ მინდა ეს დამახინჯებულად იქნეს აღქმული, რადგან საჯარო სექტორს უნდა ჰქონდეს თავისი მარეგულირებელი მექანიზმი, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც ეს დღეს ხდება. მხოლოდ სახელმწიფოსა და საჯარო სტრუქტურის ბრალი არ არის საჯარო სექტორში მომუშავეთა მოტივაციის არქონა. ადამიანისთვის ფსიქოლოგიური გააზრება ყველაზე დიდი მოტივაციაა, რადგან ფსიქოლოგიური მიდგომა ეფექტური გასაღებია ნებისმიერ საქმეში. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო საჯარო სტრუქტურებში მოტივაციის პოლიტიკის გადახედვით, მომუშავის ინდივიდუალური გააზრებით, რომ მანაც იფიქროს, რას აკეთებს მისთვის სახელმწიფო, ურთიერთშექცევადი უნდა იყოს. მათი ერთობლიობა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, საქმეს აამუშავებს. ყველაფერ ამას კი კარგი მენეჯმენტი სჭირდება. ამიტომაც არის, რომ მოტივაციის კარგი ცოდნა მენეჯმენტს საშუალებას აძლევს, უფრო ეფექტურად აკონტროლოს თანამშრომლების ქცევა, რათა მათ შეძლონ საჯარო სექტორის მიზნები სისრულეში მოიყვანონ. ჩვენ ირგვლივ უამრავი მაგალითია იმისა, რომ ადამიანმა საჯარო სექტორში დაიწყო მუშაობა, თანაც ისე, რომ უყვარდა თავისი საქმე, მაგრამ ის გარემო და არსებული სიტუაცია მისთვის დემოტივატორი აღმოჩნდა. ამით, იმის ხაზგასმა გვინდა, რომ შეიძლება მაღალი მოტივაციით იყო საქმისადმი და გინდოდეს, მაგრამ გარემო ფაქტორებმა ეს მოტივაცია ნულს გაუტოლოს. ამ სახის სიტუაციაში იკვეთება საკითხი, როგორ ვმართოთ თანამშრომელთა ურთიერთობები ერთმანეთში? დღევანდელი სამუშაო გარემო მუდმივ კონკურენციას გულისხმობს, მხოლოდ (ჯანსაღ) კონკურენციას და თანამშრომლებს ეს სწორი ხედვით უნდა მივაწოდოთ და არა ისე, რომ კონკურენცია ერთმანეთისადმი ცუდ და მაქინაციურ მიდგომებს გულისხმობდეს. ქართულ რეალობაში არსებობს კიდევ ერთი პრობლემა- სიზარმაცე. დასაქმებული, რომელიც სიზარმაცით ეკიდება სამსახურს დაკისრებულ მოვალეობას, მოტივაციის მხრივ დიდ შრომას საჭიროებს. ვფიქრობ, რომ მოტივაცია საჯარო უწყებებში ორმხრივი პროცესია და ერთმანეთის გარეშე საგრძნობი შედეგი ვერ დადგება.

დღეისათვის საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანები სამუშაოსადმი (ზარმაც) დამოკიდებულებას ერგოფობია (მუშაობის შიში) მიაწერენ. კიდევ ერთი პრობლემა ქართულ საჯარო სივრცეში ეს ადამიანური რესურსების სწორად შერჩევაა.[4] რეკრუტინგის ფუნქცია უნდა იყოს თანამშრომლების აყვანემდე ზუსტად განსაზღვრონ იმ თანამდებობის მიზანი, რა პოზიციაზეც პიროვნება უნდა იქნეს დასაქმებული, მისი ფუნქციები, მოვალეობები და დასაქმებულთა პასუხისმგებლობის არეალი. ასევე უნდა განისაზღვროს ისეთი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როგორიც არის განათლების დონე, პროფესიული ცოდნა, სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა. მნიშვნელოვანია პიროვნული თვისებების განსაზღვრა, რასაც ძირითადად თავს არიდებენ.

[4] ხუცუშვილი ნ. დასაქმებულთა მოტივაციის შედარება საჯარო და კერძო სექტორში, თსუ,თბილისი 2018წელი.

ჩვენს რეალობაში ასევე არსებობს პრობლემა მაღალი რგოლის მენეჯერებს, საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერებს შორის[5]. ეს არის პრობლემა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან თვალშისაცემია. ურთიერთობა საჯარო სივრცეში არის ასეთი „ის უფროსია და მასთან ვერ ვისაუბრებ“, ხოლო უფროსებს (მაღალი რგოლის მენეჯერებს) აქვთ მიდგომა, „მე უფროსი ვარ“, სანამ ეს ორი აზრი იარსებებს და ჩატეხილი ხიდი იქნება ამ რგოლებს შორის, მანამდე იქნება მოტივაციის და სამუშაოთი უკმაყოფილების პრობლემა. ამ ყველაფრის ფონზე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი ქვეყნიდან ტვინების გადინება ხდება, რადგან ეს პრობლემები საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების გარკვეული ნაწილისთვის გადაულახავი ბარიერი გახდა. შესაბამისად, მათ  უფრო დაფასებული და მოტივირებული გარემო აირჩიეს. უამრავი მაგალითია იმის, რომ ერთ დროს ქართულ საჯარო სივრცეში მომუშავეები გვევლინებიან სხვა უცხო ქვეყნის საჯარო სტრუქტურული ერთეულების წამყვან თანამდებობებზე. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ქართული საჯარო ბიურაკრატიული სივრცე მოუმზადებელია ისეთი მოტივაციის შემცველი და დაფასებადი გარემოსთვის, როგორიც სხვა უცხოურ ქვეყნებს აქვთ.

ფედერიკ ტეილორის აზრით[6], თანხის გამოყენება მოტივატორის ხარისხში საუკეთესოა. იგი ამბობდა, რომ ფული არის ადამიანისთვის უმთავრესი მოტივატორი. ტეილორის მოტივაციის თეორია ორ შეხედულებას ეყრდნობოდა. ის ამბობდა, რომ ყველა ადამიანი რაციონალურია, რაც აღვნიშნეთ კიდეც, რომ ყველას თავისი ინდივიდუალური  რაციონალიზმი გამოარჩევს. მეორე, რასაც ის ამბობდა არის, რომ ადამიანები უპირველესად ფინანსური მოგების ალბათობით არიან მოტივირებულნი, ვიდრე თვით სამუშაოს მიმართ ინტერესით. ვფიქრობთ, ტეილორის ეს მოსაზრება და თეორიის სახით ჩამოყალიბება, ქართულ საჯარო სივრცეს სრულიად მართებულად ასახავს, რადგან სამუშაოთი ინტერესი ნაკლებია, ფინანსური მოგების სურვილი კი -მაღალი.

მეორე მოტივაციის მხრივ მნიშვნელოვანი ხოტორნის ექპერიმენტია[7]. ეს გულისხმობს, რომ ადამიანების სოციალური კონტაქტის მოთხოვნილებები ეკონომიკურ მოთხოვნილებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს ნიშნავს, როგორც უკვე ვთქვით, რომ ადამიანებს ინდივიდუალური მიდგომები სჭირდებათ. ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა აძლევთ მათ მოტივაციას, ამიტომ ერთი მოტივაციის ფორმულა ყველა თანამშრომელზე არ მოქმედებს. ჩვენს საჯარო სივრცეში ამის გააზრებების პრობლემაა, რადგან გვგონია რომ ყველას ერთი რამ აძლევს მოტივაციას.

აბრაამ მასლოუმ შემოგვთავაზა საჭიროებათა იერარქიის თეორია , რომლის მიხედვით, ყოველ ადამიანში არსებობს მოტივაციის საჭიროებათა ხუთი იერარქიული საფეხური. ეს არის ფიზიოლოგიური, დაცვის, კუთვნილების, თვითდამკვიდრების და თვითრეალიზაციის. ანუ ადამიანს თავისი ცხოვრების გზაზე სხვადასხვა რამ ამოტივირებს, ესეც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს დასაქმებულების ინდივიდუალურ მუშაობაზე მოტივაციის მხრივ.

ფრედერიკ ჰერცბერგმა (ფსიქოლოგი) წამოაყენა ორი ფაქტორის თეორია[8]. ეს არის მოტივატორები და ჰიგიენური ფაქტორები. ამიტომაც არის, რომ ჰერცბერგის თეორიას მოტივაცია-ჰიგიენის თეორიასაც უწოდებენ. ჰერცბერგი ამბობდა, რომ მთავარი ადამიანების სამუშაოსთან ურთიერთობა და დამოკიდებულებაა. მოტივატორები ეს არის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელიც იწვევს სამუშაოთი კმაყოფილებას, ხოლო ჰიგიენური ფაქტორები არის გარე გარემოს ფაქტორები, რომელიც იწვევს სამუშაოთი უკმაყოფილებას. ქართული საჯარო სივრცის მიზანი უკმაყოფილების მოხსნა უნდა იყოს, ანუ საჯარო სამსახურებს ჰიგიენური ფაქტორების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ევალება და ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მანამ, სანამ შედეგი კმაყოფილების გაზრდა არ იქნება.

ქართველი ფსიქოლოგი და პროფესორი დიმიტრი უზნაძე მოტივაციას განმარტავს შემდეგნაირად[9], მოტივაცია წარმოადგენს უპირატესად გაცნობიერებულ წაქეზებას. მოტივაციის მექანიზმის ძირითად რგოლებად უზნაძე მიიჩნევს მოთხოვნილებებს, მიდრეკილებებს, მოლოდინებს, სტიმულებს, მიზანდასახულობებს და შეფასებებს. იგი ამბობს, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატების არსი სწორედ ადამიანთა მოტივაციაშია. ჩემი მთელი ეს ნაშრომი სწორედ ამ პრობლემას ეხება. ვფიქრობ და ბევრი მეცნიერის აზრს ვეთანხმები, რომ მთავარი პრობლემა მოტივაციის ნაკლებობაა საჯარო (ბიუროკრატიულ) ერთეულებში. მხოლოდ ეს თეორიები არ ასახავს მოტივაციის შემცველ თეორიებს, არსებობს კიდევ უამრავი მოტივაციის შემცველი თეორია და მათი ძირითადი აზრი არის ინდივიდუალური მიდგომა მომუშავეებზე მოტივაციის ამაღლების მიზნით.

ნაშრომში ჩვენ ვიმსჯელეთ მოტივაციის პრობლემის აღმოფხვრის გზებზე.  ვფიქრობთ, რომ ეს გარკვეულწილად შევძელით, რადგან ჩავუღრმავდით და თამამად ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა პრობლემები, რა მიდგომები და გამოწვევები დგას საჯარო სივრცეში. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მთავარი პრობლემა- საჯარო სექტორის ბიუროკრატიული კონტროლირებადი სისტემაა.

საჯარო სექტორში დასაქმებულს შეგრძნება აქვს იმისა, რომ  შეზღუდული აქვს თამამად გამოხატონ საკუთარი აზრი. ამან,  შესაძლოა, გამოიწვიოს სამსახურის დაკარგვა. ეს ხომ ჩვეულებრივი შეზღუდვის შეგრძნებაა და მთავარ  დემოტივატორად გვევლინება. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო რა პოზიციას დაიკავებს საჯარო ბიუროკრატიულ სექტორთან, რადგან მან უნდა მოახერხოს დაარეგულიროს და უზრუნველყოს ბიუროკრატიული სისტემა. ვფიქრობ, ორი გზა არსებობს, პირველი: საჯარო და კერძო სისტემა ერთმანეთს გაუტოლდეს და სახელმწიფო ახდენდეს ერთნაირ დაფასებას, წახალისებას და მათ მოტივაციაზე ზრუნვას. მეორე: არსებული საჯარო სივრცე გარდაიქმნას სხვა სისტემურ, რბილ, თავისუფალ, მოტივირებულ სექტორად, სადაც მოხდება არა საჯარო მოხელის იძულება, რომ მან იმუშაოს კარგად, არამედ მოტივირება. მომუშავემ კარგად უნდა იმუშავოს იმიტომ, რათა ქვეყნის შემდგომი მომავალი დღეები იყოს წინა დღის სამუშაოზე მეტად მოტივირებული.

---

[5] კოქსი უ. საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია და ტაქტიკა,გამომცემლობა დიოგენე, თბილისი 2011 წელი.
[6] კოქსი უ. საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია და ტაქტიკა, გამომცემლობა დიოგენე, თბილისი 2011 წელი.
[7] პაიჭაძე ნ. ჩოხელი ე. ფარესაშვილი ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.
[8] ხუციშვილი ნ. დასაქმებულთა მოტივაციის შდარება საჯარო და კერძო სექტორში, თსუ, თბილიში 2018 წელი
[9] უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, საბა, 2017 წელი

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. შამუგია ე., დასაქმება საჯარო სექტორში-რამდენად დიდია ბიუროკრატია, ჟურნ. ტაბულა,თბილისი, 2019 http://www.tabula.ge/ge/story/155038-dasaqmeba-sajaro-seqtorshi-ramdenad-didia-biurokratia

2. ნახუცრიშვილი ნ., დასაქმებულთა მოტივაციის შედარება საჯარო და კერძო სექტორში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი, თბილისი, 2018 .

3. საყვარელიძე ს., მოტივაციის ზრდის სტრატეგიები საქართველოს საჯარო უწყებებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი, თბილისი, 2018

4. კოქსი უ., საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია და ტაქტიკა, გამომცემლობა დიოგენე, თბილისი, 2011

5. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ.,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „სიტყვა“, 2011

6. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, გამომცემლობა საბა, 2017

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

12.12.2020

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEGENCE ACADEMY OF GEORGIA